ლაგოდეხში წინასაარჩევნო დაპირისპირება მწვავდება A2

საბოტაჟი „სამართლიანი არჩევნების" წინააღმდეგ A2

ავტომობილი B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 24 ოქტომბერი, 2003 წელი. №280 (492)

ფასი 50 თეთრი

შეტაკება ბათუმში

"ნაციონალური" მოძრაობის მიტინგი ბათუმში, როგორც ექსპერტები ვარაუდობდნენ, სასტიკად დაარბიეს. ვითარება დილადანვე დაიძაბა ჩოლოქზე, სადაც "ნაციონალების" ზოგიერთი აქტივისტი, პირადობის მოწმობის არქონის მოტივით, საზღვარზე არ შემოუშვეს. საბოლოო ჯამში ბათუმში შემოაღწია 500-მდე აქტივისტმა. მათ შეუერთდნენ ადგილობრივი მხარდამჭერები და მიტინგის გამართვა პირდაპირ უზენაესი საბჭოს შენობის წინ გადაწყვიტეს. მომიტინგეთა ჯგუფი შეძახილებით - "აჭარა აბაშიძის გარეშე!" - ასლან აბაშიძის რეზიდენციის მიმართულებით დაიძრა.

აჭარის ოფიციოზმა მათ მოსაგერიებლად გამოიყვანა შინაგანი ჯარის ნაწილები, სპეცდანიშნულების რაზმი და დიდი რაოდენობით პოლიცია. ჯარის კორდონმა გადაკეტა უზენაესისკენ მიმავალი ქუჩის მონაკვეთი და გააკეთა დერეფანი. მომიტინგეებს გაუთავისუფლეს გზა ბათუმის ცენტრალური სტადიონისკენ, მაგრამ ისინი არ დაემორჩილნენ ხელისუფლების მოთხოვნას.

პირველი შეტაკება ვის მიერ იქნა ინიცირებული, ამის დადგენა, ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა. პირველი ზედახორის შემდეგ ცნობილი სახეებიდან ნაცემი კობა დავითაშვილი იყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

აჭარული სტაბილიზაცია.

პრეზიდენტი, რომელმაც შეარყია მითი აბაშიძეზე

ეკა კვესიტაძე

სადაც ოპოზიციის მიერ ჩატარებულ დემონსტრაციებს შეიარაღებული კორდონებით ხვდებიან, სადაც თავისუფალ მედიას იმდენად უფრთხიან, რომ დამოუკიდებლობისკენ ოდნავ მიდრეკილი საინფორმაციო საშუალებების არსებობას არ უშვებენ, სადაც ადამიანები ბელადზე აუგის თქმისგან თავს მხოლოდ შიშის გამო იკავებენ – იქ ადგილობრივი ბელადის ძალაუფლება ერთ დღეს საპნის ბუშტივით გასკდება.

ის, რამაც თავის დროზე ასლან აბაშიძეს პატარა, მაგრამ უძლეველი დიქტატორის იმიჯი შეუქმნა და საფუძველი ჩაუყარა მითს, რომ აჭარაში მისი ძალაუფლება ურყევია - პირველ რიგში, უუნარო ცენტრალური ხელისუფლებაა, რომელმაც ყველაფრის უფლება მისცა აბაშიძეს და აჭარაში დიქტატორობა ლამის ოფიციალურად დაუკანონა.

დღესაც კი, როცა ყველა არჩევნების სამართლიანად ჩატარებაზე ლაპარაკობს, ძალიან ცოტას თუ უჩნდება პროტესტი იმ მიდგომის გამო, რომელიც დიდი ხანია,

გაგრძელება A3 გვერდზე

ენერგოქაოსი ლიახვის ხეობაში

ანუ რატომ ამარაგებს ქართულ სოფლებს ცხინვალის ადმინისტრაცია რუსული დენით

ამ ორი დღის წინ ლიახვის ხეობის ქართული სოფლების მოსახლეობა უკვე მერამდენედ დარჩა ელექტროენერგიის გარეშე. სოფლებისათვის ელექტრომომარაგების აღსადგენად შიდა ქართლის ადმინისტრაციას კიდევ ერთხელ დასჭირდა ცხინვალთან მოლაპარაკებების წარმოება. საქმე ისაა, რომ ხეობის რუსული ელექტროენერგიით მომარაგება არა "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან", არამედ ცხინვალიდან ხდება. სხვათა შორის, რუსული ელექტროენერგია საჩუქრად ჯერ არავის მიუღია. ლიახვის ხეობის ქართული სოფლების მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, დენის საფასურს საგულდაგულოდ აგროვებს და ცხინვალის ენერგოდისტრიბუტორებს აბარებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ცივილიზაციის ამ ერთ-ერთი სიკეთის გარეშე დარჩებიან. დანარჩენი ხომ მათ ამ 12 წლის წინათ ომმა და უბედურებამ წაართვა.

მაია ურუშაძე

ამ ორი დღის წინ მდინარე ლიახვის ხეობაში მდებარე ათამდე ქართულ სოფელს ცხინვალმა ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. ცხინვალი მათ იმ ელექტროენერგიის საფასურს სთხოვდა, რომელსაც ოსური მხარე რუსეთიდან იღებს.

ცხინვალში დღესაც აცხადებენ, რომ ქართულ სოფლებში დენის საფასურს არც მოსახლეობა და არც წვრილი მეწარმე-ხელოსნები არ იხდიან, რის გამოც რუსეთთან ენერგოურთიერთობაში მათაც პრობლემები ექმნებათ.

გაგრძელება A4 გვერდზე

დავის საგანი - პარტიული ფინანსები

ლელა მჭედლიძე

"ცხოვრება არჩევნებით არ იწყება და არც მთავრდება," - ასე მიაჩნია საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენელ პლამენ ნიკოლოვს, რომელიც ანტიკორუფციულ ბიუროსთან არსებული საარჩევნო ფინანსების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის გაგრძელების მომხრეა.

ბიუროსთან არსებულმა ამ ორგანომ არჩევნებამდე თავისი ბოლო სხდომა გამართა. მონიტორინგის ჯგუფი საქმიანობას 2 ნოემბრის შემდეგ, არსებული კანონმდებლობის დახვეწისთვის განაახლებს. ამის საჭიროება ისევ იმ სხდომებიდან გამომდინარე გაჩნდა, რომელზეც სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებმა კონკრეტული საარჩევნო დარღვევები წარმოადგინეს. მათ შესახებ ანტიკორუფციულ ბიუროსთან არსებულმა ჯგუფმა იმსჯელა, მაგრამ ამის მეტი ვერაფერი გააწყო. პროკურატურამ არც ერთ მათგანზე საქმე არ აღძრა, რადგან ბიუროსთან არსებული მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოძიებული მასალები მტკიცებულებად ვერ მიიჩნია. გარდა ამისა, პროკურატურას ხშირად არც აქვს სხვადასხვა სახის წინასაარჩევნო დარღვევისთვის სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაციის მიცემის საშუალება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ სხვადასხვა სახის დარღვევაზე მოკვლევა მათ კომპეტენციაში არ შედის.

გაგრძელება A2 გვერდზე

ანტიკორუფციულთან არსებულმა მონიტორინგის ჯგუფმა არჩევნებამდე ბოლო სხდომა გამართა.

იაკობ ლეონავიჩუსის ფოტო

ყელგამოჭრილი ეჭვმიტანილი შსს-დან საავადმყოფოში მოხვდა

ორი დღის წინ მიხაილოვის საავადმყოფოდ ცნობილ კლინიკაში შინაგან საქმეთა სამინისტროდან ყელის არეში დაჭრილი ვალერიან დადვაძე გადაიყვანეს. ამონაწერი ავადმყოფის ისტორიიდან: "დადვაძე ვალერიანი სერგის ძე, 52 წლის. მცხოვრები ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, ბინა 14 (მისამართი სრულად არ არის მინიშნებული); აღენიშნება ნაკვეთი ჭრილობები სახისა და კისრის მიდამოში. გადაჭრილი აქვს საძილე არტერიიდან გამავალი ერთ-ერთი შტო. აღენიშნება მარცხენა მეშვიდე ნეკნის მოტეხილობა".

ნინო ბოქორიშვილი

საავადმყოფოს ექიმ ბაქარ ბაკურაძეს მოულოდნელად რამდენიმე პოლიციელი ეახლა და სამინისტროში წაიყვანა.

"შინაგან საქმეთა სამინისტროში, ერთ-ერთ კაბინეტში რომ შევედი, დივანზე დაწოლილი შუა ხნის მამაკაცი დამხვდა. ჩემს მისვლამდე იქ "სასწრაფო დახმარება" ჰყავდათ გამოძახებული, მაგრამ, ვინაიდან პიროვნებას ჭრილობები სახის და ყელის არეში ჰქონდა მიყენებული, ამიტომ გახდა აუცილებელი ყელ-ყურის სპეციალისტის გამოძახება. პაციენტი სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას საჭიროებდა და იგი საავადმყოფოში გადავიყვანეთ," – აღნიშნა ჩვენთან საუბარში მიხაილოვის საავადმყოფოს ყელ-ყურის განყოფილების ექიმმა ბაქარ ბაკურაძემ.

მკურნალი ექიმის თქმით, პაციენტს მიყენებული აქვს ნაკლებად მძიმე დაზიანებები, თუმცა საბოლოო შეფასება ექსპერტიზამ უნდა მისცეს. ორდღიანი მკურნალობის შემდეგ, დადვაძე ბადრაგის თანამშრომლებმა წაიყვანეს. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ნაცვლად, პოლიციამ დაკავებული დადვაძე სასჯელაღსრულების დაწესებულების №5 საპყრობილეში გადაიყვანა.

გაგრძელება A7 გვერდზე

კოფი ანანი: ერაყს გულუხვად დაეხმარეთ

მადრიდში დონორი ქვეყნების კონფერენცია გაიხსნა

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ მადრიდში ერაყის რეკონსტრუქციის საკითხზე დონორი ქვეყნების მონაწილეობით საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. ორდღიან ფორუმში სამოცდაათზე მეტი ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას. მადრიდის კონფერენცია გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის გამოსვლით გაიხსნა, რომელმაც დონორ ქვეყნებს ერაყის აღდგენის საქმეში გულუხვი წვლილის შეტანისაკენ მოუწოდა.

მადრიდის კონფერენცია ვაშინგტონის უდიდეს ყურადღებას იმსახურებს, რომელსაც იმედი აქვს, რომ სამიტის მონაწილეები ერაყის აღდგენის საქმისათვის, სულ ცოტა, 30 მილიარდ ამერიკულ დოლარს

გაგრძელება A5 გვერდზე

ერაყში აშშ-ს ადმინისტრაციის შეფი პოლ ბრემერი, ერაყის მმართველი საბჭოს ხელმძღვანელი იად ალავი და კოლინ პაუელი

უკანასკნელი 109 მეტრი

ზოთა უტიაშვილი

გუშინ რუსებმა ქერჩის სრუტეში დამბის მშენებლობა შეაჩერეს, რითაც ბოლო დროს შექმნილი დაძაბულობა ოდნავ განიმუხტა, თუმცა საბოლოო შეთანხმება ჯერ არ არის მიღწეული.

საქმე ეხება აზოვისა და შავი ზღვების შემაერთებელ ქერჩის სრუტეზე კონტროლს. სრუტის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთის კუთვნილი ტამანის ნახევარკუნძული მდებარეობს, დასავლეთ ნაპირზე – ყირიმის ნახევარკუნძული, სრუტის შუაში კი კუნძული ტუზლა, რომელიც უკრაინას ეკუთვნის.

სრუტე თავთხელია და გემებს აზოვიდან შავ ზღვაში გასვლა მხოლოდ ტუზლასა და ყირიმს შორის არსებული ვიწრო გასასვლელით შეუძლიათ. დერეფანი უკრაინას ეკუთვნის და ამიტომ სრუტეში გამავალი გემები გადასახადსაც კიევის ხაზინაში იხდიან.

კიევში ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი ეგონათ, მანამ, სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან წერილი არ მიიღეს, რომელშიც ოფიციალურად სთხოვდნენ, კუნძულ ტუზლას მფლობელობის ოფიციალური საბუთი წარმოედგინათ.

გაგრძელება A5 გვერდზე

ვოლიტიკა

ირინა სარიშვილი თავისი ძველი და ახალი "ხილვების" შესახებ

ირინა სარიშვილი თავის თავს არ ღალატობს და თამამი პროგნოზების კეთებას განაგრძობს. "კმარას" ოფისის დარბევას სარიშვილი წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირებს და მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ოპოზიცია თავად ესხმის საკუთარ შენობებს და მათი დარბევის ინსცენირებას ახდენს, რათა ეს სახელისუფლებო ძალებს დაბრალდეთ.

A2

ეკონომიკა

"ახალი მენეჯმენტი" მოქმედების პროგრამას ამზეურებს

პრეზენტაციაზე "ახალმა მენეჯმენტმა" ჟურნალისტებს რუსეთში მოსალოდნელ ვიზიტზე, ახალი მრიცხველების დაყენების პერსპექტივასა და თავად "თბილგაზის" თანამშრომლების წინაშე დაგროვილი დავალიანებების გასტუმრების შესახებ მიანოდა ინფორმაცია.

A4

უცხოეთი

რუსეთი კონტრშეტევაზე გადადის

ხუთშაბათს პრეზიდენტმა პუტინმა ყირგიზეთში რუსული სამხედრო ბაზა გახსნა. ეს პირველი სამხედრო ბაზაა, რომელიც მოსკოვმა ყოფილ საბჭოთა სივრცეში გახსნა.

A5

საზოგადოება

ამერიკელების საჩუქარი მცხეთაში

მცხეთაში გაიხსნა საოჯახო მედიცინისა და ექიმთა გადამზადების თანამედროვე სასწავლო ცენტრი, რომლის შექმნაში ლომის წილი ამერიკელმა მოქალაქეებმა შეიტანეს. საჭირო თანხის ნახევარზე მეტს სწორედ მათ მიერ შემოწირული თანხა შეადგენს.

A6

სამართალი

„კმარას" ქვები დაუშინეს

22 ოქტომბერს, გვიან ღამით, უცნობმა პირებმა "კმარას" ოფისის ფანჯრის მინები ქვებით ჩაამტვრიეს და უხამსი პროკლამაციები შეყარეს. "შევარდნაძემ თქვა - "კმარას" კმარა. ოფისში შემოყრილ პროკლამაციებზეც სწორედ ეს სიტყვებია დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, ვისი ხელი ურევია ჩვენს დარბევაში," - ამბობს კმარას აქტივისტი თეა თუთბერიძე.

A7

ამინდი

თბილისი	22
ქუთაისი	26
ბათუმი	26
სოხუმი	23
ფოთი	26
თელავი	21
ზუგდიდი	26
გორი	19
ახმეტა	21
ჭიათურა	23
გაგრა	21
სამტრედია	26

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.0890
ევრო	2.4721
გირვანქა სტერლ.	3.5350
რუბლი	0.0698

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B1 სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ავტომობილი B7 სხვადასხვა B8 რეკლამა

ლაგოდეხში წინასაარჩევნო დაპირისპირება მწვავდება

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახეთის რეგიონში წინასაარჩევნო დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ახმეტის შემდეგ, ამჯერად ყურადღების ცენტრში ლაგოდეხის რაიონი მოექცა. აქ ერთმანეთს რვა კანდიდატი ეჯიბრება. თუმცა, უმთავრესი ბრძოლა დეპუტატის სავარძლისთვის სახელისუფლებო ბლოკიდან წარდგენილ ლაშა ნაცვლიშვილსა და დამოუკიდებელ კანდიდატ ისაკო ცქიფურიშვილს შორის გაიმართება. 24 ოქტომბერს მომხდარმა ფაქტმა კი მათ შორის სიტუაცია უფრო დაძაბა. პოლიცია ცქიფურიშვილის შტაბის უფროსს ზვიად ხვედელიძეს თავს დაესხა და გაიტაცა.

"შუაღამე იყო. სახლში მივდიოდი. წინ ორი მანქანა გადამიდგა და რამდენიმე პირი გადმოვიდა. ჩემი სახელი რომ იკითხეს, მანქანაში ძალით ჩამაგდეს," - ამბობს ხვედელიძე. მისივე თქმით, პირველად მას გამტაცებლები ლაგოდეხის პოლიციის თანამშრომლებად წარუდგენენ, მაგრამ მანქანამ გეზი თელავისკენ აიღო და გატაცებული კახეთის სამხარეო პოლიციაში მიიყვანეს. **"გამჩხრიკეს, ცდილობდნენ ჩემთვის ნარკოტიკი აღმოეჩინათ, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ ნახეს და ამ საქმეში სახალხო დამცველიც ჩაერთო, იძულებულნი გახდნენ, გავეთავისუფლებინე,"** - გვითხრა ზვიად ხვედელიძემ.

ეს ფაქტი დეპუტატობის კანდიდატმა ისაკო ცქიფურიშვილმა მის კონკურენტს ლაშა ნაცვლიშვილს მიაწერა. მისივე თქმით, პირველი შემთხვევა არ არის, როცა ხელისუფლება მის გუნდზე ზეწოლას ახდენს. იქვე იმასაც აცხადებს, რომ ნაცვლიშვილი და რაიონის გამგებელი ლევან ბარბაქაძე აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ კაბალის მოსახლეობაზე ზეწოლას ახდენენ.

ამ ფაქტს მოსახლეობაც ადასტურებს. **"რამდენიმე დღის წინ ლაშა ნაცვლიშვილი იყო ჩამოსული ჩვენს სოფელში და დაგვემუქრა, თუ მას არ მივცემთ ხმას, ბაქოს ამბები მოგონება იქნება,"** - ამბობენ კაბალელები. ამავე სოფლის მკვიდრს თაჯირ აღამადოვს კი მაღაზიები დაუკეტეს.

"ოთხჯერ მოვიდნენ ჩემთან რევიზიაზე, ოთხჯერვე რაღაც-რაღაცეები მიმიკიბ-მომიკიბეს, ბოლოს ჯარიმა 1500 ლარი არაფრის გულისთვის დამაკისრეს, მაგრამ ეს არ იკმარეს და მაღაზია დამილუქეს. ასე იმიტომ გააკეთეს, რომ მე ისაკას სურათი მაქვს გაკრული მაღაზიაში," – გვითხრა აღამადოვმა.

ამ ბრალდებას უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე პროვოკაციას უწოდებს. **"მე საეთროდ არ ვიცნობ ისაკო ცქიფურიშვილს,"** - განაცხადა ნაცვლიშვილმა, თუმცა მალევე შეიცვალა აზრი და ცქიფურიშვილის კრიმინალურ წარსულზე ალაპარაკდა. **"როგორ გგონიათ, მე, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ გამოვდივარ და ვებრძვი ადამიანების გამტაცებლებს, ჩავიდენდი ამ საქმეს? ისაკა ცქიფურიშვილი კი კრიმინალია. მას მკვლელობაში ეედება ბრალი, ასეთი ბრალდებები მის მიმართ არაერთია,"** - აცხადებს ლაშა ნაცვლიშვილი.

ლაგოდეხის პოლიციაში კი ამბობენ, რომ ზვიად ხვედელიძე ნარკოტიკების მომხმარებელია და ამიტომაც აიყვანა პოლიციამ. მას ნარკოტიკების ზემოქმედება დაუმტკიცდა.

"თელავის ნარკოლოგიურმა სამსახურმა გამოიკვლია და დაადგინა, რომ ხვედელიძე ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა," - გვითხრა ლაგოდეხის კრიმინალური პოლიციის უფროსმა ლევან სხირტლაძემ.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მიუხედავად ყველფრისა, პოლიციამ ზვიად ხვედელიძე სახლში გაუშვა.

ირინა სარიშვილი თავისი ძველი და ახალი "ხილვების" შესახებ

გიორგი ასანიშვილი

ირინა სარიშვილი თავის თავს არ ღალატობს და თამამი პროგნოზების კეთებას განაგრძობს. კონრად ადენაუერის ფონდის ინიციატივით, სასტუმრო "ვერე პალასში" ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე, სახელისუფლებო ბლოკის სპიკერმა რამდენიმე საგულისხმო განცხადება გააკეთა. "კმარას" ოფისის დარბევას სარიშვილი წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირებს და მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ოპოზიცია თავად ესხმის საკუთარ შენობებს და მათი დარბევის ინსცენირებას ახდენს, რათა ეს სახელისუფლებო ძალებს დაბრალდეთ.

ირინა ლელაშვილის ფოტო

ირინა სარიშვილი - წინასწარმეტყველი, რომელიც ყველა შეკითხვას არ პასუხობს.

ედპ-ს თავმჯდომარე "ორიგინალურ" მოსაზრებას გამოთქვამს საარჩევნო სიების გაყალბებასთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, დიდი რაოდენობით უზუსტობანი სიებში იმიტომ იქნა დაშვებული, რომ ამომრჩეველს სიების რეალობაში შეპარვოდა ეჭვი(?!). სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი იმედოვნებს, რომ უახლოეს დღეებში ვითარება გამოსწორდება, სიები დაზუსტდება და არჩევნები სამართლიანად, დემოკრატიულად ჩატარდება.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ირინა სარიშვილი ეგზიტპოლების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში მომხდარი არეულობების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს არის, რადგან ეგზიტპოლებს, ხშირად, "მოსახლეობაში დაბნეულობა შეაქვს". სამთავრობო გუნდის წარმომადგენელს ამ ინსტიტუტზე მთლიანად უარის თქმა, მართალია, გაუმართლებლად მიაჩნია, მაგრამ, ამავე დროს, ხაზს უსვამს, რომ ეგზიტპოლებს უკვე ალმაცერად უყურებენ თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე - საფრანგეთში, უკრაინასა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს სარიშვილი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ცოტა ხნის წინათ მის მიერვე აგორებულ აგენტობის თემას. ედპ-ს ლიდერი აღნიშნავს, რომ ნინო ბურჯანაძის მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით, იგი უშიშროების სამსახურმა უკვე გამოკითხა ("კი არ დამკითხეს, არამედ გამომკითხეს") და ეს სულაც არ იყო ფორმალური პროცედურა. თუმცა, მიცემული ჩვენების შინაარსის გახმაურებაზე სარიშვილი კატეგორიულ უარს აცხადებს. ამასთან, იგი გაოცებას გამოთქვამს იმის გამო, რომ **"უშიშროების სამსახურს პარლამენტის თავმჯდომარე ჯერ კიდევ არ დაუკითხავს და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღუძრავს."**

რაც შეეხება თავისი ბლოკის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციას, სარიშვილის განცხადებით, იგი 29 ოქტომბერს გაიმართება სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში". თუმცა, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერი სულაც არ მალავს, რომ საპროგრამო დოკუმენტების აფიშირება ფორმალობად მიაჩნია. **"წინასაარჩევნო პერიოდში დაწერილი პროგრამები, როგორც წესი, ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება. ფურცელზე ჩამოწერილი არც ერთი პარტიის თეზისები სხვებისაზე ნაკლები არ არის. ჰოდა, ასეთი ერთფეროვნების გამო, მოსახლეობას ისინი არ აინტერესებს,"** - აღნიშნავს სარიშვილი, თუმცა, "ზრდილობის გულისთვის", ის მაინც ჩამოთვლის იმ საკითხებს, რომელზეც სახელისუფლებო ბლოკის პროგრამაში არის გაკეთებული აქცენტები. ესენია: საქართველოს სუვერენიტეტი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, დასავლეთის სტრუქტურებთან ინტეგრაცია და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ სარიშვილი საპროგრამო დოკუმენტებს (მათ შორის, თავისი გუნდისას) დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, 29 ოქტომბრის პრეზენტაცია, ალბათ, მაინც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული - პროგრამების წერაში განაფუული მმართველი ძალა საზოგადოებას რაღაც "სიახლეს" აუცილებლად შესთავაზებს.

როდესაც მომავლის მჭვრეტელი პოლიტიკოსი "ჩაიგდეს ხელში", ბუნებრივია, ჟურნალისტები იმითაც დაინტერესდნენ, თუ როგორ წარმოუდგენია სარიშვილს მოვლენების განვითარება 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ. მასმედიის ცნობისმოყვარეობა მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რადგან ედპ-ს თავმჯდომარის პასუხი ამჯერად საკმაოდ ზოგადი იყო და თვითრეკლამას უფრო წარმოადგენდა.

"მოვლენები ზუსტად ისე ვითარდება, რა პროგნოზსაც ვაკეთებ," - საკმაოდ თავდაჯერებულია სახელისუფლებო ბლოკის "მისანი".

მოკლედ

ახალი აფიორა თბილისში

ცესკო-ს თავმჯდომარის ნანა დევდარიანის განცხადებით, მარკირების საშუალების დისკრედიტაციისთვის თბილისში "ახალი აფიორა" წამოიწყეს. მან ჟურნალისტებს შტამპის მოსაცილებელი გერმანული წარმოების სითხე წარუდგინა, რომელიც მაღაზიებში, როგორც მარკირების მოსაშორებელი სითხე, ისე იყიდება და დაახლოებით 25 ლარი ჯდება. დევდარიანის თქმით, "ვიღაც ჭკვიანმა ფულის გაკეთების მოკლე და სწრაფი გზა იპოვა".

"თუ გავითვალისწინებთ, რომ არჩევნებში 21 პარტია იღებს მონაწილეობას და აქედან 8 პარტია საკმაოდ რეიტინგულია, შესაბამისად, მათ მარკირების მოსაცილებელი 25-ლარიანი ხსნარის ყიდვის სურვილი გაუჩნდებათ", - აღნიშნა დევდარიანმა.

მან ჟურნალისტების თვალწინ მოახდინა აღნიშნული ხსნარის არაეფექტურობის დემონსტრაცია. დევდარიანმა კამერების წინ ჯერ მარკირება გაიკეთა ხელზე, ხოლო შემდეგ აღნიშნული სითხე დიდი რაოდენობით დაისხა იმავე ადგილზე. დეტექტორმა დევდარიანის ხელზე მარკირების არსებობა დაადასტურა.

ორი სიტყვით

თბილისი. საარჩევნო ბლოკ "ბურჯანაძე - დემოკრატების" ლიდერი ნინო ბურჯანაძე გუშინ იმერეთის რეგიონში გაემგზავრა. ოთხი დღის განმავლობაში იგი ზესტაფონსა და ქუთაისს ეწვევა. ბლოკის ლიდერი ზესტაფონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან კახა შავგულიძესთან ერთად, თეატრის შენობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრას გამართავს, მოგვიანებით კი, სოფლებს - სვირსა და კლდეთსაც მოინახულებს. ქუთაისში ნინო ბურჯანაძე აფხაზეთიდან დევნილებს შეხვდება და ბლოკის წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაციას გამართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მორიგი ქვედანაყოფი, რომელიც როტაციის ფარგლებში ერაყში მყოფ ქართველ სამშვიდობოთა ასეულს შეცვლის, უკვე ფორმირებულია და მისი მომზადებაც დაიწყო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ აჭარის რეგიონის ამომრჩეველთა სია ცესკო-ს გადმოეგზავნა და იგი კომპიუტერულ ქსელში შევა. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დაზუსტების შემდეგ კი გამოქვეყნდება. აჭარის რეგიონში გახსნილია 265 უბანი, ამომრჩეველის საერთო რაოდენობა კი 292.048-ს შეადგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

სიღნაღი. გუშინ სიღნაღის კინოს სახლში "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა მოსახლეობას პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ირინა ფხოველიშვილი წარუდგინა. გუშინვე "ლეიბორისტებმა" მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატები წარადგინეს ლაგოდეხსა და თელავში. პარტიის კანდიდატი ლაგოდეხში - ვალერიან ბაქრაძე, ხოლო თელავში ნიკო ნინიკელაშვილი იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა მოსკოვში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა, რომლის მიზანი ჯერ არ კონკრეტდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს "ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო", თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტი და კვლევითი ცენტრი **BCG** პროექტის "ყოველკვირეული წინასაარჩევნო რეიტინგი" პრეზენტაციას მოაწყობენ. პროექტის ფარგლებში დადგინდება პოლიტიკური პარტიებისა და ცალკეული პოლიტიკოსების რეიტინგები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ქართველი კომუნისტები, რომელთაც წინასაარჩევნო კამპანიისათვის სახსრები არ გააჩნიათ, პარასკევიდან მშვიდობიან მანიფესტაციებს იწყებენ. ქართველი კომუნისტების ერთ-ერთი ლიდერის ვილჰელმ მახარაძის თქმით, პარტია იძულებულია აგიტაციის ასეთ ფორმას მიმართოს, რამდენადაც ამომრჩეველისაგან იზოლირებულია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საფრანგეთის ელჩი საქართველოში მირი მიუსო, თავისი ექვსწლიანი დიპლომატიური ვადის ამოწურვის გამო, საქართველოდან 27 ოქტომბერს გაემგზავრება. მანამდე მიუსომ გამოსამშვიდობებელი შეხვედრები გამართა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილთან. დღეს იგი დახურულ კარს მიღმა სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს შეხვდა. მირი მიუსო ქვეყნის მთავრობის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელს შეხვდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით რეგისტრაციაში 6 არასამთავრობო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია გაატარა. **პრაიმ-ნიუსი**

ქახა შენგელია ხელისუფლებისგან დევნას განიცდის

ლევან ლელაშვილის ფოტო

ქახა შენგელია კავკასიის ბიზნეს-სკოლის შემოწმებას აპროტესტებს.

თბილისის ვიცე-პრემიერი, "ნაციონალი" ქახა შენგელია საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას მის წინააღმდეგ ბრძოლაში ადანაშაულებს.

როგორც შენგელიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ცენტრალური ხელისუფლება მას, როგორც "ნაციონალური მოძრაობის" წევრს, დევნის და საპარლამენტო არჩევნების წინ მის წინააღმდეგ კომპრომატების მოძიებას აპირებს.

შენგელიას მტკიცებით, მის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში ჩართულია საგადასახადო დეპარტამენტი, რომელსაც, კერძოდ, კავკასიის ბიზნეს-სკოლის შემოწმება დაევალა. **"ამ სასწავლებლის დეკანი მე გახლავართ. გენერალურმა პროკურატურამ "კავკასიის ბიზნესსკოლაში" "აღმოჩენილ დარღვევებზე" სპეციალური გამოძიება უნდა ჩაატაროს. მოტივად ჩემს მიერ დედაქალაქის ბიუჯეტიდან სასწავლებელში უკანონოდ ჩარიცხული 8000 ლარი სახელდება,"** - განმარტა შენგელიამ და დასძინა, რომ საგადასახადო დეპარტამენტს სკოლის შემოწმების უფლებას არ მისცემს.

მისივე მტკიცებით, საგადასახადო შემოწმება სასწავლებლებში უკვე ჩატარებულია და იქ არანაირ დარღვევას არ აქვს ადგილი. რაც შეეხება აღნიშნულ თანხას, შენგელიას მტკიცებით, იგი თბილისის ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული და "კავკასიის ბიზნეს-სკოლაში" კანონის სრული დაცვით გადაირიცხა.

"თბილისის მერიას მოკრძალებული თანხები აქვს დედაქალაქის მასშტაბით, გაჭირვებული სტუდენტების დასახმარებლად. 8000 ლარის გამოყოფაც სწორედ ამ მიზნით მოხდა," - განაცხადა შენგელიამ.

24 საათი

„ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბება დაიწყო"

ვერიკო თევზაძე

ეს განცხადება საარჩევნო ბლოკ "ერთობის" ხელმძღვანელმა ჯუმბერ პატიაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა. პატიაშვილი რუსეთის სახელისუფლებო პარტიის "Единая Россия"-ს მიწვევით მოსკოვში სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა. როგორც პრესას აცნობა, იგი შეხვდა ხსენებული პარტიის გენერალურ მდივანს, სახელმწიფო საათბიროს თავმჯდომარის მოადგილეს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს და პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. რუსეთის სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებთან პატიაშვილის საუბრის მთავარი თემა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები იყო.

ჯუმბერ პატიაშვილის მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება ყალბი ხმების მოპოვებას ქვეყნის ფარგლებს გარეთაც აპირებს. მოსკოვში, დსთ-ს მთელ სივრცესა და უცხოეთში გახსნილი საარჩევნო ოლქები, ჯუმბერ პატიაშვილის თქმით, ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ვინაიდან იქაური კომისიების წევრები, ძირითადად, სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერებით არიან დაკომპლექტებული, ქვეყნის გარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები ხელისუფლებისთვის შესანიშნავი რესურსია არჩევნების გასაყალბებლად და ხმების მისათვისებლად, - ასეთია პატიაშვილის "ოპტიმისტური" დასკვნა.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ერთობის" ლიდერმა განაცხადა, მარტო მოსკოვში 16 საარჩევნო უბანი ამოქმედდა: **"ამასთან, საარჩევნო უბნები იხსნება რუსეთის ისეთ ქალაქებში, სადაც ქართული მოსახლეობა საერთოდ არ ცხოვრობს."**

პატიაშვილის თქმით, მან თხოვნით მიმართა რუსეთის ხელისუფლებას, არ დაუშვას საქართველოს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი საარჩევნო ფალსიფიკაცია. თუმცა, "ერთობის" ხელმძღვანელს აშინებს, რომ ხელისუფლება საწადელს მიაღწევს.

დაკარგული ამომრჩევლის ძებნაში...

სოფო ბუკია

სახელისუფლებო ბლოკი ამომრჩეველთა სიაში თავის მხარდამჭერ 58 ათას ამომრჩეველს ვერ პოულობს. კონკრეტულად, სად და როდის დაიკარგა ეს ხალხი, სახელისუფლებო ბლოკმა არ იცის.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია "IFES" – ის მიერ შედგენილ ამომრჩეველთა სიებზე ვიღაცამ "სერიოზულად იმუშავა" და იქიდან სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერი, არც მეტი და არც ნაკლები, 58 ათასი ამომრჩეველი ამოშალა. აღნიშნული ინფორმაცია პრესამ გუშინ სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" ოფისში გამართულ "საგანგაშო პრესკონფერენციაზე" ირაკლი გოგავასგან და ბაჩუკი ქარდავასგან შეიტყო.

აი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი: 1 ივლისს შსს-მ აღნიშნული სიები პატიოსნად ჩააბარა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. მაშინ ჯერ კიდევ ძველი ცესკო ფუნქციონირებდა, რომლის წევრთა უმრავლესობა სახელისუფლებო ბლოკის მეგობრები გახლდნენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ სიებიდან სწორედ სახელისუფლებო ბლოკის მრავალრიცხოვანი ამომრჩეველი გაქრა.

ლევან სხირტლაძის ფოტო

ქარდავა და გოგავა დაკურგულ ამომრჩევლებს ეძებენ.

ამ ფაქტით აღშფოთებულმა სახელისუფლებო ბლოკმა გუშინვე მიმართა პროკურატურას, რათა სასწრაფოდ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და გამოვლენილმა დამნაშავემ სრული სიმკაცრით აგოს პასუხი, ვინაიდან მის მიერ **"ჩადენილი დანაშაული მიმართულია არა სახელისუფლებო ბლოკის, არამედ მთლიანად ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ეს არის ქვეყნის წინააღმდეგ საბოტაჟი..."**. სახელისუფლებო ბლოკი, ჯერჯერობით, მხოლოდ ამ მოთხოვნით შემოიფარგლა. გაცილებით გაუძნელდებათ საქმე ძალოვანებს, თუ სახელისუფლებო ბლოკი მათ 58 ათასი "დაკარგული" ამომრჩევლის დაუყოვნებლივ პოვნის მოთხოვნით მიმართავს.

როგორც ედპ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ აღნიშნა, "ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას" ყოველთვის ჰყავდა მუდმივი ამომრჩეველი, რომელთა მონაცემები პარტიულ კომპიუტერში იყო შენახული. საარჩევნო სიებში ამ ადამიანთა პოვნა ქარდავამ ვერ შეძლო.

"მივმართავ ჩვენს მხარდამჭერებს, განსაკუთრებით - თბილისში, ქუთაისში, სხვა რეგიონებშიც: გამოიჩინეთ კეთილი ნება, 26 ოქტომბრამდე გამოცხადდით თქვენს საოლქო კომისიაში და ჩააწერინეთ თქვენი თავი საარჩევნო სიაში... მე ვთხოვ ტელევიზიას და პრესას, მიაწოდოს ჩვენი განცხადება ამომრჩეველს," – "24 საათი" ასრულებს ამ თხოვნას და მოხარული იქნება, თუ აღნიშნული წერილით სახელისუფლებო ბლოკი თუნდაც ერთ "დაკარგულ" ამომრჩეველს იპოვის.

დავის საგანი - პარტიული ფინანსები

პირველი გვერდიდან

შესაძლოა, ამის გამოც, გუშინდელ სხდომაზე ქართველი ექსპერტები და ევროსაბჭოდან წარმოგზავნილი დამკვირვებლები სხვა ქვეყნების მაგალითებზე მსჯელობდნენ. მაგალითად, ტაივანზე ერთ-ერთი საკრებულოს თავმჯდომარე, ამომრჩევლის მოსყიდვის ბრალდებით, თანამდებობიდან გაათავისუფლეს და შემდეგ დაუპატიმრეს კიდეც.

მთავარი ვნებათაღელვა ანტიკორუფციულ ბიუროში გუშინ მაინც პარტიების მიერ წინასაარჩევნოდ დახარჯული თანხების გარშემო იყო. სახელისუფლებო ბლოკს 22 ოქტომბრისთვის იურიდიული თუ ფიზიკური პირებიდან შემოსავალი 293 040 ლარიდან, დახარჯული ჰქონდა 288 945 ლარი. "ბურჯანაძე-დემოკრატების" შემოსავალი 118 000 ლარი იყო, დახარჯული - 134 571 ლარი. "მრეწველების" შემოსავლად 533 106 ლარი ჰქონდათ აღრიცხული, ხარჯი კი - მხოლოდ 185 756. "ლეიბორისტებს" შემოსავლის მითითება დაავიწყდათ, თუმცა ის კი ახსოვდათ, რომ ჯერ მხოლოდ 6567 ლარი და 61 521 დოლარი შემოეხარჯათ. "მემარჯვენეებმა" 579 170 ლარიდან 572 968 ლარი დახარჯეს. " ნაციონალურ მოძრაობას" აშკარად გადახარჯვა აქვს, რადგან შემოსავლის სახით 53 344 ლარი აქვს მითითებული, გასავლის სახით კი უკვე - 139 296 ლარი. გუშინ "აღორძინების" წარმომადგენელი სხვა პარტიების "გამოჭერას" ცდილობდა, მიუხედავად იმისა, რომ "დემოკრატიული აღორძინების კავშირს" მონიტორინგის ჯგუფისათვის თავისი პარტიის წინასაარჩევნო ქონებრივი დეკლარაცია საერთოდ არ წარუდგენია, ისევე, როგორც "არასახელისუფლებო ბლოკ სამშობლოს". ცნობისათვის, თუ ამგვარი უპასუხისმგებლობის გამო "ამღორძინებლები" დიდად არ დარდობენ, მომავალში ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემების მომტანი იქნება. როგორც მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი ექსპერტები ამბობენ, სანქციები მკაცრი იქნება, პარტიის რეგისტრაციიდან მოხსნის ჩათვლით.

"დემოკრატ" მაჭავარიანის აზრით, "საარჩევნო პერიოდში ყველაზე მეტ საფრთხეს ის ფინანსები წარმოადგენს, რომელიც არსად არის მითითებული და სხვადასხვა შემწეობის სახით რიგდება, თორემ ცდომილების აღმოჩენა, პარტიების მიერ საარჩევნო კამპანიაზე დახარჯულ თანხებში, იმ დეკლარაციებიდანაც შეიძლება, რომელსაც პარტიების პარალელურად მონიტორინგის ჯგუფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც წარუდგენენ.

საბოტაჟი „სამართლიანი არჩევნების" წინააღმდეგ

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" წევრთა განცხადებით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს 15 რაიონის საარჩევნო უბნები ჯერ კიდევ დაუფინანსებელია. 18 რაიონის უბნები ნაწილობრივ დაფინანსებულია.

არასამთავრობო ორგანიზაციის "სამართლიანი არჩევნების" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლის თამარ ჟვანიას განცხადებით, უმრავლეს რაიონებში საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა სიები და გასაჩივრების წესები გამოკრული არ არის და ამომრჩეველს საარჩევნო უბნები დაკეტილი ხვდება.

საგულისხმოა, რომ "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ მათი ორგანიზაციის შეგნებულ საბოტაჟში ადანაშაულებენ. თამარ ჟვანიას განცხადებით, ის სატელეფონო ნომრები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციას ამომრჩეველთათვის ტელევიზიითა და პრესით ჰქონდა გამოცხადებული, უკვე ერთი კვირაა, ყოველგვარი მიზეზის გარეშე გამორთულია. **"კავშირგაბმულობის სამინისტროში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვერანაირ პასუხს ვერ გვცემენ და არც ნომრებს გვირთავენ" ,** - აღნიშნა ჟვანიამ. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მოკლედ

მოლოდინაშვილის ვარაუდი

სახელისუფლებო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" დარწმუნებულია, რომ ოპოზიცია მოსახლეობას ფსიქოლოგიურად ამზადებს, რათა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ მასობრივი გამოსვლები დაიწყოს.

ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის ნუგზარ მოლოდინაშვილის განცხადებით, წინასწარ გამოქვეყნებული რეიტინგები და ოპოზიციური ძალების ლიდერების განცხადებები აბსოლუტური გამარჯვების შესახებ, მოსახლეობის ქუჩაში გამოყვანისთვის მომზადებას ემსახურება. **"ოპოზიცია აცხადებს, რომ სახელისუფლებო ბლოკი არჩევნებში შვიდპროცენტიან საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს. ამავე დროს, მათ კარგად იციან, რომ სურათი სხვაგვარია, "ახალი საქართველოსთვის" ამომრჩეველთა ხმების მინიმუმ 30 პროცენტს მოიპოვებს, რაც მათ ხელს არ აძლევთ. ამიტომაც აქცენტი გადატანილი აქვთ იმაზე, რომ 2 ნოემბრის შემდგომ მასობრივი გამოსვლები დაიწყონ",** - თქვა მან. მოლოდინაშვილის აზრით, შესაძლოა, არჩევნების შემდეგ ოპოზიციურმა პარტიებმა, გაუთავებელი სასამართლო პროცესებით და ამომრჩეველთა ხმების რამდენჯერმე გადათვლის მოთხოვნით, საკანონმდებლო მუშაობის პარალიზება გამოიწვიონ და საკონსტიტუციო ვაკუუმი შექმნან". **პრაიმ-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. "პოლიცია და საზოგადოება" - ასე ჰქვია წიგნს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციამ "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" 2000-იანი ტირაჟით გამოსცა.წიგნში შესულია საქართველოში პოლიციისა და საზოგადოების ურთიერთობის ანალიზი და რეკომენდაციები შექმნილი სიტუაციის გამოსასწორებლად. გარდა ამისა, აქ შეტანილია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოში მოქმედი კანონები, რომელიც პოლიციასა და ადამიანის უფლებებს ეხება. წიგნი პოლიციელებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს უსასყიდლოდ გადაეცემა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტთან დაკავშირებით ბაკურიანში სამდღიანი კონფერენცია დაიწყო. კონფერენციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია გახსნის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტს და მასში შეტანილ ცვლილებებს კონფერენციაზე მიმოიხილავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის ჯგუფის თავმჯდომარე მერაბ ტურავა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი რამდენიმე თვეა, რაც სხვადასხვა კონფერენციისა და სემინარის მსჯელობის საგანია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე, დიკლოს საგუშაგოზე, საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის გამო რუსეთის ფედერაციის ორი მოქალაქე დააკავეს. მათ ჩხრეკისას აღმოაჩნდათ ერთი "კალაშნიკოვის" ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, "F-1" ტიპის ხელყუმბარა და 20 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამჟამად მიმდინაროებს დაკავებული პირების იდენტიფიკაცია, თუმცა უკვე დადასტურებულია, რომ ისინი დაღესტანში ცხოვრობენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მეტროსადგურ „ვარკეთილთან" ჩადენილი ქურდობის ბრალდებით თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციელებმა 14 წლის თემურ ავდოიანი დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, 21 ოქტომბერს ავდოიანმა მეტროსადგურ „ვარკეთილთან" ხელჩანთა მოჰპარა ლია ხმიადაშვილს, რომელშიც 250 ლარი და პირადი ნივთები იყო. ნაქურდალი ამოღებულია. არასრულწლოვანი ავდოიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურამ აღძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ხუთშაბათს, საღამოს, თბილისს სამდღიანი ვიზიტით ეწვევა პოლონეთის სასაზღვრო უწყების დელეგაცია ოთხი თანამშრომლის შემადგენლობით. დელეგაციას უხელმძღვანელებს სასაზღვრო პოლიციის მეთაური იოზეფ კლიმოვიჩი.

ამასთან, პოლონეთისა და საქართველოს სასაზღვრო უწყებათა ხელმძღვანელები - იოზეფ კლიმოვიჩი და ვალერი ჩხეიძე ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივებს განიხილავენ და უწყებათაშორისო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას გააფორმებენ. **პრაიმ-ნიუსი**

შეტაკება ბათუმში

ხელჩართული ბრძოლა ბათუმის ქუჩებში.

"ნაციონალების" საარჩევნო აგიტაციის აუტოდაფე.

პირველ შეხლა-შემოხლაში კობა დავითაშვილი დაზარალდა.

თავგატეხილი გივი თარგამაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ყველაზე მძიმე დაზიანებები კობა ხაბაზმა მიიღო.

ასეთი რამ ათი წელია, ბათუმში არ ყოფილა.

ПЕРВЫЕ ГВЕРДИДАН

ამის შემდეგ დაიწყო მიტინგის უმოწყალო დარბევა. "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების მიმართ ნამდვილი ნადირობა გაიმართა. დავარდნილებს რამდენიმე კაცი გამეტებით ურტყამდა. პარალელურად დაიწყო ვიდეო-კამერების დევნა. სასტიკად სცემეს აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტი, ტელეკომპანია "იმედის" ოპერატორი და "გაზეთ ბათუმელების" ვებ-გვერდის რედაქტორი. "იმედის" ვიდეოკამერა, რომელზეც აჭარის ტელევიზიის ოპერატორის ცემის ფაქტი იყო დაფიქსირებული, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ოფიციალური სტრუქტურების განცხადებით, კამერას მთელი ღამის განმავლობაში ეძებდნენ აჭარის პოლიციის და უშიშროების წარმომადგენლები, მაგრამ, მათი განმარტებით, დამტვრეულიც კი ვერსად იპოვეს.

ჟურნალისტების დარბევის პარალელურად, ბრბო (სავარაუდოდ სპეცსამსახურის გადაცმული წარმომადგენლები) სდევნიდა "ნაციონალების" დარჩენილ მცირე ჯგუფებს. დაზარალებულთაგან ვინც მოახერხა, "ნაციონალების" ცენტრალურ ოფისს შეაფარა თავი.

ანგარიშსწორება აქ გაგრძელდა. დაარბიეს ოფისი და იქ თავშეფარებულ ადამიანებსაც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. თავგატეხილი გივი თარგამაძე სამედიცინო დახმარების მანქანამ წაიყვანა.

დაზარალებულების ნაწილი, ძირითადად ადგილობრივი აქტივისტები - დაუზუსტებელი ინფორმაციით ხუთი ადამიანი, გადაიყვანეს ბათუმის N1 საავადმყოფოში. ყველაზე მძიმე დაზიანება "ნაციონალების" მაჟორიტარ კანდიდატს ქობულეთში კობა ხაბაზს დაუფიქსირდა.

მოგვიანებით ბათუმში გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ნაციონალების" თბილისის ოფისიდან ბათუმში წამოვიდა 300-კაციანი ჯგუფი. აქედან გამომდინარე, ქალაქში შესაბამისი "სამზადისი" დაიწყო, მაგრამ ეს ინფორმაცია არაზუსტი აღმოჩნდა.

დარბეული "ნაციონალების" ჯგუფები შეღამებისას ჩოლოქს გაღმა მხოლოდ იმიტომ გაჩერდნენ, რომ ბათუმში ჩარჩენილებს დალოდებოდნენ. რამდენიმე მძიმედ დაზიანებული მომიტინგე (ძირითადად ქუთაისიდან), ოზურგეთის პოლიციის დახმარებით, ჩოლოქიდან გადაიყვანეს საავადმყოფოებში. სხვები კი გვიან ღამემდე ელოდნენ ჩარჩენილებს და აცხადებდნენ, რომ, თუნდაც ერთი ადამიანის არ გამოჩენის შემთხვევაში, უკან დაბრუნდებოდნენ.

რაც შეეხება "ნაციონალების" მაჟორიტარ კანდიდატს დავით ბერძენიშვილს, იგი დარბევის შემდეგ აღარ გამოჩენილა, ჟურნალისტებთან სატელეფონო საუბარში კი აღნიშნა, რომ ფაქტები თავად მეტყველებდნენ ყველაფერზე და მეტი არაფრის თქმა შეეძლო.

მიტინგის დარბევის შემდეგ "აღორძინების" მხარდამჭერთა შეკრება გაიმართა, სადაც გამომსვლელები აცხადებდნენ, რომ აჭარაში სააკაშვილის არ ეშინიათ და მზად არიან, ტყვიის გავარდნის შემთხვევაშიც კი, დაიცვან ადგილობრივი ხელისუფლება.

24 საათი

"ჩვენი ქვეყანა დაყოფილია გეტოებად"

ასეთია მაია ნადირაძის დასკვნა ბათუმის მოვლენების შემდეგ

"ჩვენი ქვეყანა დაყოფილია გეტოებად, სადაც ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს თავისუფლად გადაადგილების საშუალება არ გვაქვს... ძალიან მნიშვნელოვანია, რას იტყვიან ამ ფაქტზე ოპოზიციური პარტიები. მგონი, დროა უკვე ყველამ ერთად ამოვიღოთ ხმა. ასე გაგრძელება, ასეთ ქვეყანაში ცხოვრება შეუძლებელია," - აღნიშნა მაია ნადირაძემ ბათუმში გუშინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, "ნაციონალური მოძრაობა" არ მოელოდა ასლან აბაშიძისგან თბილ დახვედრას, თუმცა საღი აზრის გათვალისწინებით, ასლან აბაშიძეს მსგავსი რამ არ უნდა მოეწყო. **"მინდა, ბატონ აბაშიძეს და "აღორძინებას" გავაგებინო, რომ "ნაციონალების" შეშინება ასეთი მეთოდებით ძნელია. მოხვედრილი მუშტი ვერ დაგვიშლის აჭარის, ჩვენი ქვეყნის ნაწილის სიყვარულსა და მის დაცვას,"** – აცხადებს ნადირაძე. მისი ინფორმაციით, ბათუმში "ნაციონალურ მოძრაობასა" და "აღორძინების" მხარდამჭერებს შორის მომხდარი დაპირისპირების შედეგად, ექვსი ადამიანია დაკავებული, სერიოზული ფიზიკური ტრავმები მიიღეს გივი თარგამაძემ და კობა დავითაშვილმა, დაშავებულები არიან ჟურნალისტებიც.

24 საათი

მაია ნადირაძე: "ნაციონალების" შეშინება ასეთი მეთოდებით ძნელია."

პრეზიდენტი, რომელმაც შეარყია მითი აბაშიძეზე

ПЕРВЫЕ ГВЕРДИДАН

აღიარებულ ჭეშმარიტებად იქცა საქართველოში – აჭარაში მაინც ყველაფერი ისე იქნება, როგორც ეს ასლან აბაშიძეს სურს და ამიტომ, ძალისხმევის გამოჩენაც კი არ ღირს.

ასეთი მიდგომების გამოა, რომ აბაშიძე, უკვე ძალიან დიდი ხანია, აღარაფერს რიცხავს ცენტრალურ ბიუჯეტში; არ უშვებს ციხიდან თენგიზ ასანიძეს, რომელიც პრეზიდენტმა შეიწყალა და უზენაესმა სასამართლომ გაამართლა; ძალადობით ახშობს დამოუკიდებელი მედიის შექმნის ნებისმიერ მცდელობას; საკუთარ შვილს ქალაქის მერად ნიშნავს და პოლიტიკურ მემკვიდრედ იმზადებს; აჭარაში ამომრჩეველთა სიას იმდენად ზრდის, როგორც მას ეს ხელს აძლევს, და ასე შემდეგ, დაუსრულებლად.

ის, რაც გუშინ მოხდა, ერთ დღეს აუცილებლად მოხდებოდა. მომხდარი სწორედ იმის დასტურია, რომ იმ ოაზისს, რომელიც აბაშიძემ არალეგალური ბიზნესიდან მიღებული შემოსავლებით, ამ შემოსავლებით შექმნილი "სპეცნაზის" და მოსახლეობისათვის წართმეული უფლებების ხარჯზე მოიწყო და რომელიც კორუმპირებული და სუსტი ხელისუფლების დანამატს წარმოადგენს, აჭარის პატარა დიქტატორი დიდხანს ვერ შეინარჩუნებს.

ჯემალ გოგიტიძის "არგუმენტი", რომ ოპოზიციას, თურმე, აბაშიძის საძინებელ ოთახში უნდოდა შეღწევა და აჭარის ხელისუფლებამ თავის დაცვა შეიარაღებული ფორმირებებით სცადა, ის ნაბოდვარია, რომელიც ვერანაირად ვერ ამართლებს ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის კონსტიტუციური უფლების წართმევას - დემონსტრაცია მოაწყონ იქ, სადაც უნდათ, ხელისუფლებასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია კი, იმისდა მიუხედავად, მოსწონს თუ არა ეს აჭარის ლიდერს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება.

ის, რაც გუშინ მოხდა, მართლაც თვალსაჩინო პრეცედენტია, რამაც შეარყია მითი აბაშიძეზე. იმ აბაშიძეზე, რომელიც დიდი ხანია, თავს იწონებდა, რომ მის სამფლობელოში "მხედრიონმაც" კი ვერ გაბედა ცხვირის შეყოფა.

"ნაციონალურმა მოძრაობამ" ყინულმჭრელის ფუნქცია იტვირთა, მაგრამ უკვე არსებული რეალობის რადიკალურად შეცვლას მარტო ეს პოლიტიკური პარტია ვერ შეძლებს. ოპოზიციური პარტიები, რომლებიც დემოკრატიული ღირებულების დაცვაზე დებენ თავს, დღეს ნეიტრალური კომენტარებით არ უნდა იფარგლებოდნენ, რადგან ქართული დემოკრატიის დაცვა არა მარტო თბილისიდან, არამედ აჭარიდან, ქვემო ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან უნდა იწყებოდეს.

კომენტარები

მიხეილ სააკაშვილი

ასლან აბაშიძისა და "აღორძინებისთვის" სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა - ქუჩაში გამოვიდა ათასზე მეტი ბათუმელი და ამ ათასზე მეტმა ადამიანმა მოინდომა თავისი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან შეხვედრა. აჭარაში, სადაც ორი ადამიანი როცა ერთად დგას, უკვე საეჭვოა და სადაც ჩურჩულითაც ვერ ბედავენ საუბარს მთავრობაზე, უცებ შეიკრიბა ათასზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი და ითხოვდა თავისი უმთავრესი უფლების განხორციელებას.

ამან ჩააგდო ისინი შოკში. ეს არ იყო ორმხრივი შეტაკება. შეტაკება ხდება მაშინ, როდესაც ორივე მხარეა დაზარალებული. მათ დაგვახვედრეს ათასზე მეტი კარგად გაწვრთნილი შეიარაღებული ჯარისკაცი, სრულიად უკანონოდ შექმნილი კომანდოს ბატალიონი და როდესაც ჩვენები გადავიდნენ მეორე ქუჩაზე და იქ დაიწყეს მიტინგის გამართვა, იქ დაესხნენ თავს. მას შემდეგ, რაც ჩვენი აქტივისტები გაერიდნენ და შტაბ-ბინაში წავიდნენ, მათ იქ მიუვარდნენ, დაარბიეს ჩვენი პარტიის შტაბ-ბინა, დაწვეს ყველაფერი, რაც ნახეს. სხვათა შორის, პირველ რიგში, დიდი სიხარულით გაანადგურეს ის პლაკატი, სადაც ეწერა – "საქართველო შევარდნაძის გარეშე"...

ჩვენი მიზანი არ ყოფილა პროვოკაციის მოწყობა. თითოეული ჩემი თანამებრძოლის გატეხილი თავი მირჩევნია ყველა ამ ნაძირალას ერთად აღებულს. ჩვენი მიზანი არის მშვიდობიანი, სტაბილური, წარმატებული საქართველო, სადაც არ არიან ფეოდალები, სადაც არ არის ჩოლოქის მსგავსი ბარიერები.

აზიზ ახვლედიანი

"მოქალაქეთა კავშირის" აჭარის ორგანიზაციის ლიდერი აზიზ ახვლედიანი აცხადებს, რომ ბათუმში ხუთშაბათს მომხდარი ინციდენტით, **"თბილისი კიდევ ერთხელ უნდა დარწმუნდეს, თუ ვისთან აქვთ საქმე ადგილობრივ "მოქალაქეთა კავშირის" ორგანიზაციას და სხვა ოპოზიციურ პარტიებს აჭარაში, სადაც შეუძლებელია მიტინგის თავისუფლად ჩატარება."** მისი თქმით, მასმედია არანაირ ყურადღებას არ აქცევს აქაურ ორგანიზაციებს, მათ შორის, "მოქალაქეთა კავშირს".

"რამდენჯერმე მოვიდნენ ე.წ. ტელევიზიების წარმომადგენლები და როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების მძაფრი კრიტიკა არ მოეწონათ, ინტერვიუ არ გაუშვეს," - თქვა ახვლედიანმა. **პრაიმ-ნიუსი**

თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ აჭარაში დისლოცირებულ საჯარისო ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობას არ იღებდნენ ბათუმში, ბლოკ "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობის" დემონსტრაციის მონაწილეთა ბლოკირებაში.

უწყების პრესსამსახურის ცნობით, მინისტრის ბრძანების გარეშე, ასეთ სიტუაციებში ქვედანაყოფებს ვერ გამოიყენებენ. მათივე ინფორმაციით, ასეთი ბრძანება არ გაცემულა. **პრაიმ-ნიუსი**

დათო ზურაბიშვილი

როცა ნებისმიერი პარტია დააპირებს საკუთარი კონსტიტუციური უფლებების გამოყენებას, ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია ეს აიტანოს. ბათუმში რა სიტუაციაც არის, გასაგებია. დიდი ხანია იქ არანაირი ოპოზიციური პარტიის შეკრება არ ჩატარებულა, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თითქოს ამას წინასაარჩევნოდ ყველა შეეგუა, მათ შორის ოპოზიციაც. შევეგუეთ იმას, რომ რაც იქ ხდება ეს ნორმალურია. მაგრამ ეს ძალიან არანორმალური მოვლენაა და, თავი რომ დავანებოთ იგივე დემოკრატიას და კანონიერებას, ეჭვქვეშ არის დაყენებული სახელმწიფოებრიობის მთლიანობის საკითხი, იმიტომ რომ აჭარა აკეთებს იმას, რაც მოესურვება.

დავით უსუფაშვილი

არა მგონია, ნორმალურ მოქალაქეს უხაროდეს და მოსწონდეს ნებისმიერი სახის დაპირისპირება, არა აქვს მნიშვნელობა, მოქალაქეები და სამართალდამცავები უპირისპირდებიან ერთმანეთს თუ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების ადამიანები. მაგრამ ამის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება არის ის, რომ მოქალაქეებს ყოველთვის და ყველგან გარანტირებული ჰქონდეთ თავისი კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის საშუალება. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეკრებების თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება და სხვა ფუნდამენტური თავისუფლებები პრაქტიკულად ათწლეულების განმავლობაში იყო იგნორირებული.

შესაძლებელი უნდა იყოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქალაქეების მიერ თავისი შეხედულებების მშვიდობიანი ფორმით გამოთქმა.

გია ნოდია

აბაშიძის ხელისუფლება ემყარება ძალაუფლების იმ სისტემას, რომელიც გამორიცხავს რაიმე ოპოზიციური აზრის გამოხატვას საჯაროდ. ამიტომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ დაუშვას მიტინგების და დემონსტრაციების პრეცედენტი, რადგან მისი აზრით, თუ ეს ერთხელ მოხდა, მსგავსი ფაქტები კიდევ განმეორდება. ეს კი, თავის მხრივ, იქნება ნიშანი იმისა, რომ პოლიტიკური სისტემა აჭარაში შეიცვალა. გახდება თუ არა ეს ფაქტი დადებითი პრეცედენტი და ამის შემდეგ მართლაც შეიცვლება თუ არა რამე აჭარაში, ამის თქმა, ჯერჯერობით, ნაადრევია. ყველაფერი დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი გაგრძელება მოყვება ამ მოვლენებს.

არჩილ გეგეშიძე

აბაშიძის მმართველობა აჭარაში ბევრი რამით წააგავს აზერბაიჯანის სისტემას. აჭარის ხელისუფლების მხრიდან დღეს ჩვენ იგივე არგუმენტებს ვისმენთ, როგორიც მოვისმინეთ აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან, რომ ეს იყო გადატრიალების მცდელობა და ის კანონიერად აღკვეთეს. გარდა ამისა, მე მოველი, რომ ცენტრალური ხელისუფლება აიტაცებს ამ არგუმენტებს და მხარს დაუჭერს აჭარის მოქმედებას.

რაც მოხდა ბათუმში, ეს არის საპარლამენტო არჩევნების წინ ძალიან არასასურველი სცენარი. ასეთი პრეცედენტის შექმნის შემდეგ ნაკლები იმედი უნდა გვქონდეს, რომ 2 ნოემბრის არჩევნები მშვიდ სიტუაციაში ჩაივლის.

"ახალი მენეჯმენტი" მოქმედების პროგრამას ამზეურებს

მოსახლეობას ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა წინასწარ მოუწევს

"თბილგაზში" 10-წლიანი მართვის უფლებით შესულმა "ახალმა მენეჯმენტმა" საწარმოში შესვლიდან 23-ე დღეს, გუშინ, საკუთარი გეგმის პირველი პრეზენტაცია მოაწყო.

გუშინდელი დღე შემთხვევით არ იყო შერჩეული - გუშინ ბუნებრივი აირის მიწოდება მთელ თბილისს აღუდგა.

პრეზენტაციაზე "ახალმა მენეჯმენტმა" ჟურნალისტებს რუსეთში მოსალოდნელ ვიზიტზე, ახალი მრიცხველების დაყენების პერსპექტივასა და თავად "თბილგაზის" თანამშრომლების წინაშე დაგროვილი დავალიანებების გასტუმრების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

სააქციო საზოგადოება "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ნოდარ გობიანიძე აირის მოწოდების თაობაზე "გაზპრომთან" ხელშეკრულების გასაფორმებლად უახლოეს დღეებში მოსკოვში ჩასვლას გეგმავს.

როგორც გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გობიანიძემ განაცხადა, ხელშეკრულება "გაზპრომის" შვილობილ კომპანია "გაზექსპორტთან" უკეთესი პირობებით გაფორმდება.

"თბილგაზის" ახალი ხელმძღვანელობა თბილისელებს უწყვეტ გაზმომარაგებას ჰპირდება, ოღონდ იმ პირობით, რომ მოსახლეობა მოხმარებული აირის საფასურს პირნათლად გადაიხდის. "თბილგაზი" 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს "გაზექსპორტისგან" 60 დოლარად შეიძენს.

გობიანიძემ ისიც აღნიშნა, რომ ინკასატორებს აღმრიცხველები ჩაეგანცვლებინა, რომლებიც მოსახლეობაში მხოლოდ მრიცხველის ჩვენებას დააფიქსირებენ და ქვითარს გამოწერენ, გამოწერილი ქვითრით კი მოსახლეობა ბუნებრივი აირის საფასურს, სავარაუდოდ, ბანკებში გადაიხდის.

ს/ს "თბილგაზის" ახალი ხელმძღვანელობა ავსტრიულ კომპანია "ელსტელთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩინური მრიცხველების ავსტრიულით ჩანაცვლების საკითხზე.

გუშინ "თბილგაზში" განაცხადეს, რომ ამჟამად კომპანიის წარმომადგენელი თურქეთში იმყოფება, სადაც "ელსტელს" წარმომადგენლობა აქვს გახსნილი.

კომპანიაში აღნიშნავენ, რომ "ელსტელის" პარალელურად მრიცხველების შეძენის თაობაზე მოლპარაკებები მიმდინარეობს ქართულ კომპანიებთანაც. ჩინური მრიცხველები ახალ სისტემაზე იმუშავებს. მომხმარებელი აირის გარკვეულ რაოდენობას ბარათით შეიძენს (მონო-ბარათის მსგავსად), აღნიშნული ბარათის კოდს მრიცხველში შეიყვანს, დეპოზიტის ამოწურვის შემდეგ კი მრიცხველი ავტომატურად გაჩერდება და მომხმარებელს ახალი ბარათის შეძენა მოუწევს.

წინასწარი გადახის მრიცხველებს "თბილგაზი" საკუთარი სახსრებით დაამონტაჟებს, მანამდე კი კომპანია აპირებს, სემეკ-ს მიმართოს და გაზის დანადგარების მიხედვით ფიქსირებული გადასახადის შემოღება სთხოვოს.

დაბოლოს - "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ნოდარ გობიანიძემ განაცხადა, რომ უახლოეს ხანში კომპანია "თბილგაზის" თანამშრომლების მიმართ არსებულ სახელფასო დავალიანებას გაისტუმრებს, რომელიც 700 ათას ლარს გაუტოლდა, ოქტომბერში კი უკვე ოქტომბრის ხელფასს გასცემს და ძველ დავალიანებასაც ეტაპობრივად დაფარავს.

24 საათი

ბიზნესსაზოგადოება პუტინს ურთიერთთავდაუსხმელობის შეთანხმებას სთავაზობს

რუსული ბიზნესსაზოგადოება პუტინს აუდიენციას სთხოვს. ბიზნესმენები აპირებენ, პუტინთან სამართალდამცავი ორგანოების განუკითხავი მოქმედებების გამო იჩივლონ და რადგან მშვენივრად აცნობიერებენ, რომ ყველაფერი სწორედ რუსეთის პრეზიდენტ პირისგან მოდის, მას "თავდაუსხმელობის" შესახებ შეთანხმების დადებას სთავაზობენ.

თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კრემლი მოლაპარაკებებზე არ წავა. ოთხშაბათს РСПП, "Деловой Россия" და "ОПОР"-ის წარმომადგენლებმა პუტინს ღია წერილით მიმართეს, რომელშიც მოახსენეს, რომ **"ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობა კვლავ გამწვავდა".**

წერილის ავტორები ჩივიან, რომ ხელისუფლება ებრძვის იმ ბიზნესმენებს, რომლებმაც კეთილი ნება გამოხატეს და საკუთარი შემოსავლების დეკლარირება მოახდინეს. ამ დროს კი "ჩრდილში მომუშავე" შავი ბიზნესი კვლავ წარმატებულად მუშაობს.

"ისეთი "ღია აღმზრდელობითი სამუშაოები", როგორიცაა სერიოზული ბიზნესმენების დაპატიმრება, რუსული ბიზნესის დისკრედიტაციას ახდენს," - ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს აწერენ "ЮКОС"-ის სახელით მიხეილ ხადაროვსკი, "Альфа-групп"-ის პრეზიდენტი მიხაილ ფრიდმანი, "Интеррос"-ის პრეზიდენტი ვლადიმირ პოტანინი, РАО "ЕЭС России" -ს მმართველი საბჭოს თავმჯდომარე ანატოლი ჩუბაისი, რუსეთის მეწარმეთა კავშირის ხელმძღვანელი არკადი ვოლსკი და სხვები.

დღეს ბიზნესმენებსა და ხელისუფლებას შორის შეთანხმების პროექტი განიხილება ნიჟნი ნოვგოროდში მიმდინარე საზოგადოებრივ ფორუმზე სახელწოდებით - "ხელისუფლება და ბიზნესი". ინიციატორთა აზრით, ამ "საზოგადოებრივმა შეთანხმებამ" უნდა ჩაანაცვლოს პუტინის არჩევის დროს მიღწეული არაფორმალური შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ბიზნესმენები უარს იტყოდნენ პოლიტიკურ ამბიციებზე, ხელისუფლება კი პრივატიზაციის შედეგების გადახედვაზე.

24 საათი

Microsoft-ის ახალი პროგრამა

ანა გახარია

კორპორაცია Microsoft-მა ახალი ვერსიის Office System2003-ის პრეზენტაცია გამართა. იმის მიუხედავად, რომ ახალი პროგრამა უკვე არსებულზე ბევრად დახვეწილი და სრულყოფილია, კორპორაციას მისი დანერგვისათვის დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რადგან, მომხმარებელთა აზრით, Microsoft-ის სერვისი ისედაც დამაკმაყოფილებელია. გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ პროგრამის 400 მილიონზე მეტი მომხმარებელი არსებული პაკეტის მხოლოდ ნახევარს იყენებს და დამატებითი ფუნქციების საჭიროებას ვერ ხედავს. შესაძლებელია, ყოველივე ამან კორპორაციას სერიოზული პრობლემები შეუქმნას და შეასუსტოს მისი კონკურენტუნარიანობა.

Microsoft ყველაფრის მიუხედავად ცდილობს დაარწმუნოს მომხმარებელი ახალი სისტემის აუცილებლობასა და ეფექტურობაში. კორპორაციის ანალიტიკოსი რიკ შერლუნდი აცახადებს, რომ ახალი ვერსია ასევე განკუთვნილია Microsoft-ის დანართებთან სამუშაოდ და მომხმარებელს ეხმარება ინფორმაციის ეფექტურ გაცვლაში, შენახვასა და დამუშავებაში.

აღსანიშნავია, რომ 1990 წლიდან მოყოლებული "Office System 2003" Microsoft-ის რიგით მეთერთმეტე პროგრამაა. მისი ავტორები ახალი პროგრამის მარკეტინგის სათანადო რეკლამირებისა და საავჭრო შუამავლებისათვის კორპორაციის წლიურ ხარჯებს 500 მილიონ დოლარამდე გაზრდის, რაც 2001 წელს იმავე დანიშნულებისათვის გაწეულ ხარჯებს 350 მილიონი დოლარით აღემატება. ასევე პირველად იგეგმება სატელევიზიო რეკლამის გამოყენება.

ამერიკული კომპანია "Euro Pak International Inc."

გთავაზობთ კომპიუტერული ტექნიკის ფართო არჩევანს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლებისგან IBM, DELL, COMPAQ, HP, TOSHIBA, SONY, როგორც ძველს ასევე მეორადი მოხმარების, საცალო და სამითეო ფასებში. ფასები სომხეთში საწყობებიდან: Intel Pentium I 37$-დან, Intel Pentium II 102$-დან, Intel Pentium III 200$-დან. ავრეთვე 15" და 17" მონიტორების 45$-დან და ნოუთბუქების 390$-დან. სრულყოფილი სავარანტიო და სервისული მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენი წარმომადგენლობებია:

საქართველოში: ტელ: 22 78 59, 899 74 50 65

სომხეთში: ტელ: (3741) 52 92 30, ფაქსი: (3741) 52 92 30

E-mail: optsales@gig.am

URL: http://www.gig.am

მონიტორინგი

სახელმწიფო ბიუჯეტის შემორება

იანვარიდან ივლისამდე 23 ოქტომბრისაგან

ბრუნ. ლარებში

დასახელება	წლის პროგნოზი	შემოსულობა	%	22 ოქტომბერი
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	1127.4	735.46	65%	1.11
ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები და ტრანსფერტები	833.7	528.19	63%	0.69
საგადასახადო შემოსავლები	658.9	457.77	69%	0.57
მოგებიდან გადასახადი	244.2	175.93	72%	0.37
საშემოსავლო გადასახადი	49.5	32.02	65%	0.03
დღგ-ის ადგილობრივი	239.79	175.81	73%	0.61

ხარისხის შემოწმება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოხდება

ნინო ნარჩემაშვილი

დღეს დასრულდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვირეული საქართველოში. გუშინ კი მის ფარგლებში პროდუქციის შესაბამისობის გამოცდის ცენტრის პრეზენტაცია მოეწყო. აშენდა ხარისხის შესამოწმებელი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც გაერო-ს განვითარების პროგრამისა და საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაციის მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტი გახლავთ. იგი საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში ხორციელდება.

ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის გახსნა.

ფოტოგრაფია სსიპ-ის საინფორმაციო ფოტოდან

პროექტის საერთო ღირებულება 550 აშშ დოლარია, საიდანაც 150 ათას დოლარს გაერო-ს განვითარების პროგრამის გრანტი წარმოადგენს, იმავე ოდენობის თანხა საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაციამ გამოყო, ხოლო 100 ათასი დოლარი - გერმანიის არასამთავრობო ორგანიზაცია "ტუვნორდმა". აღსანიშნავია, რომ ხარისხის ასეთი ლაბორატორია, ჯერჯერობით, ერთადერთია კავკასიაში და არსებობს პერსპექტივა, რომ იგი რეგიონის სხვა ქვეყნებსაც მოემსახურება. რაც შეეხება ლაბორატორიის მიზანს, ექსპორტიორთა ასოციაციის პრეზიდენტის თამაზ აგლაძის თქმით, იგი ქართული პროდუქციის საბაზრო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, შიდა და გარე ბაზრებზე ფალსიფიკაციის შემცირებას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულებას, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს. ახალგახსნილი ხარისხის ლაბორატორიის მნიშვნელობაზე ბევრი ისაუბრა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ და მთავრობაც კი გააკრიტიკა. მან აღნიშნა, რომ ხარისხის ლაბორიტორიის გახსნა, პირველ რიგში, ქართველი ბიზნესმენებისთვის არის აუცილებელი და მთავრობა არ უნდა გახდეს ბიზნესის შემაფერხებელი. საჭიროა, ბიზნესში აღმოიფხვრას გარიგებები და სერიოზულად ვებრძოლოთ კორუფციას, რომ დღეს საქართველოში შექმნილი გარემო ბიზნესის შემაფერხებელ ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს; ეს კი ხელისუფლების დანაშაულია და თუკი მდგომარეობა არ გამოსწორდა, **"საქართველო გაწირულია სიღარიბისთვის."**

ენერგოქაოსი ლიახვის ხეობაში

პირველი გვერდიდან

ცხინვალის მხრიდან ქართული სოფლებისთვის ელექტრომომარაგების აღდგენის წინაპირობა იგივეა ხოლმე, რაც ყველგან: ქართულმა მხარემ დავალიანების გადახდა ეტაპობრივად მაინც უნდა დაიწყოს.

ანალოგიურ პრობლემას პირველად არ წააწყდნენ ლიახვის ხეობის ქართული სოფლები. საქმე ისაა, რომ ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საკითხი კონფლიქტურ რეგიონში მდებარე ტერიტორიაზე არათუ მოუგვარებელია, არამედ საქართველოს მთავრობაში წარმოდგენაც არავის აქვს, თუ ვინ უნდა აწარმოოს ეს საქმე.

"საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" (გსეკ) აცხადებენ, რომ ლიახვის ხეობის სოფლების ელექტრომომარაგების თაობაზე ინფორმაციას არ ფლობენ. **"ჩვენ ცხინვალის რეგიონს შუქით არ ვამარაგებთ. ვამარაგებთ გორს, თანაც - შეზღუდვის გარეშე. შესაბამისად, ლიახვის სოფლებში დენი უნდა იყოს, რადგან ეს რეგიონი "გსეკ"-ის გორის ფილალს ეკუთვნის,"** – აცხადებენ "გსეკ"-ში.

ლიახვის ხეობაში ელექტროენერგიის დისტრიბუციას ადგილობრივი გამგეობის დაქვემდებარებაში არსებული "ლიახვის ენერგოკომპანია" აწარმოებს, რომლის დირექტორი ანზორ ყოჩიშვილი უშუალოდ გამგებლის – ნოდარ ყოჩიშვილის მითითებებით მოქმედებს. "24 საათთან" საუბრისას ყოჩიშვილებმა პირველად გაიგეს, რომ ადგილობრივი ენერგოკომპანიები მთელი საქართველოს მასშტაბით ექვემდებარებიან "გსეკ"-ს. **"ჩვენ ელექტროენერგიას ცხინვალიდან ვიღებთ და ხელშეკრულებაც ცხინვალის ადმინისტრაციასთან გვაქვს გაფორმებული. რეგიონის ელექტრომომარაგებაზე არც გორის ქსელებთან და არც "გსეკ"-თან არასოდეს გვისაუბრია,"** – განუცხადა "24 საათს" კონფლიქტური რეგიონის გამგებელმა.

ჩანს, ამერიკული "პი-ეი კონსალტინგის" მიერ მართული ენერგოკომპანიის მენეჯერთა ყურადღება რეგიონის პრობლემებისაკენ დღემდე არავის მიუპყრია. "გსეკ"-ში აცხადებენ, რომ თუ დენის საფასური სრულყოფილად იქნება გადახდილი, მაშინ კომპანიისთვის ლიახვის ხეობის ქართული სოფლების ელექტრომომარაგება პრობლემას არ წარმოადგენს და მორიდებით აზუსტებენ, რომ კონფლიქტური რეგიონის ელექტრომომარაგების საკითხის გადაჭრა "გსეკ"-ის კომპეტენციაში არ შედის.

საბოლოოდ, გაურკვეველია, რატომ აწვდის დენს ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებს ცხინვალი მაშინ, როცა ეს სოფლები ადმინისტრაციულად გორის რაიონში შედის. თუმცა, ქართულ სინამდვილეში ეს საკუთარი მოსახლეობის ინტერესების იგნორირების პირველი შემთხვევა არ არის. ანალოგიურად, აფხაზეთიდან მარაგდება გალის მოსახლეობაც. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები ელექტროენერგიას, როგორც ცნობილია, ენგურჰესიდან იღებენ. ენგურის ჰიდროელექტროსადგური კი, მოგეხსენებათ, გალის რაიონში მდებარეობს.

სხვათა შორის, ლიახვის ხეობის სოფლების ელექტრომომარაგების საკითხის გადაჭრა არც ისე რთულია. ლიახვის ხეობას - კერძოდ კი, სოფელ კეხვს 1-მეგავატიანი "კეხვიჰესი" აქვს, რომელსაც ელექტროენერგიაზე ქართული სოფლების მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია. მიუხედავად ამისა, დღეს სადგური არ მუშაობს. ის მხოლოდ 35-კილოვოლტიანი ქვესადგურის ფუნქციას ასრულებს და მის კომპეტენციაში ცხინვლიდან მიღებული დენის შეზღუდვა შედის. შეზღუდვა კი იმისთვის არის საჭირო, რომ მოსახლეობამ დადგენილზე მეტი დენი არ მიიღოს: ცხინვალის მიერ დადგენილი ლიმიტით, ხეობა ელექტროენერგიით მხოლოდ საღამოს საათებში – 8-დან 12 საათამდე მარაგდება (გამონაკლისის მხოლოდ სოფელი თამარაშენი წარმოადგენს, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით მრიცხველების გარეთ გამოტანა მოახერხა და, შესაბამისად, მას "ლიახვის ენერგოკომპანია" ელექტროენერგიით დილის 10 საათიდან ღამის 1 საათამდე ამარაგებს).

"კეხვიჰესი" 1998 წლიდან შპს "ვატ-ელ.ტე.დე"-ს 10-წლიანი იჯარით აქვს აღებული. სადგურზე ორი 0,5-მეავატიანი ტურბინა დგას, რომელთაგან ერთს კაპიტალური რემონტი სჭირდება, მეორეს კი მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება მაინც. გასაწმენდია სადერივაციო არხიც.

როგორც "კეხვიჰესის" გენერალურმა დირექტორმა ზაურ კახნაშვილმა გვაცნობა, კეხვის ჰიდროელექტროსადგურმა 2000 წლის მაის-ივნისში ორი თვე იმუშავა და იმის გამო გაჩერდა, რომ გორის სადისტრიბუციო ქსელებმა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური არ გადაუხადა. **"სადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია დიდი ლიახვის ხეობას თავს გადაუვა,** - აცხადებს კახნაშვილი, - **სრული რეაბილიტაციისთვის კი ჰესს სულ 20 ათასი დოლარი ეყოფა..."**

როგორც გაირკვა, ადგილობრივი ხელისუფლება ამ თანხის მოძიებაზე ზრუნვის ნაცვლად ჰესიდან მოიჯარეთა გაგდებასა და სადგურის თავის დაქვემდებარებაში გადმოტანას ცდილობს. **"ჩვენ თავის დროზე მივმართეთ ქონების მართვის სამინისტროს და 2002 წლის 8 ოქტომბერს მოიჯარეებთან ხელშეკრულება ცალმხრივად მოშალეს,"** – გვითხრა ნოდარ ყოჩიშვილმა. მისი თქმით, ახლა იმის გარკვევა მიმდინარეობს, თუ ვინ უნდა მართოს "კეხვიჰესი".

"კეხვიჰესი" კი, თავის მხრივ, გორის ქსელებს, რომელიც ამჟამად "გსეკ"-ის ერთ-ერთი ფილიალი გახდა, სასამართლოში ძველ დავალიანებას ედავება, თუმცა, ჯერჯერობით, ამაოდ. კერძო საკუთრებაში არსებული სადგურით, რომელმაც შესაძლოა, საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ კონფლიქტურ ზონაში მცხოვრები ხალხის გაუთავებელი პრობლემები მოაგვაროს, უანგაროდ არავინ ინტერესდება.

თუმცა, შესაძლოა, უყურადღებობას სხვა საფუძველიც ჰქონდეს და პრობლემის მოხსნით დიდად არც არავინ იყოს დაინტერესებული. საქმე ისაა, რომ რეგიონებისათვის ელექტროენერგიის დადგენილი ტარიფი საქართველოში მეტია, ვიდრე ცხინვალში. ოფიციალურად, "ლიახვის ენერგოკომპანიას" 1 თეთრის ეკვივალენტური მოგება რჩება, რადგან, ყოჩიშვილების განცხადებით, ისინი ცხინვალისგან დენს ოფიციალურად 7,5 თეთრად ყიდულობენ. ამასობაში კი ლიახვის ხეობის სოფლების ქართული მოსახლეობა, რომელიც ერთ კილოვატსაათ ელექტროენერგიაში 8,5 თეთრს იხდის, სინამდვილეში ნაკლები ღირებულების – 5,7-თეთრიან დენს ხარჯავს. მარტო ეს განსხვავება, როცა საუბარი 500 000 კილოვატსაათს ეხება, დაახლოებით 6500 დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, როგორც წესი, სალიახვო მოხმარებული დენის მხოლოდ 20-25 პროცენტს ფარავს, დანარჩენი კი ქართული მხარის ვალებს ყოველთვიურად ემატება. მოსახლეობისგან ამოღებულ დანარჩენ თანხას, სავარაუდოდ, რეგიონის ელექტრომომარაგების საკითხის კურატორები ცხინვალელ კოლეგებსაც უნაწილებენ. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს იმის მიზეზი, რომ დღეს მათ ჰესის ამოქმედებასა და "გსეკ"-თან მოლაპარაკებაზე უფრო მეტად დენის ცხინვალიდან იმპორტი აწყობდეთ. ძნელია თქმა, ამ სხვაობიდან ვის ჯიბეში რამდენი მიდის. ერთი კი ცხადია – ეს ის ვითარებაა, როცა გარიგების მონაწილე ორივე მხარე კმაყოფილია. მოსახლეობის ინტერესებზე კი, როგორც ყოველთვის, არავინ ფიქრობს.

ორი სიტყვით

თბილისი გუშინ, თბილისში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის პირველი სამუშაო დღე დაიწყო. პირველი შეხვედრა პაოლო ნეოჰაუსის მისიას ფინანსთა სამინისტროში ჰქონდა, ხოლო საღამოს მისიის წევრები სახელმწიფო მინისტრს შეხვდნენ. მისიის წევრები ყველა შეხვედრის დასრულებამდე კომენტარისგან თავს იკავებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ყირგიზეთი. დაზღვევის ზედამხედველობისა და მეთვალყურეობის საკითხებთან დაკავშირებით 25 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე ყირგიზეთში, ქალაქ ბიშკეკში, "ევრაზიის ქვეყნებში სადაზღვევო სექტორის განვითარების პროექტის" მორიგი სასწავლო პროგრამა ჩატარდება. სემინარზე განხილული იქნება სადაზღვევო რისკების, მართვის, ფორსმაჟორული სიტუაციების დაზღვევის, სიცოცხლის დაზღვევის და კერძო საპენსიო დაზღვევის საკითხები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ ბუნებრივი აირი ს/ს "თბილგაზის" ყველა აბონენტმა მიიღო. გუშინვე, გულიას ქუჩაზე სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ავლაბრის მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება გახდა შესაძლებელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. „ეი-ი-ეს თელასის" მიერ სახელმწიფოსგან იჯარით აღებული ელექტროგადამცემი ხაზის „ალავერდი", დიდუბისა და ლისის ქვესადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია დღეს გამოვლინდება. „თელასს" სომხეთიდან დენის იმპორტის ერთწლიანი ლიცენზია სემეკისაგან მიღებული აქვს, ხოლო სომხურ მხარესთან დენის მიწოდების ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. „ეი-ი-ეს თელასი" „ალავერდის" მეშვეობით სომხეთიდან 200 მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი "თბილწყალკანალმა" მოხმარებული წყლის მიმდინარე დავალიანებების გადაუხდელობის გამო რამდენიმე ობიექტს წყლის მიწოდება შეუწყვიტა. გუშინ წყალი არ მიეწოდებოდა "ენერგოგენერაციას" და რუსეთის ფედერაციის ჯარების 7 ობიექტს. აღნიშნული დაწესებულებების მიმდინარე დავალიანება 275 ათასი ლარია. დღეისთვის საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანება "თბილწყალკანალის" მიმართ 21,5 მლნ. ლარს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

მარნეული. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისთვის პირველი სამშენებლო ბანაკი უკვე ამოქმედდა. ამ პროექტის ოპერატორის, კომპანია „ბი-პის" საქართველოს წარმომადგენლობაში აცხადებენ, რომ ბანაკი მარნეულში გაიხსნა და მასში ამჟამად 52 მშენებელი ცხოვრობს. ისინი, ძირითადად, უცხოელი სპეციალისტები არიან.

ანალოგიური სამშენებლო ბანაკები თეთრიწყაროში, წალკასა და ახალციხეშიც შენდება. სულ ნავთობსადენის ტრასის გასწვრივ ექვსი სამშენებლო ბანაკი ამოქმედდება და მათში 750-მდე მუშახელი და სპეციალისტი იცხოვრებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი გუშინ გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს შეხვდა. იგი კმაყოფილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყნის ენერგეტიკის დარგში მიმდინარე პროცესების დადებითი შეფასებით.

საგანგებო პრესკონფერენციაზე მინისტრმა აღნიშნა, რომ უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრისას განიხილეს სახელმწიფოს მიერ ყველა ენერგობიექტის პოლიტიკური ძალებისგან და მოსახლეობისგან დაცვის საკითხი. კერძოდ, არც ერთი ენერგობიექტი ძალისმიერი მეთოდებით არ უნდა იყოს ჩართული. **მედია-ნიუსი**

 პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ეჭვის ძალაშია პროკრედიტ ბანკის ყველა ფილიალსა და ბანყოფილებაში 2003 წლის 15 დეკემბრამდე

პროკრედიტ ბანკს

მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, ოთხშაბათიდან 15 დეკემბრამდე ბახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს ბენეფიტრის. დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს

ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 20-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
central@procreditbank.ge

ვაკის ბანყოფილება
0179 თბილისი
მელიქიშვილის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
vake@procreditbank.ge

საბურთალოს ბანყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
saburtalo@procreditbank.ge

სტაციონარული ბანყოფილება
0112 თბილისი
თავისუფლების მოედანი 3/32
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
stationsquare@procreditbank.ge

ქუთაისის ბანყოფილება
4600 ქუთაისი
წმინდა ნინოს ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
kutaisioutlet@procreditbank.ge

ზუგდიდის ბანყოფილება
2100 ზუგდიდი
თამარაშვილის ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
zugdidi@procreditbank.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09, 7-50-64
ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58
gori@procreditbank.ge

მარნეულის ბანყოფილება
3000 მარნეული
როსოფაშვილის ქ. 3
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
mameuli@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ოთარ ხიზანიშვილის ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
gldani@procreditbank.ge

ვაჟა-ფშაველას ფილიალი
0182 თბილისი
ჯავახეთის ქ. მე-2 ნაბი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
varketili@procreditbank.ge

ლილოს ბანყოფილება
0115 თბილისი
ვახტანგ გორგასლის 118
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
lilo@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
kutaisi@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
მ. აღლაძეების ქ. 23
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4
poti@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ლეონ სასანიძის ქ. 18
ტელ: (995 222) 7-24-20
ფაქსი: (995 222) 7-19-54
batumi@procreditbank.ge

ბათუმის ბანყოფილება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 222) 7-74-19
ფაქსი: (995 222) 7-74-19
batumioutlet@procreditbank.ge

ჯიბაჟეთის ბანყოფილება
6201 ჯიბაჟეთი
მ. აღლაძეების ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 256) 66-439
kobuleti@procreditbank.ge

ორი სიტყვით

ინდოეთი. ინდოეთის ხელისუფლება რამდენიმე პუნქტისაგან შემდგარი ინიციატივით გამოვიდა, რაც თავის ტრადიციულ ბირთვულ მეტოქესთან – პაკისტანთან ურთიერთობის ნორმალიზაციას ისახავს მიზნად. ეს კი, პირველ რიგში, ქაშმირის სადავო ტერიტორიის საკითხის მოგვარებით უნდა დაიწყოს. ინდოეთის ოფიციალური ინიციატივა თავდაცვის მინისტრმა იაშვანტ სიხმა წარმოადგინა. წინადადებათა პაკეტი მოიცავს სატრანსპორტო კავშირების გაღრმავებას და კრიკეტში ორივე ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრასაც კი.

თავის მხრივ, პაკისტანმა განაცხადა, რომ ინდოეთის სამშვიდობო ინიციატივას მიესალმება, თუმცა მიაჩნია, რომ ქაშმირის საკითხის დარეგულირება ორმხრივი დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს.

■ ■ ■

გაერო. გაერო-მ გამოაქვეყნა მოხსენება, რომლის თანახმადაც ბაღდადში გაერო-ს მისიის თანამშრომელთა უსაფრთხოება აგვისტოს ტერაქტამდე არასათანადო და არადამაკმაყოფილებელი იყო. დამოუკიდებელი მოხსენება ფინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა მარტი ახტისაარმა წარმოადგინა, სადაც აღნიშნულია, რომ ბაღდადში გაერო-ს მისიის უსაფრთხოების სისტემა "უგულისყუროდ არის ორგანიზებული."

მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ ერაყში გაერო-ს მისიის ხელმძღვანელმა სერჟიო დე მელომ უარი განაცხადა უფრო უსაფრთხო ადგილას გადასვლაზე. სერჟიო დე მელო 22 აგვისტოს ტერაქტის დროს დაიღუპა.

■ ■ ■

სერბეთი. სერბეთის ხელისუფლების ცნობით, ამ ქვეყნის სპეცსამსახურებმა ბელგრადში, ბოსნიელი სერბების ყოფილი სარდლის რადკო მლადიჩის დაპატიმრების მიზნით, ოპერაცია განახორციელეს. თუმცა, მლადიჩი ადგილზე არ აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, სერბეთის სპეცსამსახურებს ინფორმაცია აგენტურული საშუალებებით ჰქონდათ მიღებული.

რადკო მლადიჩს სამხედრო დანაშაულების ჩადენაში ედება ბრალი.

■ ■ ■

რუსეთი. გუშინ ერთი წელი შესრულდა იმ ტრაგიკული მოვლენებიდან, როდესაც მებრძოლთა ჯგუფი "ნორდ-ოსტის" თეატრში შეიჭრა და ცხრაასამდე ადამიანი მძევლად აიყვანა. ორი დღის შემდეგ, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სპეცრაზმმა, მძევალთა გათავისუფლების მიზნით, ოპერაცია განახორციელა, რის დროსაც 120-ზე მეტი მძევალი დაიღუპა. მათი უმრავლესობა სპეცრაზმის მიერ გაშვებული გაზით მოინამლა. გარდაცვლილთა ნათესავები დღესაც ამაოდ ცდილობენ გაიგონ, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მათ ახლობელთა დაღუპვაზე და ვინ უნდა აანაზღაუროს მათთვის მიყენებული ზარალი.

■ ■ ■

თურქეთი. ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში ვიზიტის დროს, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ტაიპ ერდოგანმა განაცხადა, რომ თურქეთი არ გააგზავნის არმიის ნაწილებს ერაყში, თუკი ბაღდადი ამის წინააღმდეგი იქნება. "ჩვენ არ გვაქვს განზრახული, რომ ძალით გავაგზავნოთ სამხედროები ერაყში. ჩვენ გვსურს, რომ ერაყში თურქი სამხედროების ჩასვლის მიზანი ამ ქვეყანაში სტაბილურობის და მშვიდობის დამყარება იყოს," - განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, რომელიც ტაჯიკეთში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

მან ასევე აღნიშნა, რომ ერაყში თურქი ჯარისკაცების გაგზავნა ვაშინგტონის სურვილი იყო. "ეს ამერიკული მხარის თხოვნა იყო. აშშ-ს თხოვნის შესაბამისად, ჩვენ მივმართეთ ჩვენს პარლამენტს, რომელმაც ერაყში ჯარების გაგზავნაზე თანხმობა მოგვცა," - დასძინა ერდოგანმა. თურქეთი ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის ერთადერთი წევრი ქვეყანაა, რომელმაც ერაყში ჯარების გაგზავნის სურვილი გამოთქვა.

■ ■ ■

საუდის არაბეთი. "ვაშინგტონ პოსტის" გუშინდელი გამოშვების თანახმად, ისრაელის დაზვერვის ინკოგნიტო მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ საუდის არაბეთი საიდუმლოდ აწარმოებს მოლაპარაკებას პაკისტანთან ბირთვული ტექნოლოგიების შესყიდვის თაობაზე. ებრაული წყაროების თანახმად, გასულ შაბათ-კვირას საუდის არაბეთის ფაქტობრივმა მმართველმა და მემკვიდრე პრინცმა აბდალ ბენ აბდულაზიზმა ისლამაბადში ვიზიტის დროს პაკისტანის ხელისუფლებასთან გააფორმა ხელშეკრულება ნავთობის სანაცვლოდ ბირთვული იარაღის მიღების თაობაზე.

დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ასეთი გარიგება ახლო აღმოსავლეთში არსებულ ძალთა ბალანსს არღვევს. ეს შეთანხმება ეწინააღმდეგება როგორც საუდის არაბეთის, ისე პაკისტანის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. პაკისტანის პრეზიდენტმა მუშარაფმა ვაშინგტონში ვიზიტის დროს პირობა დადო, რომ მისი ქვეყანა რეგიონში ბირთვული იარაღის გავრცელებას არ დაუშვებს. ჯერჯერობით, პაკისტანიც და საუდის არაბეთიც ამ ბრალდებას უარყოფენ.

■ ■ ■

ალჟირი. სალაფისტების არაოფიციალურმა სამხედრო დაჯგუფებამ ოფიციალურად გამოაცხადა თავისი მხარდაჭერის შესახებ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია "ალ-ქაიდას" მიმართ. გასულ თვეს ამ დაჯგუფებამ პასუხისმგებლობა აიღო საჰარას უდაბნოში ოცდაათზე მეტი ევროპელის მძევლად აყვანის ფაქტზე. ალჟირის ხელისუფლება და აშშ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სალაფისტებს "ალ-ქაიდასთან" მჭიდრო კავშირები ჰქონდათ. 2002 წელს აშშ-მ ეს დაჯგუფება ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანა. "ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ოსამა ბინ ლადენს მწვალებლური ამერიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე მხარდაჭერას ვუცხადებთ ჩვენს ძმებს ავღანეთში, ფილიპინებსა და ჩეჩნეთში," - ნათქვამია სალაფისტების ლიდერის აბუ იბრაჰიმ მუსტაფას განცხადებაში.

ავსტრალიის მონახულების შემდეგ ჯორჯ ბუში სამშობლოში დაბრუნდა

"აშშ-ს და ავსტრალიას წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ," - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ავსტრალიის პარლამენტში გამოსვლის დროს. მან ავსტრალიას მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და ერაყის ომში შეტანილი წვლილისათვის. **"ტერორიზმის წინააღმდეგ ომში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ჩვენ ერთად ვართ,"** - განაცხადა თეთრი სახლის ლიდერმა. მან გაიხსენა და პატივი მიაგო გასულ წელს ინდონეზიის კუნძულ ბალიზე ტერაქტის დროს დაღუპულ 88 ავსტრალიელს.

REUTERS

დემონსტრაცია

REUTERS

ჯორჯ ბუში და ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰოვარდი.

თავის მხრივ, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჯონ ჰოვარდმაც არ დაიშურა ქათინაურები თეთრი სახლის ლიდერის მიმართ. მან ჯორჯ ბუშის "ხასიათს, ძალასა და ლიდერის თვისებებს" მაღალი შეფასება მისცა. ჰოვარდის განცხადებით, ავსტრალიამ სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც აშშ-ს სამხედრო კამპანიას ერაყში მხარი დაუჭირა.

უნდა ითქვას, რომ ავსტრალიის პარლამენტის ყველა წევრი ბუშის მიმართ ჰოვარდისეულ ეპითეტებს არ ეთანხმებოდა. ზოგიერთმა მათგანმა თავისი განსხვავებული პოზიცია ზედმეტი აგრესიითაც კი გამოხატა. პარლამენტის დარბაზიდან გააძევეს ავსტრალიელი სენატორი მწვანეთა პარტიიდან ბობ ბრაუნი, რომელმაც მკვეთრად კრიტიკული რეპლიკებით ჯორჯ ბუშს გამოსვლა რამდენჯერმე შეაწყვეტინა.

პარლამენტის შენობასთან კი ათასობით დემონსტრანტი იყო შეკრებილი და აშშ-ს პრეზიდენტის მიმართ თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას შეძახილებით გამოხატავდა. ხუთი ათასამდე ავსტრალიელი დემონსტრანტი ერაყში აშშ-ს სამხედრო ოკუპაციას აპროტესტებდა. **"იანკებო, წადით სახლში!"** – ეწერა დემონსტრანტთა მიერ აღმართულ პლაკატებზე. პოლიცია იძულებული გახდა, ხუთი ყველაზე მეტად თავშეუკავებელი დემონსტრანტი დაეპატიმრებინა.

ავსტრალიაში ჯორჯ ბუშმა 22 საათი დაჰყო, საიდანაც ის ჰავაიზე გადაფრინდა, ხოლო იქიდან კი ვაშინგტონში დაბრუნდა.

ავსტრალია თეთრი სახლის ლიდერის აზიური ტურნეს ბოლო წერტილი იყო. ცხრა დღის განმავლობაში ჯორჯ ბუშმა იაპონია, ფილიპინები, ტაილანდი, სინგაპური და ინდონეზია მოინახულა.

უკანასკნელი 109 მეტრი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მოსკოვმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა ესარგებლა იმით, რომ ყირიმისა და ტამანის ნახევარკუნძულები არაერთხელ გადავიდა ხელიდან ხელში და ამის იურიდიული გაფორმება, შესაძლოა, ყოველთვის სათანადოდ არ მომხდარიყო.

უკრაინელები ფიქრობდნენ, რომ ერთიან ეკონომიკურ სივრცეში (რუსეთის, უკრაინის, ბელარუსისა და ყაზახეთის ეკონომიკური კავშირი) შესვლით, უკვე საკმაოდ მოიმადლიერეს რუსეთი და მისგან ასეთ ვერაგობას აღარ ელოდნენ.

ამიტომ, მოსკოვიდან მოსული სახიფათო სიგნალების მიუხედავად, პრეზიდენტი კუჩმა ლამის ნახევარი მთავრობის თანხლებით 11-დღიანი ვიზიტით, ლათინური ამერიკის ქვეყნებში გაემგზავრა.

სანამ უკრაინის ხელისუფლება საზღვარგარეთულ ვოიაჟს განაგრძობდა, რუსებმა დამბის მშენებლობა დაჩქარებული ტემპით გააგრძელეს. ეს დამბა 4 კილომეტრის სიგრძის მიწაყრილს წარმოადგენს, რომელიც ზღვაშია აშენებული და ტამანის ნახევარკუნძულიდან თითქმის კუნძულ ტუზლამდე აღწევს.

ოთხშაბათს საღამოს დამბას კუნძულამდე რამდენიმე ასეული მეტრიღა აკლდა. კიევში ინფორმაცია გავრცელდა, რომ მიწაყრილმა უკვე კუნძულს მიაღწია და ქალაქში დიდი აურზაური ატყდა.

პირველი გამოვიდა ოპოზიცია, რომელმაც ხელისუფლება სამშობლოს ღალატში და ტერიტორიის გაჩუქებაში დაადანაშაულა. ოპოზიციურ პრესაში მაშინვე გაჩნდა თეორიები, რომ ეს ყველაფერი სპეციალურად იყო მოფიქრებული საიმისოდ, რომ რუსეთთან ურთიერთობების გამწვავებას უკრაინაში შიდა დესტაბილიზაცია გამოეწვია, რაც კუჩმას საშუალებას მისცემდა, პარლამენტიც დაეთხოვა და მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებიც გადაედო.

ამასობაში პირდაპირ ცეცხლზე ნავთი დაასხა რუსეთის პრეზიდენტის აპარატის უფროსმა, ვოლოშინმა, რომელმაც განაცხადა: რუსეთი არასოდეს დათმობს ქერჩის სრუტეს და თუ საჭირო გახდა, ამ ტერიტორიას დაბომბავს კიდეცო.

ამ განცხადებას კიევში ნამდვილი ისტერია მოჰყვა. ოპოზიცია და ხელისუფლება ერთად, ხმამაღლა გამოვიდა რუსეთის მხრიდან აგრესიის წინააღმდეგ. პრეზიდენტმა კუჩმამ განაცხადა, რომ სასწრაფოდ წყვეტდა ვიზიტს და სამშობლოში ბრუნდებოდა. უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ კუნძულის ახლოს სასწრაფოდ სამხედრო წვრთნების ჩატარება დაიწყო.

ვითარება უკვე მთლიანად არია ვოლოშინის მეორე განცხადებამ, რომელშიც მან თქვა, რომ იხუმრა, უკრაინელებს კი იუმორის გრძნობა სულ არ აღმოაჩნდათ.

მთელი ამ კრიზისის მანძილზე რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, მაქსიმალურად ორჭოფული პოზიცია დაეკავებინა. მთავრობა აცხადებდა, რომ ჯებირს მხოლოდ სანაპირო ტერიტორიების ეკოსისტემის დაცვისათვის აშენებდა, და მშენებლობა მაშინვე შეჩერდებოდა, როგორც კი კაშხალი უკრაინის ტერიტორიულ წყლებს მიაღწევდა, საგარეო საქმეთა სამინისტრო უკრაინას კუნძულის მფლობელობის დამადასტურებელ საბუთებს სთხოვდა, დუმის შოვინისტი დეპუტატები როგოზინის თამადობით აცხადებდნენ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავდნენ მშობლიურ მიწას, ხოლო ვოლოშინი ამ ყველაფერზე ძალიან უცნაურად ხუმრობდა. თან, რაც მთავარია, ჯებირის მშენებლობა გრძელდებოდა.

უკრაინელი პოლიტიკოსები, რომლებიც ისედაც განრისხებულნი იყვნენ მათთვის წაყენებული მოულოდნელი ტერიტორიული პრეტენზიების გამო, მოსკოვის ცინიზმმა კიდევ უფრო აღაშფოთა. რადის ტრადიციულად პრორუსულად განწყობილმა დეპუტატებმაც კი განაცხადეს, რომ რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციას ჩააგდებენ.

გუშინ უკრაინის უმაღლესმა რადამ მომხდართან დაკავშირებით ძალზე მკაცრი რეზოლუცია მიიღო. "რუსეთის მიერ დამბის მშენებლობა განიხილება, როგორც არამეგობრული აქტი, რომელიც აიძულებს უკრაინას, რუსეთთან აქამდე ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს გადახედოს," – ნათქვამია დადგენილებაში. პარლამენტის სპიკერს დაევალა, თხოვნით მიმართოს გაერო-ს და ეუთო-ს - განიხილონ შექმნილი მდგომარეობა და სადავო ტერიტორიაზე თავიანთი დამკვირვებლები გამოგზავნონ.

გარდა ამისა, უკრაინამ დამბასა და კუნძულს შორის სასაზღვრო კატარღები ჩააყენა, რომელზეც დროებითი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი გაიხსნა. კიევი აცხადებს, რომ ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ყველა ზომას მიიღებს.

თუმცა, მას შემდეგ, რაც რუსეთმა დამბის მშენებლობა შეაჩერა, დაძაბულობა შემცირდა. უკრაინის პრემიერი დღეს მოსალაპარაკებლად მოსკოვში, თავის რუს კოლეგასთან ჩავა, ხოლო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 30 ოქტომბერს კიევს ესტუმრება.

ჯერჯერობით, უკრაინამ მოახერხა თავისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. თუმცა, მეზობლების მიმართ რუსეთის მზარდი აგრესიულობა ასეთი ინციდენტების გამეორებას არ გამორიცხავს.

სპს „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები
სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, ჩვენი ექსპერტების ანალიზსა და კომენტარებს შეგიძლიათ ყოველდღე გაეცნოთ გაზეთში „24 საათი".
გთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს საგადასახადო და საბაჟო საკითხებზე დაწარმომადგენლობას სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებში.
გთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს საერთაშორისო ბიზნეს სამართალსა და სამეწარმეო სამართალში.
WWW.DVNK.GE
ტელ.: +995 32 751054 ფაქსი.: +995 32 751056 ელ-ფოსტა.: office@dvnk.ge

რუსეთი კონტროლიტევაზე გადადის

ხუთშაბათს პრეზიდენტმა პუტინმა ყირგიზეთში რუსული სამხედრო ბაზა გახსნა. ეს პირველი სამხედრო ბაზაა, რომელიც მოსკოვმა ყოფილ საბჭოთა სივრცეში გახსნა. ყირგიზეთში ჯარისკაცების გაგზავნით, რუსეთს ცენტრალურ აზიაში ძველი გავლენის აღდგენის იმედი აქვს.

კანტში მდებარე საჰაერო ბაზა სულ 30 კილომეტრითაა დაშორებული ბიშკეკის სიახლოვეს მდებარე მანასის აეროპორტს, რომელშიც ამერიკელი სამხედროები არიან განლაგებული. რუსებისათვის ბაზას, პრაქტიკულთან ერთად, სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს: მათ მიაჩნიათ, რომ კანტის ბაზის გახსნა 12-წლიანი "დამამცირებელი უკანდახევის" დასასრულს აღნიშნავს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის გარეთ მდებარე ორი უკანასკნელი სამხედრო ბაზა, კუბასა და ვიეტნამში, რუსეთმა შარშან დახურა.

რუსეთის სამხედრო სარდლობის განცხადებით, სამხედრო ბაზა, რომელიც ჩინეთის საზღვრიდან 250 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, ისლამური ექსტრემიზმის გავრცელების, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ეს საფრთხეები ქრონიკულად არასტაბილური ავღანეთიდან და ტაჯიკეთიდან მომდინარეობს.

"ყირგიზეთში საჰაერო ფარის მშენებლობით, ჩვენ ამ რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებას ვისახავთ მიზნად. ამ რეგიონის სტაბილურობა კი ჩვენთვის სულ უფრო მნიშვნელოვანია," – განაცხადა პუტინმა.

"ჩვენ გვჯერა, რომ ეს ბაზა შემაკავებელი ფაქტორი იქნება ყველა ჯურის ტერორისტებისა და ექსტრემისტებისათვის," – დასძინა მან.

1999 და 2000 წლებში შეიარაღებული ისლამისტები მართლაც შეიჭრნენ ყირგიზეთისა და უზბეკეთის ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოთა მთავრობების დამხობის მიზნით. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა ტალიბანი გაანადგურეს, რეგიონში ისლამური ექსტრემიზმის საფრთხე საგრძნობლად შემცირდა.

გარდა ამისა, რუსეთი შეშფოთებულია იმითაც, რომ ცენტრალური აზიის გავლით, რუსეთში ავღანეთიდან იარაღისა და ნარკოტიკების დიდი რაოდენობა ხვდება.

დასაწყისისათვის ბაზაზე ექვსი სუ-27 და ოთხი სუ-25 იქნება დისლოცირებული.

ბაზა, რომელიც დიდი ზარ-ზეიმითა და ავიაშოუთი გაიხსნა, რუსეთს საშუალებას მისცემს, ყოფილ უმცროს ძმებს კიდევ ერთხელ შეახსენოს, ვინ არის რეგიონის "ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი". 2001 წელს რეგიონში ამერიკელი სამხედროების შემოსვლის შემდეგ, აქ რუსული გავლენა შესუსტდა.

პუტინი აცხადებს, რომ კანტის შორიახლოს ამერიკული ბაზის არსებობა მას არ აშფოთებს. "ამერიკული ბაზა, საერთაშორისო კოალიციის ბაზა კონკრეტული ამოცანის – ავღანეთის ოპერაციისათვის შეიქმნა. ის ბაზა კი, რომელიც დღეს გაიხსნა, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ყირგიზეთსა და მთელ რეგიონში და, ამასთან ერთად, ხელსაყრელ პირობებს შექმნის თავად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ტერორიზმთან ბრძოლისათვის".

ყირგიზეთი რეგიონში რუსეთისადმი ყველაზე ლოიალურად განწყობილ სახელმწიფოდ ითვლება. რუსული ბაზის შექმნას იგი აღტაცებით შეხვდა. "რუსეთი ჩვენ ღმერთმა და ისტორიამ გვაჩუქა," – განაცხადა აკაევმა.

ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა ბაზა იჯარით აიღო 15 წლის ვადით. ვადის ამოწურვის შემდეგ, მოსკოვს ხელშეკრულების გაგრძელების უფლება უნარჩუნდება. რაც შეეხება შეთანხმების ფინანსურ ასპექტს, მხარეები მას საიდუმლოდ ინახავენ.

როიტერი

კოფი ანანი:
ერაყს გულუხვად დაეხმარეთ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მაინც გაიღებენ. თუმცა, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ გერმანიამ, საფრანგეთმა და რუსეთმა, რომლებიც ერაყში ომის დაწყებას თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ, უარი თქვეს დამატებითი თანხების გაღებაზე.

"ამ ეტაპზე ჩვენ არ ვგეგმავთ დამატებითი დახმარების გამოყოფას. ჩვენთვის ამოსავალ წერტილს ერაყის სუვერენიტეტის მთლიანი და სრული აღიარება წარმოადგენს," - განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა. ამასთან დაკავშირებით კი, ერაყში აშშ-ს ადმინისტრაციის შეფმა პოლ ბრემერმა განაცხადა, რომ **"დროა, საფრანგეთის მთავრობამ გვერდზე გადადოს ის უთანხმოება, რასაც თებერვალსა და მარტში ჰქონდა ადგილი."**

გაერო-სა და მსოფლიო ბანკის შეფასებებით, ერაყის აღდგენისათვის პირველ ეტაპზე 50 მილიარდი ამერიკული დოლარი მაინც არის საჭირო.

ამ დროისათვის კი დონორი ქვეყნების და ორგანიზაციების მიერ გაღებული ფინანსური სახსრები ასე გამოიყურება:

აშშ – 20 მილიარდი ამერიკული დოლარი
მსოფლიო ბანკი - 3-5 მილიარდი
იაპონია – 1,5 მილიარდი
ბრიტანეთი - 835 მილიონი
ესპანეთი – 300 მილიონი
ევროკავშირი – 231 მილიონი

ჯერჯერობით უცნობია ის თანხა, რასაც სპარსეთის ყურის ნავთობით მდიდარი ქვეყნები გაიღებენ.

ამ ციფრებიდან კარგად ჩანს, რომ ეს თანხები ერაყის რეკონსტრუქციისათვის საკმარისი არ არის. ამასთანავე, მთელი რიგი სახელმწიფოები ფინანსური სახსრების გამოყოფისაგან თავს იკავებენ და ამის ძირითად მიზეზად ერაყში ვითარების გართულებას ასახელებენ.

კონფერენციის გახსნამდე, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმა საჭირო თანხა, ჯერჯერობით, შესაძლოა, მთლიანად არ გაიღონ, თუმცა მადრიდის კონფერენცია სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია.

მადრიდში ერაყის ამერიკული დროებითი ადმინისტრაციის შეფი პოლ ბრემერი და ერაყის მმართველი საბჭოს წარმომადგენლებიც ჩავიდნენ. მათ ესპანეთის დედაქალაქში გრძელი სია ჩაიტანეს, სადაც ჩამოთვლილია ის პუნქტები და სფეროები, რომლებიც დაუყოვნებლივ დაფინანსებას საჭიროებენ. ერაყის მმართველი წრეები აცხადებენ, რომ ფინანსური სახსრების დროული გამოყოფა ხელს შეუწყობს ქვეყანაში წესრიგის დამყარებას და დემოკრატიული პროცესების დაწყებას. თუმცა, იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ერაყში სამხედრო კამპანიას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, ამ ოპტიმიზმში ეჭვი ეპარებათ.

მადრიდში სამიტის გახსნასთან დაკავშირებით რამდენიმე საპროტესტო დემონსტრაცია მოეწყო. აქციის მონაწილეებმა ერაყში ანგლო-ამერიკულ-ესპანური ოკუპაციის მიმართ თავიანთი პროტესტი გამოხატეს. ამის გამო ესპანეთის დედაქალაქი უსაფრთხოების გაძლიერებული რეჟიმის პირობებზეა გადაყვანილი.

მადრიდის კონფერენციის მონაწილეები.

ზღვარზე

ქვეყნის სოციალური მდგომარეობა ერთი ოჯახის ფონზე

ჩვენი სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკასა და ქვეყანაში მოქმედი სოციალური პროგრამების შესახებ "24 საათი" უკვე წერდა, მაგრამ ეს საქართველოში არსებული სოციალური მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა უფრო იყო. ამჯერად, არსებული სიტუაციის უფრო ნათლად დასანახად, სოციალურ პრობლემებს ერთი ოჯახის მაგალითზე წარმოგიდგენთ. ჩვენს მიერ შერჩეული ოჯახი ერთ-ერთი ძალზე, მაგრამ არა ყველაზე მეტად, გაჭირვებული გახლავთ. ამ ოჯახის ერთი წევრი მოქალაქეთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, ვიზეც სახელმწიფო განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს.

ნანა ქადაგიშვილი

ბურჭულაძეების ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი, ყველაზე ბევრი, 201 ლარი გახლავთ. აქედან 36 ლარი სახელმწიფო დახმარებაა (14-ლარიანი პენსია, და 22-ლარიანი ფულადი დახმარება), დანარჩენი 165 ლარი კი ოჯახის უფროსების ხელფასების ჯამია. ამის გარდა, ოჯახს შეღავათი ეკუთვნის ელექტროენერგიის გადასახადზე (შარშან შეღავათი ბუნებრივ აირზეც ჰქონდა - 870 კუბურ მეტრ აირს უფასოდ იღებდა, მაგრამ წელს ეს შეღავათი მოიხსნა).

აღნიშნული შემოსავალი თვიდან თვემდე უნდა ეყოს ცოლ-ქმარსა და ორ 14-15 წლის ბავშვს, რომელთაგან ერთი - 15 წლის ლევანი, დაბადებიდან ინვალიდია, ცერებრალური დამბლით არის დაავადებული და დაუხმარებლად საპირფარეშოში გასვლაც კი უჭირს.

ლევანის მიმართ სახელმწიფოს მზრუნველობა, ძირითადად, ზემოთ დასახელებული პენსიითა და ყოველთვიური ფულადი დახმარებით შემოიფარგლება. თუმცა, წლევანდელ ზაფხულს 12 დღით ურეკში გაუშვეს დასასვენებლად. **"ესეც დიდი ჩაწყობით მოვახერხე, მაგრამ ასეთ მონდომებად არც კი ღირდა, საშინელი პირობები იყო - 12 დღის განმავლობაში ბავშვებისთვის მოხარშული ბადრიჯნის მეტი არაფერი უჭმევიათ,"** – გვითხრა ლევანის დედამ, მაია ბურჭულაძემ.

ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვის მოვლას თვეში 1000-ლარიანი შემოსავალიც არ ეყოფა. კვების, ინვალიდის ეტლისა და ტრანსპორტირების ხარჯებზე რომ აღარფერი ვთქვათ, მას ორ თვეში ერთხელ აუცილებლად სჭირდება ვარჯიშების ერთთვიანი კურსის ჩატარება, წინაადღმდეგ შემთხვევაში, ავადმყოფის მდგომარეობა უარესდება. ვარჯიშების კურსი, როგორც მაია ამბობს, ადრე 500 ლარი ღირდა, შემდეგ ნელ-ნელა გაიაფდა - ჯერ 180 ლარამდე, შემდეგ კი 90 ლარამდე ჩამოვიდა. თუმცა, მშობლები ლევანის ვარჯიშებზე ტარებას რამდენიმე წელია, ვეღარ ახერხებენ. **"სანამ ბავშვი პატარა იყო, ხელით დამყავდა, მაგრამ 15 წლის ბიჭს მეხუთე სართულიდან ხელში აყვანილს ხომ ვერ ჩავიყვან, ლიფტში კი ეტლის შეტევა ჭირს. ძირს ჩაყვანა რომც მოვახერხო, ტაქსის გარდა, ვერაფრით წავიყვან. ტაქსით მგზავრობის საშუალება კი არ გვაქვს,"** – ამბობს იგი. ამ მიზეზის გამო, მშობლებს ლევანის სკოლაში ტარებაც უჭირთ, რაც მის მდგომარეობას აუარესებს. **"სკოლაში ერთი წელი ვატარებდით, მაგრამ მეტი ვეღარ შევძელით. როცა ბავშვი სკოლაშია, ოჯახის ერთი წევრი მაინც მუდმივად უნდა ახლდეს თან. არადა, სკოლაში რომ ევლო, საგრძნობი პროგრესი ექნებოდა,"** – ნანობს ლევანის დედა.

ბურჭულაძეების ოჯახი, სხვა ოჯახებთან შედარებით, ვისაც ინვალიდი ბავშვი ჰყავს, კიდევ კარგად ცხოვრობს. **"ზოგიერთი ოჯახი ჩვენზე ბევრად გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. ბევრმა მშობელმა ისიც არ იცის, რომ მის ინვალიდ შვილს პენსია და ფულადი დახმარება ეკუთვნის. ინვალიდი ბავშვების მშობლებმა ორგანიზაცია "მშობელი – მშობელს" ჩამოვაყალიბეთ და ერთმანეთის მდგომარეობას კარგად ვიცნობთ,"** – ამბობს მაია. არასამთავრობო ორგანიზაციები ინვალიდ ოჯახებს, ძირითადად, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევენ. ისინი ინვალიდთა ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამაშიც ჩაერთნენ - კვირაში ერთხელ ფსიქოლოგ-პედაგოგები მიდიან ინვალიდ ბავშვებთან და გაკვეთილებს უტარებენ, მაგრამ ეს ორგანიზაციები ყველა ინვალიდს ვერ გაწვდებიან.

"ყველა ნორმალურ ქვეყანაში ინვალიდების მოვლაზე პასუხისმგებლობას სახელწიფო იღებს. იგი ახლობელს არ უნდა აწვეს ტვირთად. სანამ მშობლები ჰყავს, კიდევ არა უშავს, მაგრამ შემდეგ რა ეშველება. ჯერჯერობით, ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ხელისუფლებამ ინვალიდთა დახმარების ფონდი შექმნას. ერთჯერადი ფულადი თუ ფსიქოლოგიური დახმარებები ვერაფერი შეღავათია," – აცხადებენ ინვალიდი ბავშვების მშობლები.

პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

შიმონ პერესის სამი რჩევა

ნანა ქადაგიშვილი

ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის შიმონ პერესის საქართველოში ვიზიტი გუშინ სასტუმრო მარიოტში მისი სახელობის "მშვიდობის ცენტრსა" და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდს შორის შეთანხმების გაფორმებით დასრულდა. "თუკი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი შიმონ პერესი საქართველოს დამცველი იქნება, ეს ჩვენს ქვეყანას დიდ სიკეთეს მოუტანს," – განაცხადა ბადრი პატარკაციშვილმა.

ლევან სტრასბურგერი, ფოტო

ერთობლივი პრესკონფერენცია.

შიმონ პერესი პოლიტიკურ ასპარეზზე 40 წელია მოღვაწეობს. **"როდესაც დიმონში ვქმნიდი ატომურ რეაქტორს, ყალთაბანდს მეძახდნენ; როდესაც საავიაცო წარმოებას ჩავუყარე საფუძველი, ავტორიტეტული პირები ამტკიცებდნენ, რომ თეთრი სპილოებით ვვაჭრობ; როდესაც იარაღს ვიძენდი საფრანგეთში, ზოგიერთი პოლიტიკოსი ჩემგან ამ საქმიანობაზე ხელის აღებას მოითხოვდა. დღეს მე აღარ მაინტერესებს, რას ამბობენ ჩემზე. მე ვიცი ჩემი ამოცანა და მას ბოლომდე ვასრულებ,"** - აცხადებს შიმონ პერესი, რომლის აქტიური ხელმძღვანელობით, 1993 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას პალესტინის გათავისუფლების პარტიასთან, რის შემდეგაც ახლო აღმოსავლეთში ახალი ერა დაიწყო - გაჩნდა გადაუჭრელი, ასწლიანი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების პერსპექტივა; ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებებს იორდანიასთან, სირიასთან; ასევე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ურთიერთობები არაბული სამყაროს სხვა სახელმწიფოებთან.

"თუკი შიმონ პერესის სახელმწიფო დიპლომატიის ფორმას საქართველოც გამოიყენებს, ნამდვილად შეძლებს წარმატების მიღწევას," – განაცხადა პერესის მასპინძელმა. "სასტუმრო" მარიოტში შეკრებილ ჟურნალისტებს ისრაელის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა საქართველოს მოსახლეობასთან სამი რჩევა დაუბარა: **"ტერორისტებს თქვენი ქვეყნის დანგრევის უფლებას ნუ მისცემთ; გამოიყენეთ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და შეინარჩუნეთ თქვენი კულტურა."** შემდეგ პერესმა ქართველების მიერ ებრაელი ხალხისადმი კეთილგანწყობა გაიხსენა. **"საქართველოს გარდა, არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც ებრაელებს ასე კარგად ექცეოდნენ - აქ ჩვენი ხალხი საკუთარ ენაზე ლოცულობდა და თვითმყოფადობა შეინარჩუნა,"** – განაცხადა პერესმა.

რაც შეეხება საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესებს, ისრაელის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა კომენტარისგან თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ ებრაელი ხალხი ედუარდ შევარდნაძეს დიდ პატივს სცემს.

ამერიკელების საჩუქარი მცხეთაში

ზაზა ფაჩუაშვილი

მცხეთაში გაიხსნა საოჯახო მედიცინისა და ექიმთა გადამზადების თანამედროვე სასწავლო ცენტრი, რომლის შექმნაში ლომის წილი ამერიკელმა მოქალაქეებმა შეიტანეს. საჭირო თანხის ნახევარზე მეტს სწორედ მათ მიერ შემოწირული თანხა შეადგენს.

ზაზა ფაჩუაშვილი, ფოტო

ბედნიერი მედპერსონალი და იმედიანი პაციენტი.

საოჯახო მედიცინის ცენტრი 250 ათასი დოლარი დაჯდა. აქედან 130 ათასი დოლარი საკუთარი ოჯახის ფონდიდან გადმორიცხა ამერიკელმა ქველმოქმედმა დენიელ მიჰენმა. მანვე გამოგზავნა თანამედროვე სამედიცინო აპარატურა, რომელიც მცხეთა-მთიანეთის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში გადანაწილდება. რამ განაპირობა მიჰენის ასეთი კეთილგანწყობა, ნოემბრის ბოლოს გავიგებთ, როცა ქველმოქმედი საქართველოში ჩამოვა და მისივე თანხით აღდგენილ დუშეთის საავადმყოფოს გახსნას დაესწრება. მიჰენის გარდა, საქართველოსთვის სხვა ამერიკელებიც შეწუხდნენ, რომლებმაც ცენტრის მშენებლობისთვის საკუთარი თანხა გაიღეს.

"ეს არის მაჩვენებელი იმისა, თუ რა კეთილგანწყობილია ამერიკელი ხალხი საქართველოს მიმართ," – განაცხადა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა კენტ ლარსონმა.

ყოველივე ეს დაიწყო აშშ-ს მილუოკის ჯანმრთელობის საერთაშორისო ცენტრისა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციას შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შემდეგ, 1999 წელს, რასაც მოჰყვა მთელი რიგი ერთობლივი პროექტები მცხეთა-მთიანეთის მხარეში.

ლარსონის გარდა ცენტრის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე, აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსი, მილუოკის ჯანდაცვის საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელი ჯონ პეტერსონი, ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი დონალდ ჰარბიკი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ერთი სიტყვით, მცხეთის საოჯახო ცენტრის კვარცხლბეკზე თავი მოიყარა საქართველოში აკრედიტებულმა "მთელმა ამერიკამ", რაც ამ მოვლენის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

" მინდა, გულითადი მადლობა გადავუხადო აშშ-ს მთავრობასა და ამერიკელ ხალხს იმ დიდი მხარდაჭერისათვის, რაც მათ საქართველოს ბოლო 12 წლის განმავლობაში აღმოუჩინეს. ჩვენი თანამშრომლობა 1992 წელს დაიწყო და დღემდე წარმატებით მიმდინარეობს. უფრო მეტიც, საქართველო – აშშ-ს ხუთი პარტნიორული პროგრამა მალე შვიდამდე გაიზრდება," – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

"მეტად მოხარული ვარ, რომ ასეთი მშვენიერი ცენტრის გახსნას ვესწრები. სამწუხაროდ, ჩემი მეუღლე შეუძლოდაა და თან არ მახლავს, თუმცა უკეთესი იქნებოდა, წამომეყვანა თქვენს პოლიკლინიკაში, როგორც პირველი პაციენტი," – იხუმრა რიჩარდ მაილსმა, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამერიკელი და ქართველი ხალხის მეგობრობას.

მცხეთის საოჯახო მედიცინის ცენტრი დაფინანსდება სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებით, რაც მხარის მოსახლეობისთვის უფასო იქნება. აქვე მომზადდება ოჯახის ექიმები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ორი სიტყვით

თბილისი. 1 ნოემბრიდან დედაქალაქის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც წყალს 8 საათზე ნაკლები დროის განმავლობაში იღებს, წყლის გადასახადს 90 თეთრის ოდენობით გადაიხდის. ასეთი გადაწყვეტილება თბილისის საკრებულომ, ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ინიციატივით, მიმდინარე წლის 9 სექტემბერს მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გაერო-ს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით, ახალბედა მშობლებს ამიერიდან საშუალება ექნებათ, როგორც ბეჭდვითი, ისე ვიდეო მასალებით, ბავშვის ადრეულ ასაკში განვითარების შესახებ სრული ინფორმაცია მიიღონ. გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში" სწორედ ამ მიზნით მომზადებული „ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების პროგრამის" პრეზენტაცია გაიმართა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დღეს, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ერთკვირიანი არდადეგები გამოცხადდება. განათლების მინისტრის №175 ბრძანებულების თანახმად, არდადეგები 2 ნოემბერს დასრულდება და სწავლა ორშაბათს – 3 ნოემბერს განახლდება. დღეს სკოლებში გაიმართება ღონისძიება „შემოდგომის ზეიმი". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დამხმარე სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოებების რიგით მეორე გამოფენა საგამოფენო ცენტრ „ეს-პო-ჯორჯიაში" 25 ოქტომბერს გაიხსნება და ნოემბრის დასასრულამდე გასტანს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ორი ათასზე მეტი ექსპონატი. ღონისძიება მსოფლიო ბანკიდან გამოყოფილი 60-მილიონიანი კრედიტით ფინანსდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთში შიდსის ეპიდემიაა. ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვი 250 ათასს აღწევს, მათ შორის, 7.591 ბავშვია. ქვეყანაში ყოველ 100 ათას მოსახლეზე შიდსით ინფიცირებული 157 ადამიანი მოდის. დღეისთვის შიდსი განუვითარდა 817 ინფიცირებულს, აქედან 193 ბავშვია. დაავადების გადაცემის ძირითადი გზა დაბინძურებული შპრიცების გამოყენებაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

გორი. პატარა ლიახვის ხეობაში მდებარე ერედვის თემის ათამდე ქართულ სოფელს ცხინვალმა დავალიანების გამო გათიშული ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგინა. როგორც შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ ზურაბ რევაზიშვილმა განაცხადა, დე ფაქტო ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან უკვე მიღწეულია შეთანხმება დავალიანების ეტაპობრივი დაფარვის შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის 100 წლის იუბილესთვის ემზადება. საიუბილეო დღეების ფარგლებში, 27-დან 29 ოქტომბრამდე უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სესიები გაიმართება, რომელშიც უნივერსიტეტის ლექტორები და მეცნიერები მიიღებენ მონაწილეობას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღია საუნივერსიტეტო „მანსანკანი" ტარდება. ამჯერად უნივერსიტეტში მერვედფინალი მიმდინარეობს, რომელშიც თბილისის აგრარული უნივერსიტეტის, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები მონაწილეობენ. მერვედფინალის შედეგები 25 ოქტომბერს გახდება ცნობილი. **მედია-ნიუსი**

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის სატრანსფერტო ანგარიშზე სექტემბრის თვის განმავლობაში მოძრავი ფინანსური ნაკადის მონაცემები

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა (სესბ-მა) სექტემბერში რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი აგვისტოს თვესთან შედარებით 1 337 000 ლარით გაზარდა. სესბ-ის მომხმარებლებიდან თანხების ამოღების საერთო დონემ კი 42%-ს მიაღწია. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის პირდაპირმა მომხმარებლებმა აღნიშნულ პერიოდში ელ. ენერგიის საფასური 82%-ით აანაზღაურეს, მცირე ენერგოგამანაწილებელმა კომპანიებმა 71%-ით, გაცილებით რთული მდგომარეობა დაფიქსირდა მსხვილი გამანაწილებელი კომპანიების მიმართებაში. მათ მიერ ანაზღაურებული ელექტროენერგიის საფასური მხოლოდ 18%-ია. მაგალითისთვის, გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ 3 200 000-ის ღირებულების ელექტროენერგია მოიხმარა, ენერგობაზრის სატრასფერტო ანგარიშზე კი 335 000 ლარი გადმორიცხა. რაც შეეხება "ეი-ი-ეს თელასს", ეს კომპანია მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ელექტროენერგიის საფასურს ჩათვლით იხდის, რის შედეგადაც მცირდება სესბ-ის დავალიანება "ეი-ი-ეს მტკვრის" მიმართ.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის სატრანსფერტო ანგარიშზე მომხამრებლების მხრიდან სექტემრის თვეში 4 687 000 ლარი გადმოირიცხა. აღნიშნული თანხა სესბ-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული განაწილების მოდელის მიხედვით გენერაციის ობიექტებსა და მომსახურე კომპანიებს გაუნაწილდათ.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის სატრანსფერტო ანგარიშიდან გადარიცხული თანხები

ნაზრდი 2003 წლის სექტემბრის თვის

211	[illegible]	119,131,986	34,344,211	8,746,648	-	25%	8,746,648	-	8,746,648	-	144,727,349	21%	-
212	[illegible]	11,988,827	3,032,276	857,734	-	28%	857,734	-	857,734	-	14,154,489	18%	-
300	[illegible]	24,788,952	6,084,962	853,238	-	14%	853,238	-	853,238	(746,329)	28,274,946	18%	-
325	[illegible]	2,833,525	1,397,509	671,085	581,508	48%	671,085	609,500	1,281,485	-	2,949,539	4%	-
334	[illegible]	10,648,277	2,911,356	856,085	-	23%	856,085	-	856,085	6,315	12,905,862	21%	-
337	[illegible]	3,337,318	1,508,834	671,731	-	42%	671,731	-	671,731	181	4,255,602	28%	-
338	[illegible]	5,736,764	1,608,951	527,634	-	33%	527,634	-	527,634	28,446	6,838,327	19%	-
370	[illegible]	6,877,526	1,068,648	1,186,108	-	66%	1,186,108	-	1,186,108	-	7,873,065	12%	-
371	[illegible]	328,637	397,186	80,579	-	28%	80,579	-	80,579	-	842,246	87%	-
373	[illegible]	2,028,929	373,444	107,411	-	29%	107,411	-	107,411	1,129,280	3,420,049	89%	-
409	[illegible]	989,758	398,550	189,433	-	53%	189,433	-	189,433	-	1,129,873	18%	-
339	[illegible]	674,966	228,935	81,177	-	38%	81,177	-	81,177	12,499	734,881	28%	-
339	[illegible]	12,464	87,823	41,838	-	73%	6,328	-	6,328	-	83,639	411%	-
339	[illegible]	108,984	88,135	38,580	-	42%	38,580	-	38,580	100,983	291,522	169%	-
343	[illegible]	7,413	33,866	1,000	20,381	8%	1,000	20,381	21,381	-	19,600	164%	-
412	[illegible]	103,266	113,170	32,969	-	29%	32,969	-	32,969	-	183,476	79%	-
416	[illegible]	95,828	-	-	-	-	16,580	-	16,580	-	74,328	-19%	-
418	[illegible]	234,943	-	-	-	-	15,080	5,340	20,348	-	213,665	-9%	-
419	[illegible]	178,855	-	-	-	-	1,367	-	1,367	-	177,688	-1%	-
232	[illegible]	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		-
208	[illegible]	221,216	4,700	4,700	-	108%	25,138	-	25,138	-	200,778	-9%	-
342	[illegible]	(7,799)	84,305	10,080	11,456	25%	580	19,245	19,745	-	36,650		-
301	[illegible]	-	-	-	-		-	-	-	-	-		-
302	[illegible]	-	-	-	-		-	-	-	-	-		-
219	[illegible]	33,217	-	-	-		-	-	-	33,217	66,433	100%	-
216	[illegible]	8,946	-	-	-		-	-	-	-	8,946	0%	-
229	[illegible]	679,775	61,475	61,475	-	108%	62,314	-	62,314	3,993	682,929	0%	-
234	[illegible]	74,465	6,249	4,989	-	68%	26,228	-	26,228	-	54,506	-27%	-
421	[illegible]	-	105	-	-	8%	-	-	-	-	105		-
422	[illegible]	-	28,394	-	-	8%	-	-	-	-	28,394		-
249	[illegible]	46,167,206	25,597,998	12,989,360	4,349,092	51%	12,989,360	4,349,092	17,338,453	14,976,578	69,422,428	50%	-
214	[illegible]	7,142,106	948,609	916,780	25,868	97%	2,186,474	(3,236,783)	(1,050,309)	-	8,138,083	25%	-
217	[illegible]	1,467,592	-	-	-		-	-	-	-	1,467,592	0%	-
328	[illegible]	157,232,448	34,041,738	5,413,688	-	18%	5,413,688	147,231	5,560,918	4,202,927	190,816,192	21%	-
248	[illegible]	33,573,533	7,018,770	1,512,232	-	22%	1,512,232	-	1,512,232	211,497	39,289,567	17%	-
196	[illegible]	(1,988,918)	-	-	-		-	-	-	-	-		(1,988,918)
198	[illegible]	(82,897)	-	-	-		-	-	-	-	-		(82,897)
399	[illegible]	809,993	-	-	-		191,992	16,230	112,162	(190)	792,841	-12%	-
400	[illegible]	148,592	-	-	-		42,888	-	42,888	-	105,684	-29%	-
418	[illegible]	463,520	3,602,824	349,631	-	7%	750,279	430,000	1,180,279	294,560	3,193,014	580%	-
417	[illegible]	-	10,718,536	8,763,438	-	62%	8,793,074	(1,943,074)	8,750,080	(697,839)	1,270,699		-
418	[illegible]	-	-	-	-		78,638	-	78,638	128,729	50,091		-
306	[illegible]	2,289	-	-	-		-	2,289	2,289	-	-		-
329	[illegible]	938,908	-	-	-		46,620	-	46,620	-	891,088	-5%	-
405	[illegible]	602,297	-	-	-		-	(5,379,328)	(5,379,328)	(5,980,346)	341,283	-46%	-
408	[illegible]	222,376	-	-	-		222,376	-	222,376	-	0	-100%	-
406	[illegible]	101,266	-	-	-		14,116	52,952	67,068	-	34,217	-66%	-
407	[illegible]	332,737	-	-	-		26,083	-	26,083	-	306,654	-8%	-
411	[illegible]	1,078,498	-	-	-		-	1,078,498	1,078,498	-	-		-
413	[illegible]	43,707	-	-	-		52,844	-	52,844	-	-		(9,137)
	[illegible]	-	-	-	-		-	-	-	-	-		-
339	[illegible]	(3,528,800)	-	-	-		-	-	-	-	-		(3,528,800)
414	[illegible]	(1,508,800)	-	-	-		-	-	-	-	-		(1,508,800)
176	[illegible]	(9,933,294)	-	-	-		-	-	-	-	-		(9,933,294)
428	[illegible]	-	-	-	4,080,948		-	4,096,948	4,096,948	4,096,948	-		-
423	[illegible]	-	-	-	-		-	6,000,000	6,000,000	5,600,346	-		(336,654)
424	[illegible]	-	78,119	-	-	0%	-	-	-	49,257	127,376		-
	[illegible]	6,820,082	4,780,859	3,804,290	-	80%	4,468,874	-	4,468,874	-	7,126,847	4%	-
	[illegible]	431,232,714	142,491,018	48,403,380	9,998,294	34%	52,542,898	7,154,468	59,697,364	23,642,491	555,151,771	29%	(17,352,901)

ნაზრდი 2003 წლის სექტემბრის თვის

233	[illegible]	(11)	19,700	19,700	-	100%	19,700	-	19,700	-	-		(11)
22	[illegible]	12,336	102,751	91,503	-	88%	106,972	-	106,972	-	10,134	-18%	-
189	[illegible]	126,434,709	28,438,879	19,200,000	-	68%	19,200,000	-	19,200,000	-	135,623,988	7%	-
287	[illegible]	29,089,878	7,749,941	2,996,724	-	27%	1,116,724	6,479	1,123,203	-	35,686,614	23%	-
171	[illegible]	981,677	197,804	19,700	-	12%	19,700	-	19,700	6,143	739,324	28%	-
344	[illegible] XXI	0	23,123	23,123	-	100%	23,123	-	23,123	-	0	28%	-
256	[illegible]	(34,891)	109,464	78,423	39,184	74%	-	39,620	39,620	-	10,837		-
305	[illegible]	3,249	18,951	18,951	-	100%	21,220	-	21,220	-	590	-82%	-
330	[illegible]	189,189,313	34,924,998	3,838,802	-	9%	3,864,462	192,337	3,256,799	21,968	220,478,882	17%	-
334	[illegible]	(1,469)	51,438	46,306	-	90%	44,817	-	44,817	-	5,132		-
317	[illegible]	(1)	38,667	38,667	-	100%	43,561	-	43,561	-	-		(3,895)
283	[illegible]	6,082,316	1,168,803	461,191	-	39%	461,191	1,387	462,578	-	6,789,504	12%	-
132	[illegible]	44,726	73,014	73,014	-	100%	73,043	-	73,043	-	44,698	0%	-
343	[illegible]	(86)	121,393	121,393	-	100%	121,684	-	121,684	-	-		(187)
218	[illegible]	(863)	12,368	12,368	-	100%	11,373	-	11,373	-	-		(2)
218	[illegible]	29	28,131	28,131	-	100%	28,194	-	28,194	-	-		(36)
24	[illegible]	8,928	58,460	58,460	-	100%	62,387	-	62,387	-	-		(1)
198	[illegible]	10,786,529	858,637	49,987	-	6%	49,987	(223,083)	(174,496)	-	11,121,872	8%	-
199	[illegible]	236,888	202,868	198,118	-	98%	201,063	223,083	425,046	118	16,497	-93%	-
358	[illegible]	(4)	137,305	112,306	-	82%	112,305	-	112,305	-	25,017		-
327	[illegible]	663	3,297	2,392	-	73%	2,392	-	2,392	-	1,568	137%	-
168	[illegible]	33,484,343	16,315,715	9,262,367	3,349,083	33%	8,526,437	2,746,179	9,272,016	2,496,441	42,662,763	28%	-
290	[illegible]	135,156	102,786	68,648	-	66%	68,648	-	68,648	-	171,296	27%	-
20	[illegible]	1,187,747	47,171	12,500	-	26%	12,500	-	12,500	-	1,142,418	3%	-
349	[illegible]	-	7,163	7,163	-	100%	7,315	-	7,315	-	-		(152)
351	[illegible]	-	-	-	-		-	5,348	5,348	5,348	-		-
352	[illegible]	-	18,343	8,400	-	91%	8,400	-	8,400	-	1,943		-
	[illegible]	286,930,674	69,873,979	31,313,764	3,388,267	35%	31,847,919	2,991,335	34,839,194	2,527,911	404,337,135	18%	(4,286)
161	[illegible]	19,944,313	5,393,031	3,173,332	4,096,948	40%	1,628,341	(737,981)	888,760	(74,411)	23,874,172	23%	-
144	[illegible]	13,384	998	-	-	8%	-	-	-	-	14,382	7%	-
331	[illegible]	-	48,135	42,288	-	88%	42,288	-	42,288	-	5,850		-
195	[illegible]	37,294	43,723	48,268	-	92%	54,202	-	54,202	-	26,795	-28%	-
143	[illegible]	(17,814)	42,572	24,314	-	57%	8,500	-	8,500	-	16,258		-
163	[illegible]	19,096,549	16,771,031	9,248,555	-	55%	8,514,479	1,070,488	18,564,937	(5,573,901)	15,646,742	-18%	-
345	[illegible]	-	18,125	18,125	-	100%	18,290	-	18,290	-	-		(165)
80	[illegible]	(5)	202,141	184,650	-	91%	184,644	-	184,644	-	17,492		-
79	[illegible]	272,698	41,410	38,500	-	98%	38,500	-	38,500	-	276,576	2%	-
342	[illegible]	-	2,184	502	-	23%	502	-	502	(1,674)	508		-
178	[illegible]	1,294	284,232	284,232	-	100%	274,625	-	274,625	-	-		(9,101)
170	[illegible]	1,492	17,869	17,118	-	96%	17,700	-	17,700	-	1,761	28%	-
188	[illegible]	1,638

ენგურის ხიდზე გადასვლა 100 რუბლი ღირს

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოქმედმა ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდლობამ ცოტა ხნის წინ არძინბას ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას ენგურის ხიდზე სეპარატისტთა თვითნებობის აღკვეთის მოთხოვნით მიმართა და მისგან დაპირებაც მიიღო, აფხაზთა პირობა მხოლოდ პირობად დარჩა. ენგურის ხიდზე არსებული მდგომარეობა დღემდე არ შეცვლილა.

ქართული მხარე კარგა ხანია აპროტესტებს აფხაზების მიერ ენგურის ხიდზე მოსახლეობის მიმოსვლის შეზღუდვას. ბოლო პერიოდში აფხაზი მებაჟეები ხიდზე გამვლელ ყოველ ქართველს გადასახადის სახით 100 რუსულ რუბლს ართმევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი "საზღვრის" გადაკვეთის საშუალებას არ აძლევენ. ქართული მხარის განმარტებით, ენგურის ხიდზე მიმოსვლის შეზღუდვა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება და, სავარაუდოდ, აფხაზები იქ მდგომარეობას კარგა ხანს არ გამოასწორებენ.

ენგურის ხიდზე შექმნილი მდგომარეობა, აფხაზ მებაჟეთა თვითნებობა და სეპარატისტების მიერ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან გატაცებული მძევლების დაბრუნება – ეს საკითხები განიხილებოდა ჭუბურხინჯში გამართულ გუშინდელ ოთხმხრივ შეხვედრაზე.

გუშინ ქართულმა მხარემ ხუთი ქართველი მძევლის გათავისუფლების საკითხი დასვა. ესენი არიან: აგვისტოში გატაცებული ზუგდიდელი როლანდ ჩანგელია და ჭუბურხიჯიდან სექტემბერში გატაცებულები ლეფსაია, ხარზიანი, ქირია და არქანია. ჭუბურხინჯიდან გატაცებულთა შესახებ აფხაზურმა მხარემ კომენტარი არ გააკეთა. **"მათი ადგილსამყოფელის დადგენაზე მუშაობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოქმედი ოთხმხრივი კომისია. გატაცებულთა შესახებ გამოძიების მასალებს მომავალი კვირისთვის დაგეგმილ შეხვედრაზე წარმოვადგენთ",** - ასეთი მოკლე პასუხი მიიღო ქართულმა მხარემ გუშინ სეპარატისტებისგან.

რაც შეეხება ზუგდიდიდან გატაცებულ როლანდ ჩანგელიას, რომლის გათავისუფლების საკითხსაც ქართველები თითქმის უკვე მორე თვეა, აფხაზებს ყოველ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ახსენებენ. აფხაზები და რუსი სამშვიდობოები, რომლებმაც რუსი ჯარისკაცის გაუჩინარების გამო ზუგდიდში ეგზეკუცია მოაწყვეს და პირობა დადეს, რომ ჯარისკაცის პოვნისთანავე გატაცებულ ქართველს დააბრუნებდნენ, ჩანგელიას ადგილსამყოფელის შესახებ კვლავ არაფერს ამბობენ. ქართული მხარე კი გუშინ მათ კვლავ არწმუნებდა, რომ ჩანგელია სეპარატისტთა ე.წ. სპეცრაზმის უფროსს ვალმერ ბუთბას ჰყავს დატყვევებული.

გავრცელებული ინფორმაციით, ბუთბა ჩანგელიას გათავისუფლებაში ფულსა და თხილს ითხოვს.

სეპარატისტებმა ქართველ მძევალში ამჯერად 47 ათასი დოლარი მოითხოვეს. შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ აფხაზები ჩანგელიას სანაცვლოდ 80 ათას დოლარს ითხოვდნენ.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. უზენაეს სასამართლოში გაიმართა საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით დაკავებული ჩეჩნების - ხაჩუკაევის და მაგომედოვის სასამართლო პროცესი. პროკურორმა ედიშერ ქარჩავამ უზენაეს სასამართლოში საოლქო სასამართლოს 2003 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება გაასაჩივრა და მოითხოვა საქმის დაბრუნება ხელახალი განხილვისთვის. გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო 30 ოქტომბერს გამოაცხადებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს საკონსტიტუციო სასამართლო არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" სარჩელის წარმოებაში მიღება-არმიღების საკითხს გადაწყვეტს. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის "პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" კანონების რიგ მუხლებს ასაჩივრებს და 15-მდე ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადებას მოითხოვს. მოსარჩელეების აზრით, ხსენებული მუხლები აკანონებენ ცენზურას, ზღუდავენ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას, გაერთიანების თავისუფლებასა და საკუთრების უფლებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შესაძლებელია, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები უახლოეს მომავალში ყაზარმული მუშაობის რეჟიმზე გადავიდნენ. დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსის გოჩა მუკბანიანის ცნობით, შესაძლებელია, ასეთი გადაწყვეტილება ხელმძღვანელობამ ნებისმიერ წუთს მიიღოს, რადგან არსებობს ოპერატიული ინფორმაცია კოლონიებში სარეჟიმო ვითარების დაძაბვის თაობაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ლიკანში გაიხსნა ორდღიანი სემინარი, რომელზეც მოსამართლეები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების საკითხს იხილავენ. რაიონული, საოლქო და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებს სემინარს უტარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნოს ყოფილი იურისტი ჟუსტინა მეტელსკა. სემინარი ტარდება სამოსამართლო სწავლების ცენტრისა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატის თანამშრომლობის ფარგლებში. **მედია-ნიუსი**

„კმარას" ქვები დაუშინეს

თამარ კაკიტაძე

ბოლო პერიოდში ტელეეკრანებიდან თუ პრესის ფურცლებიდან ხშირად გაისმის მოძრაობა "კმარას" მისამართით გამოთქმული ბრალდებები. თავდაპირველად, ახალგაზრდული მოძრაობის მისამართით სალანძღავი სიტყვები სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებისგან მოდიოდა, ბოლო დროს კი მათ "აღორძინების კავშირიც" შეუერთდა. ორი დღის წინ მოძრაობა "კმარას" აქტივისტებს, პოლიციასთან ერთად, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოც დაუპირისპირდა და სტუდენტები წვრილმან ხულიგნობაში დაადანაშაულა. გუშინ კი უცნობმა პირებმა "კმარას" ოფისს ქვები დაუშინეს.

ეკატერინა ლეონიძისა და ფოტო

შევარდნაძემ თქვა - "კმარას" კმარა და ოფისი დაარბიეს.

გუშინ, გვიან ღამით, უცნობმა პირებმა "კმარას" ოფისის ფანჯრის მინები ქვებით ჩაამტვრიეს და უხამსი პროკლამაციები შეყარეს. არადა, სტუდენტურ მოძრაობას სულ რამდენიმე კვირაა, რაც საკუთარი ოფისი აქვს. იგი ე.წ. "იტალიური ეზოს" პირველ სართულზე მდებარეობს.

"ღამე ოფისში ორი წევრი დარჩა, რომლებიც დაახლოებით პირველ საათზე საჭმელის საყიდლად გავიდნენ. უკან დაბრუნებულებმა დაინახეს, რომ ერთი ფანჯარა ჩამტვრეული იყო. მაშინვე დამირეკეს. მეგობრებისთვის მოსალოდნელი საშიშროება რომ ამეცილებინა, ვურჩიე, წასულიყვნენ. დილით რომ მივედით, ყველა ფანჯარა დამტვრეული დაგვხვდა, ოთახში კი ქვები და პროკლამაციები ეყარა", - აღნიშნა ჩვენთან საუბარში მოძრაობა "კამარას" აქტივისტმა თეა თუთბერიძემ.

მინების მტვრევის ხმა მეზობლებმაც გაიგეს. **"ხმაურზე გარეთ გამოვედი, დავინახე, რომ ოფისის ფანჯრები ჩამტვრეული იყო, მაგრამ ეზოში არავინ ჩანდა. დღემდე ჩვენს ეზოში ამგვარი ფაქტი არ მომხდარა",** - ამბობს მეზობელი ოთარ თენეიშვილი.

ოფისის წინ შეკრებილმა მოძრაობის წევრებმა მომხდარის შესახებ მთაწმინდა-კრწანისის პოლიციას შეატყობინეს. სამართალდამცველებმა დაზარალებულებს განუცხადეს – შეტყობინება საკმარისი არ არის, განყოფილებაში მობრძანდით, განცხადება დაწერეთ და მერე მოვალთო. "კმარას" წევრებმა კანონი მოიშველიეს. ამის შემდეგ ოფისში ვერის განყოფილების უფროსის მოადგილე თემურ შეყლაშვილი გამოცხდდა. კანონდამცველებმა მაშინვე შეადგინეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, დაკითხეს მაცხოვრებლები და მოძრაობის წევრები. შეყლაშვილის თქმით, დაწყებულია მოკვლევა და არ არის გამორიცხული, რომ დამნაშავე უახლოეს მომავალში დააკავონ.

პოლიციის ოპტიმიზმის ნაკლებად სჯერათ თავად დაზარალებულებს. მით უმეტეს, რომ ისინი მომხდარს არა წვრილმან ხულიგნობასთან, არამედ პოლიტიკურ შეკვეთასთან აკავშირებენ, რომელიც, სავარაუდოდ, ან სახელისუფლებო ბლოკიდან, ან "აღორძინების კავშირიდან" უნდა მოდიოდეს.

"მას შემდეგ, რაც სახელისუფლებო ბლოკსა და "აღორძინების კავშირს" შორის პოლიტიკური ქორწინება მოხდა, ორივე პარტია აქტიურად გვიპირისპირდება. ჩვენ ვუპირისპირდებით არა საზოგადოებას, არამედ ხელისუფლებას; ამიტომ ოფისის დარბევაც სწორედ მათი დაკვეთით მოხდა. ჩვენი აზრით, მომხდარი გაგრძელებაა იმის, რა მოწოდებაც პრეზიდენტმა ჩვენი მისამართით ორი დრის წინ გააკეთა. შევარდნაძემ თქვა - "კმარას" კმარა. ოფისში შემოყრილ პროკლამაციებზეც სწორედ ეს სიტყვებია დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, ვისი ხელი ურევია ჩვენს დარბევაში". - ამბობს თუთბერიძე.

ყელგამოჭრილი ეჭვმიტანილი შსს-დან საავადმყოფოში მოხვდა

პირველი გვერდიდან

ვინ მიაყენა შინაგან საქმეთა სამინისტროში დადვაძეს ჭრილობები ან ვინ ჩაუმტვრია ნეკნი, მედიცინის მუშაკებისათვის უცნობია. ექიმებმა არც ის იცოდნენ, რისთვის იყო იგი დაკავებული. **"პაციენტი დუმილის უფლებას იყენებდა და არავის არაფერს გვეუბნებოდა. საუბრისგან მისი შვილი გიორგიც თავს იკავებდა",** – გვითხრა ბაქარ ბაკურაძემ.

ვალერიან დადვაძის დაკავების დეტალებს, ჯერჯერობით, შინაგან საქმეთა სამინისტროშიც მკაცრად ასაიდუმლოებენ. დაკავებულის დაჭრის ფაქტს შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი პაატა გომელაური არც ადასტურებს და არც უარყოფს. **"ამ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია აწარმოებს, რომლის დასკვნაც რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი და ინფორმაციას ამის შემდეგ მოგაწვდით",** – გვითხრა გომელაურმა.

ამ ეტაპზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა გენერალური ინსპექციის უფროსმა დავით ჯინჯოლავამაც.

"მოკვლევას ჩვენი სამსახური და გენერალური პროკურატურა ერთობლივად აწარმოებენ. სამუშაოს დასრულებამდე ვერაფერს გეტყვით," – ასეთია გენერალური ინსპექციის უფროსის პასუხი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, შედარებით მწირი ინფორმაცია მოგვაწოდეს გენერალური პროკურატურიდან. მათი თქმით, დადვაძე ნარკოტიკების განმეორებითი მოხმარებისთვის არის დაპატიმრებული, ყელი კი მან დაკითხვისას, საკუთარი ადვოკატის თანდასწრებით გადაიჭრა.

რამდენად შეეფერება სიმართლეს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაცია, ძნელი სათქმელია.

მომხდართან დაკავშირებით კი რამდენიმე კითხვა უკვე არსებობს. კერძოდ, რაში უნდა დასჭირვებოდა დუმილის უფლებით აღჭურვილ ეჭვმიტანილს ადვოკატის თანდასწრებით თვითმკვლელობის მცდელობა და მეორეც, ჩვენი ინფორმაციით, დადვაძეს დაკავებისას სამართალდამცველებმა 10 გრამი ჰეროინი აღმოუჩინეს. როგორც წესი, საქართველოში ნარკოტიკის მომხმარებელს, რომელიც ნამდვილად არ არის შეძლებული, ამ რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების თანხა არ გააჩნია. ვინ მისცა დადვაძეს ნარკოტიკი - იმედია, გამოძიება დაადგენს.

წინასაარჩევნო სროლები გორის რაიონში

ხათუნა ჭანგირაშვილი

გუშინ, გვიან ღამით, სროლის ხმა ისმოდა გორის რაიონის სოფლებში - ახალდაბასა და ვარიანში. დაახლოებით ღამის სამ საათზე "ნაციონალური მოძრაობის" გორის ორგანიზაციის რამდენიმე აქტივისტის საცხოვრებელ სახლებს ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს. წინასწარი ინფორმაციით, ისროდნენ "აკაესისა" და "აკაემის" სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან.

უცნობმა პირებმა დაცხრილეს სოფელ ახალდაბაში მცხოვრები, "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი წარმომადგენლის შუღლი ქებაძის საცხოვრებელი სახლის კარი და ავტომანქანა. სოფელ ვარიანში ლადო გეგელაშვილის საცხოვრებელი სახლის მიმართულებით ისროდნენ.

გუშინ ორივე ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით. ჯერჯერობით, სამართალდამცველებს ეჭვმიტანილები არ ჰყავთ. სამაგიეროდ, მომხდარის ავტორ-შემსრულებლებს ასახელებენ "ნაციონალური მოძრაობის" წევრები.

"ნაციონალური მოძრაობის" გორის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ ქარელი ამ ფაქტს ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ტერორის შეფასებას აძლევს და ინციდენტს უშუალოდ გიორგი კანდელაკის სახელს უკავშირებს.

გუშინვე "ნაციონალების" ბრალდებებს სახელისუფლებო ბლოკი ბრალდებებით გამოეხმაურა. ბლოკის გორის ორგანიზაციის სპიკერის თამაზ მაყაშვილის განცხადებით, ხელისუფლებას არანაირი კავშირი არ აქვს გუშინ, გვიან ღამით მომხდარ სროლებთან. **"აღნიშნული ინციდენტი თავად "ნაციონალების" მიერ წინასაარჩევნოდ ინსპირირებული პროვოკაციაა",** – ასე აფასებენ სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები "ნაციონალების" ბრალდებას.

"გიორგი კანდელაკმა უკვე მეორედ გამოიყვანა მოკრივეთა ბანდა "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ. არ გამოვრიცხავთ, რომ უახლოეს დღეებში კიდევ უფრო დაიძაბება მდგომარეობა სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებსა და ჩვენს მოძრაობას შორის", – აცხადებენ "ნაციონალური მოძრაობის" წევრები და იმუქრებიან, რომ მომხდარ ფაქტს უპასუხოდ არ დატოვებენ.

გორელი სამართალდამცველები გუშინ კომენტარებისგან თავს იკავებდნენ და აცხადებდნენ, რომ გამოძიება ყველაფერს გაარკვევს.

"წინასწარ ვერაფერს ვიტყვით, მიმდინარეობს მოკვლევა, იკითხება ხალხი. ვნახოთ, რა ჩვენებებს მოგვცემენ", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გორის საგამოძიებო დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა ვანო სამხარაძემ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ეძებს და პოულობს ტალანტებს

თამარ კაკიტაძე

2003-2004 წელს უზენაეს სასამართლოში ეროვნული ოლიმპიადა გაიმართება სამოქალაქო და სისხლის სამართალში, სადაც სტუდენტური ჯგუფები საქმის წარმოების წესების დაცვით იმიტირებულ სასამართლო პროცესს გაითამაშებენ. ანალოგიური ოლიმპიადები დიდი ხანია, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ტარდება. იგი ჩვენს ქვეყანაში სწორედ ვაშინგტონის გამოცდილებით დაინერგა.

ამ სახის ოლიმპიადა საქართველოში პირველად შარშან ჩატარდა და მასში მონაწილეობა 250 სტუდენტმა მიიღო. როგორც ჩანს, ამგვარმა ღონისძიებამ ქართველ სტუდენტებში, რომლებსაც სწავლის პერიოდში პრაქტიკული გამოცდილების მიღების არც თუ დიდი პერსპექტივა აქვთ, ინტერესი გამოიწვია.

ოლიმპიადის ორგანიზატორები – უზენაესი სასამართლო და საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, რომლებსაც ამერიკის იურისტთა ასოციაცია და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს - ვარაუდობენ, რომ წლევანდელ კონკურსში 300-მდე მომავალი იურისტი მიიღებს მონაწილეობას.

ოლიმპიადა გაიმართება ორტურიანი სისტემით. პირველ ტურში მონაწილეობას მიიღებს 24 გუნდი, ხოლო მეორეში – 12. ფინალში გამარჯვებულად ჩაითვლება ოთხი გუნდი – ორი საუკეთესო სასამართლო გუნდი (სისხლის და სამოქალაქო პროცესიდან) და ორიც მხარის საუკეთესო წარმომდგენი. კონკურსის ჟიური დაკომპლექტებული იქნება უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებითა და ადვოკატებით. სწორედ პრაქტიკოსი იურისტები გამოავლენენ გამარჯვებულ სტუდენტებს, რომლებიც ამ ეტაპზე უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ თეორიულ ცოდნას იძენენ.

ოლიმპიადაში მონაწილეებს საკუთარი ცოდნის გამოვლენა უკვე განხილულ სასამართლო საქმეებზე უზენაესი სასამართლოს დარბაზებში მოუწევთ. მომავალი იურისტები, უფროსი კოლეგების მსგავსად, გადაწყვეტილებას გამოიტანენ და მოგებულ მხარესაც გამოავლენენ (საინტერესოა, დაემთხვევა თუ არა პროფესიონალი მოსამართლეების და მომავალი იურისტების პოზიციები ერთმანეთს).

"ქართული სწავლების მეთოდიკა ვერ გასცდა ცნებათა იურისპრუდენციას, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში არსებობდა. ამგვარი ღონისძიებებით ქართველ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გაეცნონ უცხოური სწავლების ტაქტიკას და თეორიულ განათლებას პრაქტიკული გამოცდილებაც დაუკავშირონ. მომავალ იურისტებს ახალი ასპარეზი უნდა გავუხსნათ. ოლიმპიადაში გამარჯვებულები სტაჟირებას უზენაეს სასამართლოში გაივლიან და არ არის გამორიცხული, რომ მომავალში მათ მუშაობა სწორედ უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში გააგრძელონ. ჩვენ ვეძებთ და ვპოულობთ ტალანტებს", – აღნიშნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის ეროვნული ოლიმპიადის პრეზენტაციას ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი ამანდა ეშფორდიც ესწრებოდა. **" ეს არის მნიშვნელოვანი სწავლება. მომავალი იურისტები, თეორიულ სწავლებასთან ერთად, პრაქტიკულ საქმიანობასაც უნდა შეეჩვიონ",** – განაცხადა ამანდა ეშფორდმა.

ოლიმპიადაში გამარჯვებულებს ჟიურის წევრები სიგელებსა და სახვადასხვა სახის იურიდიულ ლიტერატურას გადასცემს, რაზეც ასევე უზენაესმა სასამართლომ იზრუნა.

საკანალიზაციო ჭაში ახალშობილის გვამი იპოვეს

გუშინწინ, გვიან ღამით, ორთაჭალის მეხუთე საპყრობილის სამეურნეო და საავადმყოფო კორპუსთან ახლოს განთავსებულ საკანალიზაციო ჭაში ახალშობილის გვამი იპოვეს. გუშინ გაირკვა, რომ ახალშობილი ქალთა კორპუსში მობინადრე 24 წლის პატიმარ ქალს ეკუთვნის, რომელიც რამდენიმე თვის წინ ორთაჭალის იზოლატორში ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციის ბრალდებით შეიყვანეს.

ჩვენი ინფორმაციით, პატიმარი ქალი, რომელმაც დაწესებულების მედპერსონალის ჩარევის გარეშე, ქალთა კორპუსის საპირფარეშოში იმშობიარა, ჩეჩენი ეროვნების გახლავთ. მადინა ლიბაზანოვა ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციისთვის ადრეც არის გასამართლებული. ამ ფაქტის შესახებ უკვე ეცნობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაზე ზედამხედველ პროკურატურას. მოკვლევას მე-5 საპყრობილის უსაფრთხოების სამსახური აწარმოებს.

24 საათი

ძებნილმა კრიმინალმა ჰოლიციელი მოკლა

ცხინვალიდან ორი კილომეტრის დაშორებით მდებარე ქართულ სოფელ ქვემო ხვითში გუშინ მკვლელობა მოხდა. პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების დროს მომხდარი შეტაკებისას გორის პოლიციის თანამშრომელი მალხაზ მთიულიშვილი მოკლეს.

არსებული ინფორმაციით, მთიულიშვილი, თანამშრომელთან ერთად, მოსალაპარაკებლად მივიდა სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის, მათ შორის - მკვლელობისთვის რამდენჯერმე ნასამართლევ რომან ბასილიძესთან, რომელმაც მოულოდნელად პოლიციის თანამშრომლებს სანადირო თოფიდან ცეცხლი გაუხსნა. სროლის შედეგად მიღებული სასიკვდილო ჭრილობებისგან მალხაზ მთიულიშვილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ბასილიძემ გაქცევა მოახერხა.

მომხდართან დაკავშირებით შექმნილია პოლიციელთა ოპერატიული ჯგუფები, რომლებიც გაქცეული ბასილიძის დაკავებზე მუშაობენ. სამართალდამცველთა ვარაუდით, ბასილაძემ ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოახერხა გადასვლა.

პოლიციის განცხადებით, ქართულმა მხარემ უკვე სთხოვა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას, ბასილიძის აღმოსაჩენად ერთობლივი სპეცოპერაცია ჩაატარონ. ოსური მხარე ამ წინადადებას დათანხმდა. ამჟამად გადაკეტილია გზები ჯავის მიმართულებითაც.

როინ ბასილიძე მძიმე დანაშაულებში იყო ეჭვმიტანილი და გორის პოლიცია გუშინ მის დაკავებას აპირებდა.

24 საათი

რუსი პოლკოვნიკის კომიქსები რუსლან გელაევზე

საგენტო "ინტერფაქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციების მართვის რეგიონალური ოპერატიული შტაბის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ილია შაბალკინმა ახალი სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი მტკიცებით, ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გელაევი შავი ბიზნესითაა დაკავებული. შაბალკინის ინფორმაციით, გელაევი აკონტროლებს მის მიერ შექმნილ საერთაშორისო ნარკოტრანზიტის დერეფანს. რუსი პოლკოვნიკის მტკიცებით, ახალი გზის მეშვეობით ნარკოტიკი რუსეთში შედის ავღანეთიდან, პაკისტანიდან და ტაჯიკეთიდან.

შაბალკინის ახალი ვერსიით, რუსლან გელაევი, თავის დაჯგუფებასთან ერთად, ამჯერად სვანეთშია დაბანაკებული. **"რუსლან გელაევს მეგობრული ურთიერთობები აქვს რეგიონის რიგ ხელმძღვანელებთან, ბიზნესმენებთან და აქტიურადაა დაკავებული კომერციული საქმიანობით,"** – აცხადებს რუსი პოლკოვნიკი.

შაბალკინის განმარტებით, ინფორმაცია გელაევის ახალი ადგილსამყოფელისა და საქმიანობის შესახებ ჩაბარებული მებრძოლებისგან მოეპოვება.

პოლკოვნიკის თქმით, სამართალდამცველების მიერ გადაბირებული ყოფილი მებრძოლები აცხადებენ, რომ რუსლან გელაევის ფორმირების წევრთა ნაწილი პანკისის ხეობაში – ახმეტაში, დუისსა და დუმასთურში იმყოფება.

"დარჩენილ ბოევიკთა აზრით, საქართველოში საცხოვრებელი პირობები გაცილებით უკეთესია, ვიდრე ჩეჩნეთის მთებში. პანკისის ხეობაში ისინი საკვებსა და სამედიცინო დახმარებას იღებენ იმ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებენ", - აცხადებს შაბალკინმა. სხვათა შორის, ეს ის პოლკოვნიკი შაბალკინი გახლავთ, რომელმაც გელაევთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინ სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა. შაბალკინის მაშინდელი ფანტაზიით, გელაევმა გვარი შეიცვალა, საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და რუსთავში დაფუძნდა.

პოლკოვნიკ შაბალკინის ახალ ინფორმაციას საქართველოს უშიშროების სამინისტრო კომენტარს არ უკეთებს. **"რამდენიმე დღის წინ შაბალკინი ამტკიცებდა, რომ გელაევმა შეიარაღებულ დაპირისპირებაზე უარი თქვა, რუსთავში სახლი იყიდა და ქართულ გვარზე გადავიდა, ხოლო დღეისათვის უკვე საუბარია საველე მეთაურის სვანეთის მთებში ყოფნაზე",** - აცხადებს უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორი ნიკა ლალიაშვილი. მისი თქმით, ასეთი აბსურდული განცხადებების კომენტირება უაზრობაა. **"მე მესმის, რამდენად უსიამოვნოა, რომ კოლოსალური საშუალებების კონცენტრაციის მიუხედავად, ვერ ხერხედება რუსლან გელაევის და მისი რაზმის ადგილსამყოფელის დადგენა და ნეიტრალიზაცია. ალბათ, ამ ფაქტმა ბატონ შაბალკინში სერიოზული სულიერი შეშფოთება გამოიწვია, რის საფუძველზეც მან ძლიერი სულიერი ტრავმა მიიღო. შაბალკინის ინფორმაციებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსოფლიო ლიტერატურა მალე ახალი ჟანრით გამდიდრდება. ეს იქნება შაბალკინის კომიქსები სუპერმენ გელაევზე,"** – აცხადებს საქართველოს უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორი ნიკა ლალიაშვილი.

რუსული მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია რუსლან გელაევის საქართველოში ყოფნის შესახებ უარყო საქართველოს პრეზიდენტმა. **"რუსლან გელაევმა იცის, თუ როგორ არიან საქართველოში მისდამი განწყობილი. მან ისიც კარგად იცის, რომ არც ერთმა ჩეჩენმა არ უნდა დაარღვიოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი,"** – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

24 საათი

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"

გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისებიანი მეთოდი,
- საგნობრივი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოეწყობა სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

ხელისუფლება პასუხს აგებს როგორც საკუთარ, ისე ოპონენტთა შეცდომებზე

არჩილ გოგელია

არაფერი ისე არ აღელვებს დღეს ქართველს, როგორც 2 ნოემბრის არჩევნები, რადგან იგი მნიშვნელობით სცდება მარტოოდენ საარჩევნო თემას. საქმე ისაა, რომ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ქვეყანამ რამდენიმე მძიმე ეტაპი განვლო. დაწვრილებით აღარ ჩამოვთვლი გარდახდილ პროცესებს. თითოეული ამ ეტაპთაგანი დროის თავისებური გამოძახილი იყო. ჩვენ გამოვიარეთ გამოქვაბულისა და ქვის ხანის დემოკრატიული პერიოდები და ფორმაციები. ამჟამად, გვინდა თუ არა, ველური კაპიტალიზმისა და ეკლექტიკური დემოკრატიის სტადიაში ვიმყოფებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვცხოვრობთ არა იმდენად არშემდგარ სახელმწიფოში, რამდენადაც ბუნდოვანი მომავლისკენ მიმსწრაფ ქვეყანაში. ამ პროცესს ინერცია შეიძლება დავარქვათ. ინერციის ველშია მოქცეული პოლიტიკური სპექტრი, ეკონომიკური ინსტიტუტები, ზნეობრივი კატეგორიები.

ძნელი სათქმელია, რა ძალამ შექმნა თანამედროვე საქართველოს მრუდე და გაურკვეველი პორტრეტი. ყველაზე ადვილია, ხელი ხელისუფლების უმწეობის და ოპოზიციის რადიკალიზმისკენ გაიშვიროთ. არადა, პოლიტიკური აგიტატორები და მასმედია ძირითადად სწორედ ამ ურთიერთგამომრიცხველი ფაქტორებით ხსნიან ქვეყნის უსიხარულო ყოფას. თუ ამ პრიმიტიულ ლოგიკას გავყვებით, არჩევნების შედეგების განსაზღვრა თითქოს რთული არ უნდა იყოს. მოსახლეობის განსხვავებულ ფენებს ბოლო წლებში ერთი უბედურება დასჩემდათ: დღისით გაზეთებს კითხულობენ, საღამოობით, ფილმების ნაცვლად, თოქ-შოუებით ერთობიან და მათი პოლიტიკური ცოდნა სწორედ ამ წყაროებს ეფუძნება. იმის გათვალისწინებით, თუ რა საპირისპირო არგუმენტებით იკვებება აუდიტორია, რა უპრინციპოა ხშირად მედიის თვალსაზრისი, ადვილი წარმოსადგენია, რა დომხალით არის აღსავსე კენჭისყრის წინ ჩვეულებრივი ამომრჩევლის ცნობიერება.

არჩევნების წინა პერიოდში ოპოზიცია ამომრჩეველს სთავაზობდა სტანდარტულ პოლიტიკურ მენიუს: ხან კორუფციის, ხან დაურიგებელი ხელფასებისა და პენსიების, ბოლო ხანს კი არევდარეული საარჩევნო სიების თემას. ხელისუფლებას სხვა კოზირები აქვს: ოპოზიციას ბრალდება არასანქცირებული საპროტესტო აქციები, ფარული საბოტაჟი, საკანონმდებლო ინსტიტუტის მოშლა და უმნიშვნელოვანესი კანონების ჩაგდება, ბოლოს კი რუსეთისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებთან კონფიდენციალური თანამშრომლობა, აგრეთვე საზღვარგარეთული საეჭვო ფინანსური წყაროებით სარგებლობა... ესაა დაპირისპირებულ მხარეთა ბრალდებების მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი. ამ დოსიეთა განგრძობა-შევსება დაუსრულებლად შეიძლება. საბედნიეროდ, ცალკეული შემთხვევის გარდა, ბრალდებათა განუწყვეტელი კანონადა აშკარა სამოქალაქო დაპირისპირებაში ან ძალმომრეობაში არ გადაზრდილა. რამდენად ახლოს ვართ ამჟამად კრიტიკულ ზღვართან, რამდენად იკრებს ძალას პოლიტიკური ოკეანის შუაგულში გიგანტური მასშტაბის შესაძლო შეტაკებები?

ამ კითხვას დღეს არც ერთი ძალა არ სცემს გულწრფელ და პირდაპირ პასუხს. მიზეზი მარტივია: ვინც შეეცდება, მეტ-ნაკლებად მაინც გაამჟღავნოს თავისი ნეგატიური სცენარი მოახლოებული არჩევნების წინ, მას არჩევნების შემდეგ საზოგადოება აუცილებლად დაადანაშაულებს წინასწარ ჩაფიქრებული ძალმომრეობის აქტების დაგეგმვაში. ვიცით, რა მოხდა სომხეთში მაისის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, უფრო ნათლად გვახსოვს ბაქოს 15-16 ოქტომბრის მოვლენები. ორივე არჩევნების წინ საერთაშორისო სამყარო აფრთხილებდა დაპირისპირებულ მხარეებს, არამც და არამც არ ექციათ ბრძოლის ველად საარჩევნო სივრცე. ორივე შემთხვევაში დასავლეთმა, მხარეებთან წინასწარი კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების მიუხედავად, ვერ შეძლო არეულობის უვნებელყოფა. ვგონებ, ამბოხებას ჰქონდა თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. მთავარი მაინც ორი სხვადასხვა ეპოქის, ორი განსხვავებული მსოფლმხედველობის, ორი შეურიგებელი პოზიციის რადიკალური დაპირისპირებაა. სომხეთში ნაკლებად, აზერბაიჯანში კი მძაფრად დაუპირისპირდა ერთმანეთს კონსერვატიზმი და რადიკალიზმი.

ეს ტერმინები, კონსერვატიზმი და რადიკალიზმი, დღეს ახლებურ შინაარსს იძენს. ურთულესი პროცესებითა და ცხოვრების დაბალი დონით გამწარებული მოსახლეობის უმრავლესობა არჩევანს ძველ და ახალ სტრუქტურებს შორის აკეთებს. კონსერვატორებს მიაჩნიათ, რომ მართვის ამჟამინდელ სისტემას რადიკალური შეცვლა არ სჭირდება და მხოლოდ ნაწილობრივ მოითხოვს განახლებას. რადიკალები კი ყველაფერს უარყოფენ, რაც სახელისუფლებო სტრუქტურების პროგრამებს და პროექტებს უკავშირდება. ორ ძალას შორის არავითარი შეხების წერტილი არ არსებობს. რადიკალებს უზნეობად მიაჩნიათ არათუ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, არამედ თვით სახელისუფლებო ბლოკის არსებობაც კი. თავის მხრივ, ხელისუფლება, ოპოზიციასთან თანამშრომლობის მზადყოფნის გამოხატვის მიუხედავად, რეალურად არავითარ კონტაქტებს არ ამყარებს ოპოზიციურ ძალებთან. ჩემი აზრით, უმთავრესი ისაა, რომ ამ ძალებს შორის კომპრომისზე საუბარიც ზედმეტია. და რადგან მათი თანამშრომლობა ან შეთანხმება შეუძლებელია, ან თითქმის შეუძლებელი, საბოლოო ჯამში, სამოქალაქო დაპირისპირება შეიძლება გარდაუვალი გახდეს.

რატომ მაინცდამაინც ამ კონკრეტულ მომენტშია განსაკუთრებით სახიფათო სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროება? ჩვეულებრივ, დაპირისპირება პიკს არჩევნებისას აღწევს. ხელისუფლება, ოპოზიციის მსგავსად, ძალაუფლების დათმობას არ აპირებს. ამბობენ, რომ არ შეიძლება არსებობდეს ორი სიმართლე - სიმართლე მხოლოდ ერთია და მას ალტერნატივა არა აქვს. ვის მხარესაა ამჯერად სიმართლე? ორივე მხარე გამეტებით არწმუნებს საზოგადოებას, რომ სიმართლე მხოლოდ მის მხარესაა. ეს დავა ინერციით დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს, თუკი მას წერტილი არ დაუსვა ელექტორატმა და არჩევნებმა. სხვა გზა არ არსებობს: თუ ცნობილ გამოთქმას ოდნავ გადავაკეთებთ, არჩევნები შეიძლება მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს, ეს თითოეული ჩვენგანის გემოვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობის ნების გამოხატვისათვის არჩევნებზე უკეთესი საშუალება ჯერაც არავის გამოუგონებია. სხვა საკითხია, ეს იქნება დემოკრატიული თუ გაყალბებული არჩევნები, ეს იქნება ღია და გამჭვირვალე თუ ფარსიფიცირებული კენჭისყრა, ეს იქნება სამართლიანი თუ უსამართლო არჩევნები. აი, ამგვარი დილების წინაშე დგას 2 ნოემბრის წინ ჩვენი ელექტორატი.

მაინც რას სთავაზობენ ამომრჩეველს მეტოქე ძალები? ერთი არსებული სისტემის გაუმჯობესებას (ამის არავის სჯერა), მეორენი ყველაფრის შეცვლას. ერთნი კვლავ აპირებენ მოკრძალებული დაპირებებით ხელისუფლებაში დარჩენას, მეორენი თამამი დაპირებებით ხელისუფლებაში მოსვლას. ერთნი კონიუნქტურას ასატანად მიიჩნევენ, მეორენი - ქვეყნის ძირფესვიანი მოდერნიზაციისკენ იხრებიან. არჩევანი თითქოს მარტივია, მაგრამ სინამდვილეში არაერთგვაროვანი მრწამსის და ცნობიერების ელექტორატისთვის გადაწყვეტილების მიღება არ არის იოლი.

არსებობს თუ არა ბუნებაში საერთოდ და საქართველოში კერძოდ, ერთი სიმართლე? იმ ინგლისელი ჯენტლმენის მსგავსად, რომელიც მუდამ გამორიცხავს კატეგორიულობას და თავსხმა წვიმის დროსაც კი იტყვის - მე მგონი, წვიმსო, აბსოლუტური სიმართლის ცნებას ვერ ვაღიარებ. სწორედ ამიტომ იძლევა არჩევნები უმრავლესობისა და უმცირესობის სიმართლეთა არსებობის შესაძლებლობას. დემოკრატიულ საზოგადოებაში უმცირესობის ინტერესებსაც ისევე სჭირდება პატივისცემა, როგორც უმრავლესობისას. მხოლოდ ეს ფაქტორი, უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესების პატივისცემა და გათვალისწინება, ამთლიანებს ხალხს და ქვეყანას. მაგრამ არჩევნები არჩევნებია და უპირატესობა მაინც უმრავლესობის აზრს ენიჭება. როცა ჯორჯ ბუშისა და ელ გორის საარჩევნო მარათონის ბოლო სტადია უსაშველოდ გაიწერა, გორი ნებაყოფლობით გამოეთიშა ბრძოლას. მისი გადაწყვეტილების მოტივაცია ის იყო, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად დროის დაუსრულებლად გაჭიანურებას ხალხი და ქვეყანა ორ დაპირისპირებულ ნაწილად შეიძლება დაეყო. ეს კი მსოფლიოს ყველაზე ძლიერი და აწყობილი სახელმწიფოს ურთულესი პრობლემების დასაწყისად შეიძლება ქცეულიყო. ყველას არ ეყოფა არჩევნებში ამგვარი ჯენტლმენობისა და კეთილშობილების გამოვლენის უნარი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში დაპირისპირებულ მხარეებს ერთი სამშობლო აქვთ.

და მაინც, თუ ნოემბრის არჩევნები გაყალბდება, თუ საკუთარ თავს და დანარჩენ მსოფლიოს დავანახებთ, რომ არ შეგვიძლია ერის ბედის განმსაზღვრელი კენჭისყრის ნორმალურად ჩატარება, მაშინ არაფერი შეიძლება გამოირიცხოს, ძალადობის ჩათვლითაც კი. თუმცა პოლიტიკაში კატეგორიულობა მიუღებელი ცნებაა, მაინც დაჟინებით ვიტყვი: როგორიც უნდა იყოს ნოემბრის არჩევნების შედეგები, ქვეყანა ვეღარ იცხოვრებს ისე, როგორც დღეს. საქართველო გარდაუვალი რადიკალური ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დგას. თუ დღემდე გამუდმებით ვსაუბრობდით ცვლილებებზე და უსასრულო რიტორიკით გავაუფასურეთ ეს თემა, ნოემბრის არჩევნების ზარი მოგვთხოვს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, შევცვალოთ ქვეყნისთვის დამღუპველი ატმოსფერო.

არჩევნების კვირაძალზე არც იმ ძველისძველი, მაგრამ მუდამ აქტუალური ფორმულის გახსენება გვაწყენდა: ხელისუფლება პასუხს აგებს არა მარტო საკუთარ, არამედ ოპონენტთა შეცდომებზეც.

ნომრის სტუმარი

ხშირად უნდა გავიხსენოთ, რა გვინდოდა 10 წლის წინ

და რა გვაქვს დღეს...

კრიტიკული დღეები გრძელდება, ნერვები იძაბება. საზოგადოების ეგზალტირებული ნაწილი ემოციების დაფარვას არც ფიქრობს - ეს ერთის მხრივ. არის წრე ადამიანებისა, რომელიც ამ ყველაფერს ცივი, მაგრამ არაგულგრილი გონებით უყურებს. მათ პოლიტიკური ამნეზია ჯერ არ დამართნიათ, ყველაფერი ახსოვთ, რაც მოხდა მათ დაბადებამდე და შემდეგაც და პოზიციის გამოხატვა მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნიათ. მაგრამ, რადგანაც, პირველ რიგში, საზოგადოების ეგზალტირებული ნაწილის მოთხოვნილებები კმაყოფილდება, ამ ადამიანების მშვიდი განსჯა და არასასიამოვნო სიმართლე მაინცდამაინც პოპულარული არ არის. ლაშა ბაქრაძესთან საუბარი არც არავის მხილებაა და არც კონკრეტულ პოლიტიკურ კომპრომატებს შეიცავს. ეს უფრო სამზარეულოში, ჭიქა ჩაისთან გამართულ საუბარს ჰგავს ამ მთისაზე, იმ ბარისაზე, მაგრამ ეს ლანდშაფტი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზეა.

მაია ჭალაბანიძე

- ზიჩის აქამდე უცნობი ერეტიკული ნამუშევრების გამოფენით დავიწყოთ. რატომ არ შედგა?

- ამ გამოფენის შესახებ ბოლო დროს ბევრი ვილაპარაკეთ. ანონიმური ზარი გაისმა "ძველ გალერეაში". მათაც აღარ მოინდომეს გამოფენის მოწყობა...

- ეს ზარი ოფიციალურ მიზეზად დასახელდა?

- ეს ხომ ანონიმური ზარი იყო. მთელი პრობლემაც ეგ არის, რომ ვიღაც ადამიანები თავს ასე დარეკვის უფლებას აძლევენ. ჩემი აზრით, ეს სახელმწიფოს მოშლის ერთ-ერთი მაგალითია. ასეთ დროს, ქურდული გაგების ხალხი ან სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუციები სახელმწიფოს მოვალეობის შესრულებას იწყებენ. ეს - ერთი მხარეა. ჩემთვის საინტერესო მეორე მხარე აღმოჩნდა - რამდენად არის მედია დაინტერესებული სკანდალით...

ზიჩის გამოფენა გოეთეს ინსტიტუტში გამართული ლიტერატურული საღამოების ჩარჩოებში მაინც შედგა. სწორედ ამ გამოფენის გამო მოვიდა განსაკუთრებით ბევრი ხალხი, მათ შორის პრესაც. შინაარსიან საღამოებზე მეტად მედიას სკანდალი აინტერესებს. ეს ჩემთვის გასაგებია, რადგან საქართველოში არის არაბუნებრივად დიდი და ჭრელი მედიალური სივრცე. ქალაქ თბილისში 11 თუ 12 ტელეარხი და ათობით გაზეთია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენში ჯერ არ ჩამოყალიბებულა ნამდვილი კაპიტალისტური სისტემა. არსებობენ ისეთი გაზეთები და ტელევიზიები, რომ ვერ გაიგებ, რითი ცხოვრობენ, ან საიდან აქვთ ფინანსები.

- იყო თუ არა საჭირო საზოგადოების შემზადება ზიჩის გამოფენისთვის?

- რატომღაც, ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ საზოგადოება ხან ამისთვის არ არის მზად და ხან - იმისთვის... ჩვენ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვიჯექით ჭურში და ახლაც არიან ძალები, რომელთაც სურთ, რომ ისევ ჭურში დაგვაბრუნონ. მგონია, ქართველებსაც ისე უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ინფორმაციაზე, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს და არანაირი შიში არ უნდა გვქონდეს, რომ საზოგადოება ამას ისე ვერ გაიგებს, როგორც საჭიროა. ეს არის უაღრესად ბუნებრივი პროცესი - ინფორმაცია არსებობს და ის ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

- როგორ ფიქრობთ, გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნის ჯერ ჩამოუყალიბებელი მედია-ბაზრისთვის ეს ნორმალური არ არის?

- გარდამავალი პერიოდიც ხომ უსაშველოდ გრძელდება. ამ რაოდენობის მედიას საკვები არ აქვს. მხოლოდ პოლიტიკაზე საუბარი კი მოსაწყენია და თავად იგონებენ სკანდალებს.

- სხვათა შორის, ეს საყვედურები პოლიტიკოსებისგანაც მოდის, მაგრამ სკანდალები არამხოლოდ ქართულ, კაპიტალისტურ მედიასაც უყვარს - ფიქრობთ, რომ ეს მიდრეკილება დანაშაულია?

- რა თქმა უნდა, მთელი მსოფლიოს პრესა სენსაციებს ეკიდება, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენთან ეს განსაკუთრებით გადაჭარბებულია. როგორც ჩანს, კულტურული ცხოვრება იმდენ საკვებს არ აძლევს მედიას, რომ ამით იცხოვროს. ამიტომაც ქართულ მედიას უფრო მეტად ჭორი, სკანდალი აინტერესებს. დასავლეთში ეს ტენდენცია მედიის გარკვეულ ნაწილში შეიმჩნევა - არსებობს ყვითელი პრესა და ნორმალური მედია - აქ კი ყველაფერი ერთმანეთშია არეული.

- ამ არეულ-დარეულობის მიუხედავად, თითქოს კულტურული ცხოვრება ჩქეფს, თუმცა მედიის მსგავსად ესეც ჭრელი სპექტრია...

- 5-6 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით, კულტურული ცხოვრება, მართლაც, მრავალფეროვანი გახდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოების მსგავსად ყველაფერი ფრაგმენტული, ატომიზირებული და დანაწევრებულია.

არანაირ კულტურულ ღონისძიებას გრძელვადიანი შედეგი არ მოჰყვება ხოლმე. კულტურულ ღონისძიებებს პერიოდულობა არ ახასიათებს (ფესტივალებს თუ არ ჩავთვლით). როგორც ჩანს, საქართველოში კულტურა სასურველი დონით ვერ ახდენს გავლენას საზოგადოებაზე.

- პოლიტიკამ ამის ადგილი არ დატოვა...

- ვფიქრობ, გაჭირვებულ გარემოში მცხოვრები ადამიანებით მანიპულირება უფრო ადვილია, ვიდრე მათი, ვისაც არ უჭირს, აქვს უფრო მეტი ინფორმაცია და არ არის დამოკიდებული სხვებზე. ჩვენთან ხომ ფინანსურადაც, სოციალურადაც და თუნდაც, ამ კლანური სისტემის გამო ძალზე ბევრი დამოკიდებული ადამიანია. ამ ადამიანებით მანიპულირება ადვილია.

- ამ არჩევნების გამო საზოგადოება დაძაბული, გაორებულია. არსებობს ადამიანთა გარკვეული წრე, რომელიც ძნელად აჰყვება ხოლმე საყოველთაო მოწოდებებს და ცივი გონებით განსჯის უნარი აქვს. როგორ ფიქრობთ, რას მოიტანს ეს პოლიტიზება?

- როდესაც ქვეყანაში ისეთი მდგომარეობაა, რასაც ახლა ვხედავთ, ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანის მოქალაქეობრივი ვალია, ჩაერთოს ამ პროცესებში და მხოლოდ პოლიტიკოსების ხელში არ დატოვოს ქვეყნის ბედი. ჩემი აზრით, საზოგადოების უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო, გარკვეული ჯგუფების პოზიცია უფრო მეტად უნდა ჩანდეს.

ის რომ, საქართველოს მოსახლეობას საკუთარი მომავალი აინტერესებს, მისასალმებელია და ასეც უნდა იყოს. ალბათ, ამჟამინდელ ხელისუფალთ ხელს არ აძლევთ, რომ საზოგადოება ასე იყოს ჩაბმული პოლიტიკურ პროცესებში. ამიტომაც, ხშირად ისმის ფრაზები - ეს საქმე პოლიტიკოსებს მივანდოთ, ამის თაობაზე ყველამ არ უნდა ილაპარაკოს და ა.შ.

პოლიტიკოსი არ არის ის პროფესია, რომელსაც ადამიანი გარკვეული განათლების შემდეგ იღებს. პოლიტიკოსი შეიძლება იყოს ყველა, ვისაც განათლება, პატიოსნება და აზროვნება უწყობს ხელს სახელმწიფო აღმშენებლობაზე იფიქროს და გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც თავისი ქვეყნის ბედი აინტერესებს, საკუთარ აზრს უნდა გამოთქვამდეს, ოღონდ არა ისე, როგორც ჩვენში ხდება - ნებისმიერი ლაზღანდარა საუბრობს მთელი ხალხის სახელით, ზოგი – რეგიონის, უბნის სახელით. ყველამ თავისი სახელით უნდა ილაპარაკოს. თავისი აზრის სხვისთვის მოხვევა საქართველოში დიდი და საშიში პრობლემაა.

- საზოგადოების აქტივობა აგრეთვე შეინიშნებოდა მაშინ, როდესაც ოპოზიციის გაერთიანებაზე იყო საუბარი. ეს არ მოხდა. როგორ ფიქრობთ, ამან გარკვეული იმედგაცრუება და უნდობლობა ხომ არ გამოიწვია?

- გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ამ ახლადარჩეული პარლამენტისგან დიდ ცვლილებებს არ მოველი, რადგან ის ადამიანები აპირებენ შესვლას, რომლებიც აქამდეც პარლამენტში ისხდნენ. იგივე ძალებია, ოღონდ - გადაჯგუფებული. სამწუხაროდ, ქართველ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი უხერხემლო, უნებო და ხშირად უვიცია. რთულია, ასეთი ადამიანებისგან სერიოზული ცვლილებებს მოელოდე.

რა მოხდება, თუ პრეზიდენტს მხოლოდ ორი ვადა აქვს, პარლამენტარებს პარლამენტში სხდომა სამი ვადით მაინც შევუმციროთ. ეს ხელს შეუწყობდა პოლიტიკაში, მართლაც, ახალი სახეების მოსვლას.

ოპოზიცია რომ არ გაერთიანდა, ეს ბუნებრივია, რადგან განსხვავებული ინტერესები და დაჯგუფებებია. სამწუხაროდ, საქართველოში არ ჩამოყალიბდა ნამდვილი პარტიული სისტემა განსხვავებული პოლიტიკური პროგრამების საფუძველზე. პარტიები მხოლოდ პოლიტიკური ლიდერის გარშემო იკრიბებიან. პოლიტიკოსები მუდმივად ერთი ჯგუფიდან მეორეში ინაცვლებენ. ესეც პოლიტიკურ უმწიფრობაზე მიუთითებს. ამიტომ, როდესაც არ ჩამოყალიბებულა ისეთი ნამდვილი პარტიული სისტემა, როგორიც დასავლეთშია - გაერთიანებაზე საუბარი რთულია.

მიუხედავად იმისა, რომ დიდ ცვლილებებს არ უნდა მოველოდეთ, ცხადია, არსებული ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ამ ხელისუფლებისგან რაიმე კარგი არავითარ შემთხვევაში არ არის მოსალოდნელი და რაღაც გარკვეული შანსი იმ ოპოზიციურ ძალებსაც უნდა მივცეთ, რომლებიც ამბობენ, რომ ცვლილებები სურთ და ძალუძთ. ასეთი კი მხოლოდ ერთიორი თუა.

- სრულფასოვანი პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებას ისიც უშლის ხელს, რომ გამოკვეთილად ორიენტაციებიც არ ჩამოყალიბებულა - მემარჯვენეთა მოთხოვნებში მემარცხენეობის ელემენტებია და პირიქით...

- გეთანხმებით, ეს თვითდარქმეული სახელებია. ყველაზე მეტად ის მაოცებს, როდესაც ძველი კომკავშირლები მემარჯვენეობას თუ ცენტრისტობას იჩემებენ, ზოგი - ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის დამფუძნებლად გვევლინება. პოლიტიკური მრწამსის ეს უცნაური ცვალებადობა სასაცილოა.

ქართული პოლიტიკური ელიტა საერთოდ ბევრს მიედ-მოედება, ტვინს არასაჭირო და უნაყოფო მიმართულებით იჭყლეტს. დასავლეთში წავლენ და ფიქრობენ - თუ იქაური სტრუქტურის ასლს გადმოვიტან, იქნებ ჩვენი ქვეყანაც აყვავდესო.

არიან პოლიტიკოსები, ვინც ორპალატიანი პარლამენტის შესახებ ალაპარაკდნენ. ვფიქრობ, როდესაც ასეთი რთული მდგომარეობაა, რაც უფრო ადვილი სტრუქტურები იარსებებს, მით უფრო კარგია - ერთპალატიანი პარლამენტი საქართველოსთვის სრულიად საკმარისია.

საქართველოში ორპალატიანი სისტემა გაართულებს კანონპროექტების მიღების ისედაც განელილ და გართულებულ პროცესს. გაუთავებლად იქნება პალატებს შორის სირბილი. ხელისუფლებისთვის ბევრად ადვილი იქნება პარლამენტის მართვა ორპალატიანობის შემთხვევაში.

- ჩამოყალიბებული მემარჯვენეობისა და მემარცხენეობის შემთხვევაში დიდად განსხვავებული მდგომარეობა გვექნებოდა?

- მეოცე საუკუნის დასაწყისში, დასავლეთში, მემარჯვენეობა და მემარცხენეობა მკაფიოდ გამოკვეთილი იყო. ახლა ასე აღარ არის. გერმანიაში, თავისი ტრადიციულობით ცნობილი სოციალ-დემოკრატიულ პარტია, ძალიან უახლოვდება, ვთქვათ, ქრისტიან-დემოკრტიული პარტიას. მათ პროგრამებს შორის ისეთი ძირეული განსხვავება აღარ არის - დაახლოებით, ერთსა და იმავე პროგრამას ატარებენ. მხოლოდ რადიკალურ ძალებს შორის თუ შეიმჩნევა მემარცხენეობა და მემარჯვენეობა.

ყველა ამ ძალას დასავლეთში საშუალო ცენტრისტული ძალები შეგვიძლია ვუწოდოთ; მით უფრო საქართველოში, გრძელვადიანი კომუნისტური წარსულის მქონე ქვეყანაში. ძალიან ძნელია ისაუბრო მემარჯვენეობა-მემარცხენეობაზე. ჩვენს ქვეყანაში ეს ტერმინები სრულიად აბსურდულად მიმაჩნია. თუ ამა თუ იმ პოლიტიკური გზის რაიმე ჩარჩოში მოთავსება აუცილებელია, შესაძლებელია, სხვაგვარი ტერმინები დაგვჭირდეს. ესენია: კონსერვატიული ძალები, ვისაც არსებული ძალაუფლების, წყობისა და მდგომარეობის შენარჩუნება სურთ; რეფორმატორული ჯგუფი და უფრო რადიკალური რეფორმების მოსურნე ჯგუფი.

საინტერესოა, ვის დაუჭერს ხალხი მხარს (თუ არჩევნები არ გაყალბდა) - მათ, ვისაც რადიკალური რეფორმები, რევოლუციური ცვლილებები უნდათ, თუ მომხრეებს მოვლენების უფრო ევოლუციური განვითარებისა, რომელიც ჩვენს პირობებში კიდევ შეიძლება ათწლეულები გაგრძელდეს?

თუ ხელისუფალნი შეეცდებიან მასიურ გაყალბებას, მოსალოდნელია ძალისმიერი მეთოდებით პროტესტის გამოხატვა. აჭარაში მომხდარი ამბები გვიჩვენებს, რომ ავტორიტარული პროვინციული რეჟიმი ყველა ღონეს იხმარს ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ვშიშობ, თბილისშიც არ არის ძირეულად განსხვავებული ვითარება.

- თქვენი ინიციატივით, გოეთეს ცენტრში სამი ლიტერატურული საღამო ჩატარდა. რას ემსახურებოდა ეს საღამოები?

- ლიტერატურულ ცხოვრებაში თუნდაც იმის გამო შეინიშნება გამოცოცხლება, რომ უფრო მეტი წიგნი გამოდის და წიგნის მაღაზიებიც ისევ იხსნება. რასაკვირველია, ასეთი საღამოები ადრეც ყოფილა და კიდევ იქნება. ერთადერთი განსხვავება ჩემს მიერ მოწყობილ საღამოებში იყო - თემატურობა. ეს გახლდათ არა მხოლოდ ზოგადი შეხვედრა მწერლებთან, არამედ გარკვეულ კონკრეტული თემების გარშემო საუბარიც.

პირველი დღის თემა იყო "სახელმწიფო ცენზურიდან თვითცენზურამდე", მეორისა - "ეროტიკული ტალღა ქართულ ლიტერატურაში". ძალზე საინტერესოა, რომ ამგვარი ტალღა ახლა გამოჩნდა. ამ პროცესში ავტობიოგრაფიული მომენტები თამაშობენ გარკვეულ როლს.

მესამე საღამო ორი წინა საღამოს შემაჯამებელიც იყო ერთგვარად და ოდნავ პროვოკაციული კითხვაც დაისვა - "არსებობს თუ არა თანამედროვე ქართული ლიტერატურა"?

ცხადია, თანამედროვე ქართული ლიტერატურა არსებობს. ეს კითხვა სხვადასხვა ასპექტებს მოიცავს – მაგალითად, არსებობს თეორია იმის შესახებ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენი მკითხველი ჰყავს ავტორს. ქმნიან თუ არა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები მკითხველთა იმ კრიტიკულ მასას, რაც ნამდვილი ლიტერატურის არსებობას შეუწყობდა ხელს. სად არის, მაგალითად, კრიტიკა, რომლის გარეშეც მხატვრული ლიტერატურა წინ ვერ ივლის...

- მიიღეთ პასუხი ამ კითხვაზე?

- რასაკვირველია, ამაზე ამომწურავი პასუხის მიღება ძნელია. ვფიქრობ, უკვე ძალიან საინტერესოა, როცა ეს კითხვა ისმება. განსაკუთრებით სასიამოვნო და სასიხარულო იყო ის, რომ ყოველდღიურად იზრდებოდა საღამოზე მოსული ადამიანების რიცხვი. მიზანს თუნდაც იმით მივაღწიეთ, რომ არა მხოლოდ საღამოს წამყვანი და მოწვეული მწერლები, მსმენელთა დიდი ნაწილიც ჩართული იყო ამ დისკუსიებში.

პოლიტიკოსებს შორის დისკუსიას რომ ვუყურებთ, ადვილი შესამჩნევია, რომ დისკუსიის ფორმებს არ ვიცნობთ. ამ საღამოებზე შევძელით, რომ დისკუსია ყოფილიყო.

ყველა საკითხის გარშემო იყო აზრთა სხვადასხვაობა და სწორედ ასეთ დროს იბადება რაღაც ახალი იმპულსი, თუნდაც, იმ წრისთვის, ვინც ლიტერატურაზე წერს, თუნდაც კრიტიკოსებისთვის, რომელთა რიცხვი ძალზე მცირეა.

ამ საღამოებით ქართულ ლიტერატურაში რაიმე გადატრიალებას არც ვაპირებდით, მაგრამ ახალი პერსპექტივებისკენ ოდნავი ბიძგი მაინც იყო.

თურმე, საქართველოში გვაინტერესებს, რა ხდება ქართულ ლიტერატურაში, კულტურაში. მსგავსი ვითარებაა პლიტიკაშიც და ძალზე სასიამოვნოა, რომ ადამიანები, მიუხედავდ ამდენხნიანი გაჭირვებისა, არ კარგავენ სურვილს, იყვნენ აქტიურები. ქართული პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილის მცდელობის მიუხედავად, რომ საზოგადოება აღარ იყოს დაინტერესებული პოლიტიკით - ხალხი მაინც დაინტერესებულია და ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი გვაღელვებს და არ ვართ გულგრილნი ჩვენი მომავლისადმი.

- საინტერესო იქნებოდა ცენზურისა და თვითცენზურის საკითხის განხილვა ისეთ ქვეყანაში, სადაც კარგად იციან, რას ნიშნავს ეს...

- თვითცენზურა ყოველთვის და ყველგან არსებობს. რადგანაც, არსებობს პრობლემები, რომელთა შესახებ ადამიანი ლაპარაკს თავს არიდებს და ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ აზრს. ამერიკული "პოლიტიკური კორექტულობა" არის იმის მაგალითი, რომ საზოგადოება მაინც გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს აზროვნებას. აზროვნების სრული თავისუფლება, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ გამოთქმის საშუალებები სხვადასხვაგვარია. შეიძლება, მოგვეჩვენოს, რომ ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, გარკვეული ტაბუები და შეზღუდვები უფრო მეტია. აქ სხვადასხვა რელიგიურ თუ სექსუალურ თემებზე ისე თავისუფლად ვერ ვსაუბრობთ. გარდა ამისა, არის უამრავი ისეთი სხვა თემაც, რომლის რეფლექციაც არ ხდება – არა მხოლოდ იმიტომ, რომ თვითცენზურა არსებობს - დაუინტერესებლობის გამოც.

რამდენად მოქმედებს თვითცენზურა მწერალზე - ეს იყო ჩვენი საუბრების ერთ-ერთი თემა. უბრალო მაგალითს მოვიყვან. შეიძლება, ჩვენ ვფიქრობთ, რომ "ცუდი სიტყვები" ლიტერატურიდან გასაძევებელი არ არის, მაგრამ როდესაც ჩვენს გარშემო უფროსები ან ბავშვები არიან, ვცდილობთ, ისე არ ვისაუბროთ, როგორც მეგობრებში... გერმანიაში ჭირს ებრაელთა თემაზე გულახდილი საუბარი. გერმანელის მიერ ებრაელზე ნათქვამ სიტყვას ყოველმხრივ ამოწმებენ გერმანელებიც, ებრაელებიც და მათი მეზობლებიც.

- ალბათ, ისტორიული დანაშაულის გრძნობის გამო... რამდენად აუცილებელია საქართველოში საზოგადოების ხმამაღლა განსჯის საგანი, ვთქვათ, სექსუალურ უმცირესობათა თემა გახდეს?

- არანაირი სპეციალური საჭიროება არ არის.

პოლიტიკოსებს თუ გადავხედავთ, ზოგჯერ ისე გამოიყურება საქმე, თითქოს, მათ ერთი ტრეინინგი ჩაუტარეს. ამ ბოლო დროს ხშირად გვესმოდა ტერმინი "ჰომოსექსუალური იდეოლოგია"... არ მესმის, ეს რას უნდა ნიშნავდეს და ვინმე თუ ახსნის, კარგი იქნება. ეს, შესაძლოა, იმიტომაც ხდება, რომ ეს პოლიტიკოსები გაუთვითცნობიერებელნი არიან ან პრიმიტიული პოლიტიკური პროპაგანდისთვის იყენებენ.

სექსობრივი უმცირესობის არსებობა ჩვეულებრივი ამბავია, და ამის შესახებ დიდი საუბრები საჭირო არ არის. ადამიანი თუ შენ არ გგავს, თავი არ უნდა გაუჩეჩქვო. ამ თემაზე შეიძლება საუბარი და თუ ვინმეს მოსმენა არ უნდა, ნუ მოისმენს. თუ ვინმეს ტელეგადაცემა არ მოსწონს, ტელევიზორი ან გადართოს, ან გამორთოს; თუ ვინმეს წიგნის კითხვა არ უნდა, ნუ წაიკითხავს, თუ ვინმეს არ სურს ნახოს გამოფენა, რომელიც მის ესთეტიკურ თუ მორალურ შეხედულებებს არ შეესაბამება - ნუ წავა ამ გამოფენაზე და ა.შ. ეს ბუნებრივია და ამაზე საუბარი არ უნდა გვიხდებოდეს. არ არის საჭირო, ყველამ ერთად გადავწყვიტოთ, რა უნდა გვაინტერესებდეს ყველას ერთად.

- ეროტიკა ქართულ ლიტერატურაში. ამის გამოჩენა, ალბათ, გარკვეულმა ტაბუმ, თემის შიმშილმა გამოიწვია...

- რასაკვირველია. შიმშილის მიზეზი არის ის, რომ დიდი ხნის განმავლობაში ამის შესახებ საუბარი მიღებული არ იყო. მაგრამ, დასავლეთთან პარალელის გავლებაც შეიძლება – 90-იან წლებში, საფრანგეთში ეროტიკული ლიტერატურისა და ფილმების ტალღა აგორდა. ეს საფრანგეთისთვის უცხოდ შეიძლება არც მოგვეჩვენოს, მაგრამ ნამდვილად განსხვავდებოდა წინა წლების განვითარებისგან. ეს ტალღა, შემდეგ, გერმანულ ლიტერატურაშიც გამოჩნდა. თანამედროვე ეროტიკული ტალღის ლიტერატურასა და ხელოვნებაში ავტობიოგრაფიულობას მინდა ხაზი გავუსვა. ეს თემა საგრძნობლად მასობრივი გახდა. ვფიქრობ, ეს ეკონომიკითაც არის განპირობებული - სექსი კარგად იყიდება - sex sells. მეორე მხრივ, ამ თემის ავტობიოგრაფიულობაში ეგზიბიციონიზმისკენ გარკვეულ ტენდენციას ვხედავ. თოქ-შოუებმა ამას ძალიან შეუწყვეს ხელი და ეს ნელ-ნელა საქართველოშიც შემოდის. ადამიანს საკუთარი თავის წარმოჩენის სურვილი უჩნდება, უნდა ტანსაცმელი შემოიძარცვოს, გული გადაგვიშალოს.

- მესამე საღამო. რისი გაგება გსურდათ - არსებობს თუ არ არსებობს ქართული ლიტერატურა?..

- პროვოკაციული კითხვები ზოგჯერ იმითაც არის კარგი, რომ გარკვეული მიმართულებით მიმართოს ტვინი. თავისთავად ცხადია, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურის არსებობას ეჭვქვეშ ვერავინ დაყენებს, მაგრამ - რამდენად თანამედროვეა ეს ლიტერატურა, რამდენად შეესაბამება ჩვენს გარესამყაროს, რამდენად აუცილებელია მკითხველისთვის მისი არსებობა. ხომ შეიძლება, დაკმაყოფილდეს იმ ლიტერატურითაც, რომელიც ქართულის გარდა არსებობს?1 რამდენად შეესაბამება ეს ლიტერატურა თანამედროვე მკითხველის მოთხოვნებს...

ჯერჯერობით საქართველოში ადვილად საკითხავი ლიტერატურა (როგორც რუსები იტყვიან, чтива) არსებობს. ეს ის ლიტერატურაა, რომელსაც ადამიანი ავტობუსში ან მატარებელში კითხულობს და მერე სანაგვე ყუთში გადააგდებს. ნებისმიერი დიდი ქვეყნის ლიტერატურაში ასეთი ბაზა არსებობს და სერიოზული, ღრმა ლიტერატურა, გარკვეულწილად, აქედან იღებს საკვებს. რამდენად სრულფასოვანი და სრულია ამ მხრივ თანამედროვე ქართული ლიტერატურა, რამდენად მოიცავს ყველა ასპექტს?..

- საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, ბატონ აკაკი ბაქრაძეს, ტელევიზიით გამოსვლისას, ჟურნალისტმა, დაახლოებით, ასეთი შეკითხვა დაუსვა - "აი, უკვე დამოუკიდებლები ვართ. ორშაბათიდან კარგად ვიცხოვრებთ?"

- მახსოვს...

- ბატონმა აკაკიმ უპასუხა - 25 წლის მერე, შეიძლება, რაღაც სიკეთე დაგვეტყოსო... პათეტიკაში ნუ ჩამომართმევთ, გრძელდება ეს ტენდენცია?

- თავისთავად ცხადია, გრძელდება. მახსოვს, ამ გამოსვლით მაშინ ყველა აღშფოთდა, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვების მეორე დღიდანვე მოელოდა კარგად ცხოვრებას. როცა მამაჩემმა 25 წელი თქვა, მას შემდეგ 10 წელი გავიდა და პირი არ უჩანს უკეთესობისკენ სვლას. ალბათ, სულ ცოტა, 15 წელი კიდევ გვჭირდება... მაშინ ყველანი მოველოდით, რომ დღეს უფრო შორს ვიქნებოდით. ხშირად უნდა გავიხსენოთ ხოლმე, რა გვინდოდა 10 წლის წინ და რა გვაქვს დღეს...

სამწუხაროდ, საქართველოში (ამას მამაც დარდობდა) ადამიანებს სიმართლეს მათთვის სასიამოვნო ტყუილი ურჩევნიათ. სანამ ასეთი ვითარება იქნება, დღევანდელი მდგომარეობიდან ვერ გამოვალთ.

ლაშა ბაქრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტოები

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲘ

1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?

2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.

3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲖᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ

ᲒᲐᲒᲐ ᲜᲐᲮᲣᲪᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲞᲝᲔᲢᲘ

1. ჩემი აზრით, კულტურა და მისი აქტივობა პოლიტიკაზე და ეკონომიკაზე არ არის დამოკიდებული. მაგალითისთვის, მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც პოლიტიკური კრიზისი და ეკონომიკური დეპრესია იყო, კულტურა მაშინ ყვაოდა. დღეს ვითარება გაცილებით მოწესრიგებულია, საზოგადოება ეკონომიკურადაც შედარებით უფრო დალხენილად ცხოვრობს, პოლიტიკური კრიზისიც აშკარად ნაკლებია, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ორი მსოფლიო ომი იყო, მაგრამ კულტურა დღეს გაცილებით დაბალ დონეზეა. იმისათვის, რომ სახელმწიფომ და საზოგადოებამ კულტურა გააქტიუროს, პირველ ყოვლისა, მათ ამის მოთხოვნილება უნდა ჰქონდეთ. მაგალითად, რენესანსის პერიოდი - სამთავროებად დაყოფილი, მაგრამ ეკონომიკურად საკმაოდ მძლავრი იტალია. ამას თვითონ საზოგადოება ითხოვდა, მათი მხრიდან კულტურის მოთხოვნილება არსებობდა - სხვა ცხოვრების წესი და რიტმი. თუმცა, კულტურის სახელმწიფოზე მიბმაც საშიშია, ვინაიდან ეს ხშირ შემთხვევაში სავალალო შედეგებს იძლევა. მართალია, კულტურას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ, მაგრამ მისგან მაინც დამოუკიდებელი უნდა იყოს. რაც შეეხება საზოგადოებას, აუცილებელი არ არის, იგი დალხენილი იყოს, რომ კულტურის მოთხოვნილება ჰქონდეს. შეიძლება ძალიანაც უჭირდეს, მაგრამ სურდეს სულიერი საზრდო. როცა უკვე რაღაც გინდა, ის თავისთავად მოვა და აღორძინდება. ასე რომ, კულტურა მხოლოდ მატერიალურ და პოლიტიკურ ფაქტორზე არ არის დამოკიდებული.

2. დრო უნდა გავიდეს იმისათვის, რომ ახალმა საუკუნემ საკუთარი სახე, ხელწერა შეიძინოს. ჩემი აზრით, ცვლილებებზე საუბარი ნაადრევია. ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენის გამოყოფაც მიჭირს. ალბათ, აქაც დროა საჭირო, რომ უკეთ დავინახოთ, უკეთ შევაფასოთ. შედარებით გამოცოცხლდა ლიტერატურული ცხოვრება. მომრავლდა გამომცემლობები, წიგნის მაღაზიები.

3. ამჟამად ფილოსოფოსების ქმნილებებს ვკითხულობ. რა თქმა უნდა, ყოველთვის ვეცნობი თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებსაც. ძირითადად, კლასიკურ მუსიკას ვუსმენ. ოთარ ეგაძის სპექტაკლი "ძია ვანია" ვნახე. ჩემზე სპექტაკლმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე, რომ დიტო ცინცაძის ახალი ფილმი მენახა. ძლიერ გამახარა მისმა წარმატებამ.

"ᲕᲔᲠᲘᲙᲝ" ᲙᲘᲔᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ

თეატრი "ვერიკო", რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი ამჟამად ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი გახლავთ, ოქტომბრის თვეში საგასტროლოდ კიევსა და მოსკოვში იმყოფებოდა. მოსკოვის გასტროლები ქართული კულტურის დღეებს დაემთხვა.

ქალბატონი სოფიკოს ჟურნალისტებთან შეხვედრა სწორედ ამ გასტროლებს და თეატრის სამომავლო გეგმებს შეეხებოდა.

სპექტაკლები, რომლითაც თეატრი კიეველი და მოსკოველი მაყურებლის წინაშე წარდგა, გახლავთ მარკესის "სიყვარულის სულთათანა" (სოფიკო ჭიაურელის მონაწილეობით); შექსპირის "დროთა კავშირი დაირღვა" (მურმან ჯინორია); მარიო სანტანელის "დედა დედოფალი" (სოფიკო ჭიაურელი და მურმან ჯინორია) და პატრიკ ზიუსკინდის "კონტრაბასი" (გია გოგიშვილი).

ჟურნალისტებთან შეხვედრას, გარდა სოფიკო ჭიაურელისა, თეატრი "ვერიკოს" დირექტორი სოსო ბაკურაძე, მსახიობები - მურმან ჯინორია და გია გოგიშვილი, რეჟისორები - ნინო ახვლედიანი, თენგიზ კოშკაძე და სალიტერატურო ნაწილის გამგე მანანა გეგეჭკორი ესწრებოდნენ.

კიევში თეატრმა "ვერიკომ" სრულიად ახალაშენებულ და გარემონტებულ თეატრში – "СУЗИР` Я" (რომელიც ქართულად თანავარსკვლავედს ნიშნავს), თავისი სპექტაკლები, ზედიზედ, ხუთი საღამოს მანძილზე წარადგინა და ამით კიევის თეატრის პირველი სეზონიც გახსნა. აღსანიშნავია, რომ კიევშიც და მოსკოვშიც ქალბატონი სოფიკო თავის სპექტაკლებს რუსულ ენაზე თამაშობდა. ამასთან დაკავშირებით, სალიტერატურო ნაწილის გამგემ მანანა გეგეჭკორმა ერთი საინტერესო ისტორია გვიამბო. ჯერ კიდევ თბილისში საგასტროლო მზადებისას ქალბატონი სოფიკო, საკერავი მანქანის ტრიალის ფონზე, სპექტაკლის რუსულ ტექსტს იმეორებდა. საკერავი მანქანა კიევშიც წაუღიათ, მაგრამ მანქანის ფეხის პედალი თბილისში დარჩენიათ, რომელიც მოსკოვში გასტროლებზე დააწიეს. ამ ისტორიამ დამსწრე საზოგადოების დიდი მხიარულება გამოიწვია.

გარდა ამისა, კიევშივე მოეწყო, როგორც ბატონი კოტე საკუთარ თავზე ამბობდა, ორი ბატონის მსახურის (სპორტისა და ხელოვნების) საღამო. კიევშივე ქალბატონ სოფიკოს კოტე მახარაძის დიდი ხნის მეგობარმა სპორტსმენმა, პატივისცემის ნიშნად, ახალი მანქანის შესაძენი თანხა აჩუქა. ქალბატონმა სოფიკომ მანქანა თბილისში ჩამოსვლისთანავე შეიძინა. თურმე, თბილისში ჭორები დადის, - სოფიკო ჭიაურელმა გასტროლებზე იმდენი ფული იშოვნა, მანქანა უყიდიაო... არადა, თეატრი გასტროლებზე საერთოდ ვერც გაემგზავრებოდა, კიევში მაცხოვრებელ ერთ-ერთ ქართველ ბიზნესმენს თანხა რომ არ გაეღო.

მოსკოვური გასტროლები სამხატვრო თეატრში მიმდინარეობდა, ბოლოს კი ერთი სპექტაკლი მოსკოვის ქართული დიასპორისთვის საქართველოს საელჩოშიც ითამაშეს. გია დანელიას, რომელიც სპექტაკლს ესწრებოდა, ქალბატონი სოფიკოსთვის ხოტბა შეუსხამს და უთქვამს, – მთელი ცხოვრების მანძილზე სულ ორჯერ დამიარა ჟრუანტელმა - ერთხელ ვან გოგის "მზესუმზირების" და მეორედ ახლა, შენი სპექტაკლის ხილვისასო...

თეატრ "ვერიკოს" შენობის რეკონსტრუქცია მალე დამთავრდება და ის გაფართოვდება. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, რეჟისორი გიორგი სიხარულიძე დგამს ქართველი დრამატურგის ოთარ პირტახიას პიესას - "ლიფტში," გია როინიშვილის მონაწილეობით. მომავალ წელს ვერიკო ანჯაფარიძის და მიხეილ ჭიაურელის ხსოვნის საპატივცემულოდ ქალბატონი სოფიკო საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მოწყობას აპირებს.

ᲨᲘᲜ ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲙᲐᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ

ᲘᲑᲔᲠᲝ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ "ᲐᲭᲐᲠᲐ ᲛᲘᲣᲖᲘᲙ ᲰᲝᲚᲨᲘ"

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

"ეს კონცერტი ერთგვარი მოწოდება იქნება ადგილობრივი მუსიკოსებისთვის; ჩვენ ახლა ვიწყებთ, ამიტომაც ეს არ იქნება პირველი და უკანასკნელი. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, როგორ მიიღებს ქართველი მსმენელი ამ ექსპერიმენტს", - ზაზა მიმინოშვილის რამდენიმე დღის წინათ ჩვენთვის ნათქვამი ეს სიტყვები წუხანდელი კონცერტის შემდეგ კიდევ უფრო ოპტიმისტურად უნდა მივიღოთ. ექსპერიმენტი, რომელიც ქართველ მსმენელს "შინ" და "გეორგიკამ" მოუმზადეს, "აჭარა მიუზიკ ჰოლის" აუდიტორიისთვის მეტად ამაღელვებელი გამოდგა.

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

"შინ", "გეორგიკა" და ლელა

ჯგუფმა "შინ" და "გეორგიკამ" ეს პროექტი, რომელსაც მუსიკოსებმა იბერო-კავკასიური სტილი დაარქვეს, შარშან შტუტგარტის ერთ-ერთ კლუბში საკმაოდ მოკრძალებულად წარადგინეს. მაგრამ, ეს დასაწყისიც არ იყო. მაშინ, უბრალოდ, ექპერიმენტის ავტორებმა საკუთარი შესაძლებლობები მოსინჯეს. პროექტის დასაწყისად, ალბათ, გუშინდელი კონცერტი უნდა ვიგულისხმოთ. მისი ავტორებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო სიახლის მიმართ სწორედ ქართველი მსმენელის დამოკიდებულება. ახლა კი, როდესაც კონცერტმა ჩაიარა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღარაფერი დარჩა, პროექტის განახლებისა და გამდიდრების გარდა. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, იბერო-კავკასიური სტილის პროექტი გაისად გერმანიაში აიღებს სტარტს. მაგრამ, ევროპული გეგმები, გარკვეულწილად, გუშინდელი საღამოს შედეგებზე იყო დამოკიდებული.

ამ კონცერტს ბევრი ელოდა. ჯერ კიდევ სექტემბერში, როდესაც "აჭარა მიუზიკ ჰოლი" მორიგ სეზონს ხსნიდა, პრომოუტერებმა კლუბის გეგმებზე საუბრისას აღნიშნეს, რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა ექსპერიმენტი, რომელსაც, სამწუხაროდ, ქართული აუდიტორიისთვის ნაკლებად ცნობილი (სამაგიეროდ, ევროპელი მსმენელისთვის საყვარელი) "შინ" და "გეორგიკა" ამზადებდნენ. "ამ პროექტით გვინდა, მოვსინჯოთ ნიადაგი, რამდენად მიიღებს მსმენელი და მზად იქნება მუსიკალური ექსპერიმენტებისთვის", - თქვა მაშინ სერგი გვარჯალაძემ. კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოსულმა "შინის" მუსიკოსებმა პირდაპირ თქვეს კონცერტის შესახებ: "ეს გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე გვეგონა". ერთი სიტყვით, იბერო-კავკასიური სტილის პრეზენტაციას შინ ყველა ცნობისმოყვარეობით ელოდა.

ფინალური ტრიუმფი

აღარ მახსოვს, გუშინ ვიღაცამ მითხრა კლუბში, - არ არის ბევრი ხალხიო. ვერ გავიზიარე მისი წუხილი. პირიქით, ამდენსაც არ ველოდი. მით უმეტეს, როგორც ვიცოდი, უმრავლესობა ნაყიდი ბილეთებით იყო მოსული. ბილეთები კი იაფი არ ღირდა (ის სხვა საკითხია, მსგავს კონცერტებს რა ფასი აქვს, ზოგადად). თბილისის მეგა-კლუბი კი სავსე იყო "შინის", "გეორგიკასა" და, საერთოდ, იბერო-კავკასიური მუსიკის გულშემატკივრებით.

"კონცერტის მიზანია, ვაჩვენოთ, რა მუხტი დევს ქართულ მუსიკაში; წარმოვადგინოთ ქართული პოლიფონია; გვინდა, მსმენელი დავარწმუნოთ ხალხური საკრავების ვირტუოზულობაში", - გუშინდელ კონცერტზე როგორც "შინის", ასევე, "გეორგიკას" მომღერალ-ინსტრუმენტალისტებმა ეს ყველაფერი ძალიან ბუნებრივად შეძლეს. ერთია, როდესაც ეგზოტიკურ-იბერიული რიტმებით მოხიბლავ ევროპელ მსმენელს და მეორე, გაცილებით რთული - მოაწონო ეს ყველაფერი ქართველ მსმენელს, რომელმაც ზედმიწევნით იცის ქართული ცეკვისა თუ სიმღერის ფასი; რომელსაც, უხეშად რომ ვთქვათ, აქ მაინც ვერ მოატყუებ. ჯგუფი "შინ" თავიდანვე გვპირდებოდა, რომ კონცერტი გააღიზიანებდა გარკვეული კატეგორიის მსმენელს: მათ, ვინც მოწოდებით ამერიკული ჯაზის გულშემატკივარია და მათაც, ვისაც სტკივა ხალხური განძის გათანამედროვება. თუ რამდენად მტკივნეულად განიცდის ქართველი მსმენელი ხალხური ცეკვისა და სიმღერის მოდერნიზაციას, ეს კარგად გამოჩნდა "სუხიშვილების" ახალი პროექტების მაგალითზეც. ამიტომ არ იქნება გასაკვირი, თუკი "შინისა" და "გეორგიკას" ექპსერიმენტსაც გამოუჩნდებიან წუნმდებელნი, იმის მიუხედავად, რომ პროექტი საკმაოდ დახვწილი გამოვიდა.

განსაკუთრებით ეფექტური იყო კონცერტის დასაწყისი, როდესაც სცენაზე მყოფ მუსიკოსებს "მრვალაჟამიერით" სცენის მიღმა მყოფი "გეორგიკას" წევრები წამოეშველნენ. ძნელია, სათითაოდ აღნიშნო ან ჩამოთვალო ის, რამაც "მიუზიკ ჰოლის" აუდიტორია გუშინ ორი საათის განმავლობაში მეტად ამაღლებულ განწყობაზე ამყოფა. წარმოდგენილ რეპერტუართან ერთად ეს, გარკვეულწილად, იმ იუმორის დამსახურებაც იყო, სხვადასხვა კომპოზიციის წარდგენისას ზაზა მიმინოშვილის გამოსვლებს რომ ახლდა - იქნებოდა ეს "დაგვიანებული რაჭული", "პროტოკოლი N18" თუ "ჰარი ვარე მისტერ იმანო" (სიმღერის სახელწოდების შთაგონების წყარო გახდა ინგლისურად "ძნელად მოსაუბრე" ქართველის მცდელობა, მისალმებოდა ინგლისელ ძიას); შთამბეჭდავი იყო კომპოზიცია მიტოვებულ სოფლებზე; ასევე, მოწვეულ მომღერალ ლელასთან (სამწუხაროდ, მისი ვინაობა მეტად არ დაკონკრეტებულა) ერთად შესრულებული ნომერი. მსმენელის განსაკუთრებულ ოვაციებს იმსახურებდა ინდოელი ტაბლისტი შანკარ ლალი, რომლის შესრულებული მშობლიური თემები ასე მოუხდა იბერო-კავკასიურ სტილს.

ექსპერიმენტის წარმატების მიუხედავად, კონცერტს უახლოეს მომავალში საქართველოში არ უნდა ველოდოთ. "შინ" კვლავ გერმანიაში ბრუნდება – მუსიკოსებს იქ ჩვეულებრივი სამუშაო რეჟიმი ელოდებათ; დეკემბერში თაყვანისმცემლებისთვის ტრადიციული საშობაო კონცერტი უნდა გამართონ, გაზაფხულზე კი პირველი სრულფასოვანი კომპაქტ-დისკი გამოუშვან; სხვათა შორის, ასევე, გერმანიაში აქვს დაგეგმილი კონცერტები "გეორგიკასაც". ჩვენ კი ველით გაგრძელებას თბილისში.

ᲬᲘ�გᲜᲘ - ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ

ᲚᲐᲜᲐ ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ "ᲠᲐᲪ ᲛᲐ�გᲝᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲐᲗᲝᲜᲓᲔᲑᲐ"

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ

ფილმების – "როცა აყვავდა ნუში", "რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", "ვალსი პეჩორაზე" რეჟისორის, მთარგმნელის, ფერწერული ტილოების შემქმნელის, თავის დროზე სათხილამურო სპორტში საქართველოს ორგზის ჩემპიონის და ამჟამად ევროსაბჭოში საქართველოს ელჩის, ქალბატონ ლანა ღოღობერიძის ავტობიოგრაფიული წიგნის – "რაც მაგონდება და როგორც მაგონდება", პრეზენტაცია წიგნის სახლში გუშინ მოეწყო.

შეაღებთ თუ არა წიგნის სახლის კარს, წიგნებით სავსე მაგიდების, კომპიუტერებისა და ბიბლიოთეკის გარდა, სასიამოვნო ატმოსფეროს, კარგ განწყობას, ძალდაუტანებელ ღიმილს და კეთილმოსურნე სახეებს წააწყდებით.

გუშინაც ამგვარი განწყობა სუფევდა წიგნის სახლში. ლანა ღოღობერიძის მეგობრების და ახლობლების წრეში უდავოდ გულწრფელი საღამოს მომსწრენი გავხდით, რომელიც, "ქალთა კლუბის" და ნინო ჟვანიას თაოსნობით, ქალბატონი ლანას ავტობიოგრაფიული წიგნისადმი იყო მიძღვნილი.

"მე გზასა ვგავარ, რომელიც ღამით ყურს უგდებს თავის მოგონებათა სათუთ ფეხის ხმას"... რაბინდრანათ თაგორის ეს სიტყვები წიგნის წანამძღვარია და ერთგვარი კრედოც. ლანა ღოღობერიძე ლიტერატურაში საკმაოდ რთულ, ეპისტოლარულ ჟანრს სთავაზობს მკითხველს.

"სიცოცხლე არ არის ის, რაც იცხოვრე, არამედ ის, რაც გახსენდება და როგორც გახსენდება, - ამბობს გაბრიელ გარსია მარკესი. და მეც გადავწყვიტე გავანდო ფურცელს ის, რაც მაგონდება და როგორც მაგონდება," – წერს ქალბატონი ლანა და თანმიმდევრობით, თავების მიხედვით გვიყვება საკუთარი თავის და იმ ეპოქის ისტორიას, რომელიც ბარნოვის ქუჩის 26 ნომრიდან იწყება, რაჟდენ ბიძიას – ბავშვობის კერპს, ტერორის პასუხად ქართულ მხიარულებას, მეორე მსოფლიო ომს, პიონერთა სასახლეს, პირად ჩეკისტს, მოგონებებს დედაზე და მამაზე, დედის მოთხრობებს, პირველ სიყვარულს, ფილმებს, უნივერსიტეტს, სტალინის სიკვდილს, პარიზს, იტალიას, შეხვედრებს ფელინისთან და ანტონიონისთან, სხვა მნიშვნელოვან ამბებს გაივლის და სტრასბურგამდე მიდის.

ᲘᲣᲠᲘ ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

ლანა ღოღობერიძე

ოთარ მეღვინეთუხუცესი და ლანა ღოღობერიძე

საღამოზე, რომლის წამყვანის როლი ქეთი დოლიძემ იკისრა, ქალბატონი ლანას და მისი წიგნის მიმართ, მართლაც, ბევრი თბილი სიტყვა ითქვა და სასიამოვნო მოგონებები გაჟღერდა. ოთარ მეღვინეთუხუცესი, თამაზ ჩხენკელი, წიგნის რედაქტორი ლელა სულხანიშვილი, დალი ფანჯიკიძე და სხვანი, მდიდარი ლექსიკის (რაც, სამწუხაროდ, საკმაოდ იშვიათია) თუ სხვა ღირსებების გარდა, წიგნის შესახებ იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ის მოქალაქეობრივი სიმამაცის გამომხატველიცაა. ბევრი, ალბათ, ამას ვერც შეძლებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს დროში, თითქოს, უკვე ყველაფრის თქმა შეიძლება.

შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონმა ლანამ ყველა ამბავს თუ წიგნის პერსონაჟს საკუთარი ადგილი მიუჩინა, ყოველგვარი გაღიზიანების, ბრაზის ან, თუ გნებავთ, სამაგიეროს გადახდის გარეშე - უბრალოდ, მან თქვა ის, რაც დაგროვდა ამ ხნის მანძილზე – კარგიც და ცუდიც, რისი უთქმელობაც აღარ შეიძლებოდა და ნიაღვარივით ამოხეთქა.

ზურაბ ჟვანიამ, რომელიც პრეზენტაციაზე მოწვეული სტუმრის როლში გახლდათ, ერთი სახუმარო ამბავი გვიამბო ქალბატონ ლანაზე, რომელიც, მისი მეგობრების თქმით, უდავოდ მიესადაგება ლანა ღოღობერიძის ხასიათს. ერთ-ერთ ჟურნალისტს, რომელიც ლანა ღოღობერიძეს ინტერვიუს ართმევდა, ამგვარი ფრაზა უთქვამს, – ქალბატონო ლანა, თქვენ რეჟისორი ბრძანდებით, მთარგმნელი, მხატვარი, ჩოგბურთელი, დიპლომატი... თხილამურები რატომ გამოგრჩათ? – შეუწყვეტინებია ფრაზა ჟურნალისტისთვის გაკვირვებულ ქალბატონ ლანას. მართლაც, გასაოცარია ქალბატონი ლანას მრავალმხრივობა და მისი მიღწევები ხელოვნებასა თუ კარიერაში.

საღამო კი, რომელიც მოგონებებს, ლანა ღოღობერიძის ახალგაზრდობის ხანას, სიყვარულსა და მეგობრობას მიეძღვნა, სასიამოვნო და სევდანარევიც გახლდათ. სევდანარევი, რომელიც ლანა ღოღობერიძის სიტყვებით რომ ვთქვათ – "ექვსი წლის ასაკიდან სიტყვები: მოხსნა, დაჭერა, დაპატიმრება ისევე ჩვეულებრივად ჟღერდა, როგორც ნორმალური ქვეყნის ბავშვებისთვის – თამაში, ჭამა, დაძინება. ეს სიტყვები ორმოში ჩავარდნასთან ასოცირდებოდა". გარდა ამისა, ასოცირდებოდა პირველ სიყვარულთან, დედასთან და მამასთან, რომლის სიკვდილმა ყველაზე მძიმე დარტყმა მიაყენა ქალბატონ ლანას ადრეულ ბავშვობაში.

და ბოლოს, წიგნისადმი – "რაც მაგონდება და როგორც მაგონდება" (წიგნი გამოსაცემად მომზადდა ფირმა "ბენეფისში", გამომცემელია სარეკლამო საგამომცემლო კომპანია – GAT) მიძღვნილ წერილს, ლანა ღოღობერიძის მკითხველისადმი დამშვიდობებით დავასრულებ: "ბალახის ფოთლები ამოდიან, ამოდიან და ეფინებიან სამყაროს, სტრასბურგიდან თბილისამდე და კიდევ უფრო შორს, პლანეტის ყველა კუნჭულში, ყველგან, სადაც, ღვთიური განჩინების თანახმად, დედამიწას მზე სწორად მოეფინების".

საქართველო კონტრასტების ქვეყანაა

იტალიელი ფოტოგრაფის ქართული შთაბეჭდილებები

თამარ სუხიშვილი

ფოტო შავ-თეთრია. უკანა პლანზე მოჩანს ალავერდის ტაძარი. წინა პლანზე - გზისპირზე ვიღაცებს მანქანა გაუჩერებიათ, იქვე სახელდახელო სუფრაა გაშლილი, ზოგი სუფრას მისჯდომია, ზოგს ზურგი შეუქცევია სუფრისთვისაც და ტაძრისთვისაც და იყურება შორს... სივრცეში. ეს ალავერდის ცნობილი ფოტოა, რომელიც ცნობილმა ფრანგმა ფოტოგრაფმა ანრი კარტიე ბრესონმა გადაიღო 1972 წელს...

კარტიე ბრესონის ალავერდი

"შემთხვევით არაფერი ხდება," - ამბობს ჩვენი სტუმარი, იტალიელი ფოტოგრაფი ფაბიო პონციო. 2003 წელს ფაბიო პონციო პირველად ჩამოვიდა საქართველოში; ორკვირიანი მოგზაურობის დროს ალავერდიც მოინახულა და სწორედ ალავერდში.... **"ალავერდში ერთ ოჯახში გავჩერდით. ბევრ სხვა ისტორიასთან ერთად ჩვენმა მასპინძლებმა ისე, სხვათა შორის, გვიამბეს, თუ როგორ გაათია ღამე მათ სახლში ვიღაც ფრანგმა ფოტოგრაფმა ასე ოცდაათიოდე წლის წინ. და იცით, ვინ იყო ეს ვიღაც ფრანგი ფოტოგრაფი? კარტიე ბრესონი. დაუჯერებელია, არა? მეც იმ საწოლში მომათავსეს, სადაც ბრესონს ეძინა. შევყურებდი ალავერდს და თვალწინ დამიდგა ბრესონის ფოტო. იცით, რას მივხვდი? იმ დროიდან დღემდე ბევრი რამ შეიცვალა. ის, რაც მაშინ ბრესონმა დაინახა, ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მე ვხედავდი..."**

ფაბიო პონციომ ფოტოგრაფობა 1977 წლიდან დაიწყო და თავიდანვე მთელი არსებით ჩაება თავის საქმეში. **"კარგი ფოტოს გადაღება რომ შეძლო, სამი რამ არის მთავარი,** - გვიხსნის იტალიელი ფოტოგრაფი, - **საქმის დიდი სიყვარული, ცნობისმოყვარეობა და ნიჭი. ზოგჯერ ისე ხდება, რომ წელიწადში მხოლოდ ერთ კარგ სურათს იღებ. კარგი ფოტოს გადაღება ძალიან ძნელია. სხვათა შორის, ფოტორეპორტიორს ჯანმრთელობაც ხელს უნდა უწყობდეს - სულ გადარბენაზე ხარ, ცდილობ, არავინ დაგასწროს დანიშნულების ადგილზე მისვლა. ფოტოხელოვანი თავის ნაჭუჭში არ უნდა ჩაიკეტოს, გარეთ უნდა გავიდეს და ნახოს, რა ხდება."**

იტალიის ცხოვრებაში, თითქმის, არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა, ფაბიოს ფირზე რომ არ აღებეჭდოს.

"ვცდილობდი, იტალიის ცხოვრების შუაგულში ვყოფილიყავი, არაფერი გამომრჩენოდა, განსაკუთრებით, დაძაბული მუშაობა 80-იან წლებში მომიწია - მძიმე პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნისთვის, ტერორიზმი მძვინვარებდა."

ამ წლებში დაიწყო ფაბიო პონციოს 15-წლიანი ვოიაჟი უცხოეთში. იტალიელმა ფოტოგრაფმა 1987 წელს აღმოსავლეთ ევროპას მიაშურა. ყველა ქვეყანა მოიარა: რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია... მისი მოგზაურობის მიზანი მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტების დაფიქსირება იყო. ამ მოგზაურობიდან ყველაზე მძაფრად გარდატეხის პერიოდის კადრები ჩაებეჭდა მეხსიერებაში - როგორ იცვლებოდა თანდათანობით საბჭოური რეჟიმი დემოკრატიული რეჟიმით.

"მე მქონდა შანსი, მენახა ის ქვეყნები და ის ადგილები, რომლებიც სრულიად უცნობი ან, თითქმის, უცნობი იყო ევროპისათვის. როცა კოსოვოში ჩავედი, ეს იყო 1988 წელს, იტალიაში არც კი იცოდნენ კოსოვოს არსებობის შესახებ. მოვიხილე ძველი ალბანური სოფლები, ასეთი სოფლები დღეს უკვე იშვიათობად ქცეულა. ერთ სოფელში ქალების ჩაცმულობამ გამაოცა - მაიას ტომის მცხოვრებლებს ჰგავდნენ," - დიდი ენთუზიაზმით გვიყვება ფაბიო პონციო. ალბანეთის რომელიღაც მთიან სოფელში მასპინძლებს უთქვამთ: ბოლოს აქ 1943 წელს იყვნენ ბრძოლის ველიდან გაქცეული იტალიელი ჯარისკაცებიო...

აღმოსავლეთევროპული მოგზაურობა იტალიელი ფოტოგრაფისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მას მარტო პოლიტიკა არ აინტერესებდა: **"მოგზაურობის დროს მომეცა შესაძლებლობა, გავცნობოდი სხვადასხვა ხალხების ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს. სამწუხაროდ, ეს უძველესი ტრადიციები მხოლოდ კანტიკუნტადაა შემორჩენილი და, ალბათ, ერთ ორმოცდაათიოდე წელიწადში გაქრება კიდეც. მაგრამ, ეს ტრადიციები არ უნდა დავივიწყოთ, უნდა დავაფიქსიროთ, ის მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი არსებობდნენ..."**

და ფაბიო პონციოც ძალ-ღონეს არ იშურებდა, აჭერდა და აჭერდა თითს ფოტოაპარატის ღილაკს...

აღმოსავლეთ ევროპიდან ჩვენამდე არცთუ შორია. და აი, ერთხელაც მოგზაურობის დიდი ტრფიალი ფოტოგრაფი საქართველოსაც ეწვია. ჩვენს ქვეყანაში ის თავის თანამემამულესთან, იტალიელ მწერალ როკო კარბონესთან ერთად ჩამოვიდა (როკო კარბონეს შესახებ უკვე გიამბეთ "24 საათის" ფურცლებზე) და ქართველ მწერალთან დათო ტურაშვილთან სტუმრობდა. საქართველოში ჩამოსვლამდე ფაბიო პონციომ, თითქმის, არაფერი იცოდა ჩვენი ქვეყნის შესახებ (**"სამწუხაროდ, ევროპაში ძალიან ცოტა რამ იციან საქართველოზე. აქ ჩამოსვლამდე საქართველო ჩემთვის მხოლოდ ის ქვეყანა იყო, სადაც კარგ ღვინოს ამზადებენ..."**).

საქართველოში მოგზაურობით გულწრფელად აღფრთოვანებულმა ემოციურმა იტალიელმა სტუმარმა თავისი შთაბეჭდილებები წასვლის წინ გაგვიზიარა: **"ერთი შეხედვისთანავე იგრძნობა, რომ საქართველოში უამრავი პრობლემა გაქვთ, მაგრამ, ამავე დროს ამ ქვეყანაში ზღვა ენერგიაა. ენერგიის მოზღვავება, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში იგრძნობა. ახალგაზრდებს სურთ, რაღაც ღირებული შექმნან, რაღაც გააკეთონ თავიანთი ქვეყნისთვის. ახალ თაობას სურს თანამედროვე სახელმწიფოში ცხოვრება... აღტაცებული დავრჩი თქვენი სტუმართმოყვარეობით, მეგობრობით და ულამაზესი მთებით. თქვენს ქვეყანაში სრულიად განსხვავებული და უჩვეულო აურაა (პრობლემების მოგვარების თქვენეული გზაც კი განსხვავებულია). აქ ყველაფერი გამძაფრებულია - აღქმა, განცდა, გრძნობები... როცა თქვენ მეგობრები ხართ, თქვენ ნამდვილი მეგობრები ხართ (სამწუხაროდ, ძლიერი გრძნობა ძლიერი გრძნობაა და აქ მტრობაც ძლიერი იციან); როცა სვამთ, მართლა მაგრად სვამთ; როცა საჭესთან სხედხართ, თქვენ მანქანასაც გიჟივით ატარებთ. შუალედი თქვენთვის არ არსებობს. თუ სიცოცხლე გიყვართ, ამ სიყვარულს ბოლომდე გამოხატავთ, ხოლო როცა რაიმე გაწუხებთ, ამას მთელი არსებით განიცდით... საქართველო კონტრასტების ქვეყანაა. დიდხანს უნდა იცხოვრო აქ, რომ გაიგო ამ ქვეყნის ხიბლი."** თუმცა, - დასძენს ფაბიო პონციო, - ზოგჯერ პირიქითაა. აქ ერთ დღეში შეიძლება ისეთი რაღაც გაიგო, რისთვისაც სხვაგან მთელი წელი დაგჭირდება. და იტალიელი ფოტოგრაფი იგონებს, როგორ ავიდნენ მარიამობა დღეს ყაზბეგში მთის მწვერვალზე; ჯერ მზე არ ამოწვერილიყო. მეცხვარეებთან ერთად ისხდნენ და არყით სადღეგრძელოებს ამბობდნენ. მეცხვარემ ჭიქა აიღო და ფარა დალოცა: **"უეცრად ემოციურად ძალიან დავიძაბე. იქ ზემოთ, მთის მწვერვალზე ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ადამიანებს ერთი გრძნობა, ერთი განცდა გვაერთიანებდა. ჩემს საქმეშიც ეს მიყვარს, როცა სწორედ იმ ადგილას ამოყოფ თავს, საითკენაც მიისწრაფი, როცა გრძნობ იმას, რასაც გინდა, რომ გრძნობდე..."**

იტალიელ ხელოვანს ბევრი ასეთი ლამაზი განცდა გაჰყვა ჩვენი ქვეყნიდან. ფაბიო პონციოს ის ამბავიც bellissimo-დ დაამახსოვრდა, როცა ერთ სუფრასთან გაიჭიმა: ქართველები იტალიელებზე მაგრები არიან, მაგრამ როცა იტალიელს წაალეზებ, ის ქართველზე უფრო მაგარიაო და ამ სიტყვებით უზარმაზარი ყანწი გამოცალა. ცხადია, მეორე დღეს ფეხზე ვეღარ ადგა.

"მოგზაურობის ხიბლი დაბრუნებაშია," - წერდა ჩრდილო პოლუსის მკვლევარი ფრიტიოფ ნანსენი. შინ დაბრუნების წინ ჩვენმა სტუმარმა ცნობილი მკვლევარისა და მოგზაურის ამ სიტყვებზე ასეთი კომენტარი გააკეთა: **"ჩემი აზრით, მოგზაურობის ყველაზე დიდი აზრი შეცნობაა. მოგზაურობა გამოცდილების შეძენას ნიშნავს. და კიდევ, ის უფრო გულწრფელს ხდის ადამიანს - გულწრფელს ეთიკური თვალსაზრისით. შინ დაბრუნება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, იქ ხომ გელოდებიან შენი მეგობრები, ოჯახი... მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ სადაც ჩახვალ, იქ იგრძნო თავი ისე, როგორც საკუთარ სახლში. ხომ ამდენს ვმოგზაურობ და ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ ტურისტი. აი, ესაა ჩემთვის მოგზაურობა - თავი ისე ვიგრძნო, როგორც საკუთარ სახლში. საქართველოშიც ასე იყო."**

სასახლეში მობრძყვიალე ვარსკვლავები

ფოტოგრაფ ჰელმუტ ნიუტონის გამოფენის გახსნით სამშაბათ საღამოს ბერლინის სასახლე ბელვიუში ყოველწლიური მოდების გალა-ჩვენება დაიწყო. სასახლის პირველი სართულის დარბაზებში სტუმრებს გამოფენა თავად დიდოსტატმა დაათვალიერებინა.

ქვეყნის პირველი ლედის ქრისტინა რაუს მიწვევით, რვა ახალგაზრდა დიზაინერის ნამუშევრები ისეთმა ტოპ-მოდელებმა წარადგინეს, როგორებიც ევა პადბერგი, ნადია აუერმანი და ჰაიდი კლუმი არიან. ეს უკანასკნელი წვეულებაზე თავის მეგობართან, „ფორმულა-1“-ის მაგნატ ფლავიო ბრიატორესთან ერთად გამოცხადდა და ფოტოგრაფების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

საღამოს წყალობით, ორმა სოციალურმა ჯგუფმა „იხეირა“: გაჭირვებულმა ბავშვებმა – მათ თანხა გადაერიცხათ; და უცნობმა ახალგაზრდა დიზაინერებმა, რომელთაც ბრწყინვალე საზოგადოებისთვის თავისი ნახელავის ჩვენების საშუალება მიეცათ. თავად მოდელები და სტუმრებიც საუკეთესოდ გაერთნენ.

ფედერალური პრეზიდენტის მეუღლეს ქრისტინას მოდელიორ ტონი გარდის წითელი კაბა ეცვა. პრეზიდენტის ასულ ანას, როგორც ჩანს, შარშანდელი ღონისძიება ძალიან ტკბილ მოგონებად ჰქონდა ჩარჩენილი, რადგან ის პოდიუმზე წელსაც სიხარულით გამოვიდა.

იოჰანეს რაუმ ბრძანა, რომ მისი მეუღლის მიერ გამართული ყოველწლიური საშემოდგომო მეჯლისების მიზანია „იმ პროექტების მიმართ საზოგადოების ყურადღების გამახვილება, რომელთა მეშვეობითაც ჩვენს ბავშვებს უფრო იოლად შეეძლებათ ბედნიერი მომავლისკენ გზის გაკვლევა“.



საღამოს ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავი: 220 გამოჩენილ სტუმართან ერთად წვეულებაზე გერმანელი მოდელი ჰაიდი კლუმი და „ფორმულა-1“-ის მაგნატი ფლავიო ბრიატოლეც გამოცხადდნენ.

გამოფენის გახსნის შემდეგ სასახლეში შეკრებილ საზოგადოებას ლეგენდარული ფოტოგრაფი ჰელმუტ ნიუტონი და მისი მეუღლეც შეეერთდნენ.

ჰაიდი კლუმის და - იოანა, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, თუმცა, მისი თქმით, ასეთ ყურადღებასაც არ ელოდა.

პირველი ლედი ქრისტინა რაუ და მისი მეუღლე - ფედერალური პრეზიდენტი იოჰანეს რაუ მოდელების გარემოცვაში.

ლაიზა მინელი - მომღერალი თუ ელინური მითის გმირი

სალომე კიკალეიშვილი

"მე ყველაზე ბედნიერი ვარ," – სიამაყით ამბობდა ლაიზა მინელი, როდესაც პროდიუსერ დევიდ ჰესტს მიჰყვებოდა ცოლად. 57 წლის ლაიზასთვის ეს რიგით მეოთხე ქორწინება იყო, 50 წლის პროდიუსერისთვის - პირველი.

2002 წლის 16 მარტს მთელ ნიუ იორკს მანჰეტენზე მოეყარა თავი, რათა "საერთაშორისო მნიშვნელობის გამოფენას" (როგორც ბროდვეის დედოფლად წოდებულმა ქეროლ ჰენიტმა უწოდა) დასწრებოდნენ. 1100 რჩეული სტუმარი, მძღოლად - მაიკლ ჯექსონი, მეჯვარედ – ელიზაბეტ ტეილორი... - ეს მინელის და ჰესტის, ლამის, საერთაშორისო მნიშვნელობის ქორწილი იყო. "რიჯენტ უოლსტრიტის" სასტუმროში შეკრებილი ელიტა გვიანობამდე აღნიშნავდა წყვილის გაბედნიერებას. ცნობილ დიზაინერთა უმდიდრესი კოსტიუმები, უძვირფასესი აქსესუარები, ერთი მეორეზე პოპულარული სახეები...მაგრამ, ზღაპარი მალევე დამთავრდა და სულ რაღაც 1 წელიწადში "ყველაზე ბედნიერ ქალს" სასამართლოებში მოუხდა სიარული.

მათი ქორწინება საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. მომღერლის თაყვანისმცემლები იმედს არ კარგავდნენ, რომ მალე ისევ ერთად იხილავდნენ, ერთი შეხედვით, ბედნიერებისგან გაბრწყინებულ ცოლ-ქმარს. თუმცა, ამ დღეებში ატეხილი სკანდალი ყოვლად საპირისპიროს მოწმობს. როგორც დევის ჰესტმა განაცხადა, იგი აპირებს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში, და ფიზიკური და მორალური ზარალის ანაზღაურების სახით, 10 მილიონი დოლარი მოთხოვოს თავის უკვე ყოფილ მეუღლეს –ლაიზას. ის, რომ მომღერალი ალკოჰოლური სასმელების და ნარკოტიკების მიმართ გულგრილობით არ გამოირჩეოდა, ყველასთვის ცნობილია; ამჯერად კი მომღერლის ამ "სისუსტეებს" ჰესტმა კიდევ ერთი ბრალდება დაუმატა - არა, ღალატი ნუ გგონიათ, საქმე ცემას ეხება: "ლაიზა ძალიან ხშირად სვამდა. როდესაც თვრებოდა, ძალები, თითქოსდა, უორმაგდებოდა და სასტიკად მცემდა. უბრალოდ, ლოყაში სილის გარტყმა კი არ იფიქროთ, უმოწყალოდ მიბათქუნებდა. მე კი წინააღმდეგობის გაწევასაც ვერ ვახერხებდი, თავს ძლივს ვიცავდი და ვეუბნებოდი, - ლაიზა შეწყვიტე, გეყოფა, გეყოფა მეთქი, –ამბობს "დაზარალებული" პროდიუსერი, რომელსაც, ცოლისგან მიყენებული ტრავმების გამო თავის ტკივილები, ღებინება და მაღალი წნევა დასჩემდა. თურმე ნუ იტყვით და, ლაიზას ბევრი საერთო ჰქონია ელინური მითების კუნთმაგარ გმირებთან.

დევიდ ჰესტი ად ლიზა მინელი ჯვარს იწერენ

ბოლო წლებში, მომღერალმა განსაკუთრებით მძიმე ოპერაცია გადაიტანა ზურგსა და თეძოზე, რასაც ვირუსული ენცეფალიტიც დაემატა, რის შემდეგაც ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს, გამაყუჩებლებისკენ სწრაფვაც მოჰყვა. თუ ყოველივეს მის მძიმე ხასიათსაც დავუმატებთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ დევიდ ჰესტს არც ისე გაუმართლა. ქორწილამდე ცოტა ხნით ადრე ლაიზამ სარეაბილიტაციო კურსი გაიარა, გახდა, ჩაატარა საკმაოდ წარმატებული გასტროლები - მოკლედ გამოსწორების გზას დაადგა. მათ ბავშვის აყვანაც ჰქონდათ განზრახული, მაგრამ, როგორც ჩანს, ოჯახში ცემა-ტყეპა ბავშვის აყვანისთვის საჭირო ოფიციალური ფურცლების გაფორმებამდე დაიწყო. მაგრამ, მოდით, ყველაფერს "ცუდ" ლაიზას ნუ დავაბრალებთ, რადგან, ამერიკელების აზრით, არც დევიდი გამოირჩეოდა ზედმეტი თავშეკავებულობითა და ზრდილობით. მაგალითად, წყვილს განზრახული ჰქონდა, საკუთარი სახლიდან ტელეშოუ - "რეალური ტელევიზიის" ციკლი წაეყვანა, თუმცა აღშფოთებულმა ტელეკომპანიამ მალევე გაწყვიტა კონტრაქტი ლაიზასთან და დევიდთან, ამ უკანასკნელის გამო, რომელიც გადამღებ ჯგუფს მუშაობას არ აცდიდა და მათ აუტანელ სამუშაო პირობებს უქმნიდა. იგი მინელის უკვე "ჩასვენებულ" ალკოჰოლიკ ვარსკვლავად თვლიდა. ხოლო, თუ ამას მის უტაქტო კომენტარსაც დავუმატებთ, რომელიც მან ერთ-ერთი ტელეშოუს პირდაპირ ეთერში თავისი ცოლის ზედმეტ წონაზე გააკეთა (ყველასთვის ცნობილია, რომ სწორედ ამაზე საუბარს გამოჰყავს წონასწორობიდან მომღერალი), მაშინ ჰერკულესივით ძლიერ მინელის, ნაწილობრივ, გამართლებაც შეიძლება.

5 წუთში მოპოვებული ლიდერობა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-13 ტურში ლიდერი კიდევ ერთხელ გამოიცვალა. სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა თბილისის "ვიტ ჯორჯია", რომელმაც, უშუალო კონკურენტისგან, "დინამოსგან" განსხვავებით, დამაჯერებლად ჩაატარა თავისი შეხვედრა და, გამარჯვების წყალობით, ერთი ქულით გაუსწრო საქართველოს ჩემპიონს.

ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა თბილისში, "შევარდენის" სტადიონზე, სადაც "ვიტ ჯორჯიამ" მესამე პოზიციაზე მყოფ გორის "დილას" უმასპინძლა. გორელებმა მხოლოდ პირველ ნახევარში შეძლეს ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა. მართალია, ნოზაძემ მათ მე-14 წუთზე გაუტანა გოლი, მაგრამ ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ჩიტაიამ შეძლო თანაფარდობის აღდგენა.

მეორე ნახევარში მასპინძლები სრულ უპირატესობას დაეუფლნენ. 5-წუთიან მონაკვეთში ჯერ გოჩაშვილმა (60`) დააწინაურა თავისი გუნდი, ხოლო შემდეგ გოცირიძემ (64`) ანგარიშს საბოლოო სახე მისცა და თავისი გუნდი ერთი დღით (როგორც შემდეგ აღმოჩნდა, შემდეგ ტურამდე მაინც) გაალიდერა.

ერთი დღით, რადგან "დინამო" თავის მატჩს ერთი დღის დაგვიანებით, გუშინ თამაშობდა. "დინამოს" და "ტორპედოს" დაპირისპირება ეროვნულ ჩემპიონატში უკვე მოვლენად იქცა. მით უმეტეს, თუ ეს თამაში ქუთაისში იმართება. თანაც, არა აქვს მნიშვნელობა, როგორ სპორტულ ფორმაში არიან და რა პოზიციებს იკავებენ ეს გუნდები პრინციპული მატჩის წინ. ეს მოსაზრება გუშინდელმა შეხვედრამაც დაადასტურა. "ტორპედომ", რომელიც ახლა კრიზისს განიცდის და ბოლოდან მე-4 ადგილზეა, მოედნის ერთი გოჯიც არ დაუთმო მეტოქეს. მართალია, თბილისელებმა პირველივე ტაიმში გახსნეს ანგარიში, მაგრამ ქუთაისელები ამ გოლმა ვერ გატეხა. მასპინძლებმა ბოლო წამებამდე იბრძოლეს და როდესაც უკვე ყველას ეგონა, რომ "დინამო" ქუთაისიდან 3 ქულას წაიღებდა, მუშკუდიანმა ქულის და პრესტიჟის მხსნელი გოლი გაიტანა. ეს 89-ე წუთზე მოხდა.

საინტერესო თამაში გაიმართა თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზეც, რომელშიც რეზო არველაძის "ლოკომოტივმა", როგორც იქნა, დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია. თანაც, მის შეგირდებს საკმაოდ უხერხული მეტოქე ჰყავდათ ლიგის დებიუტანტის, "მცხეთის" სახით. ამ გუნდების პირველი წრის მატჩში სწორედ "მცხეთამ" გაიმარჯვა (2:1). თუმცა, პირველ წრეში მცხეთელებმა არა მხოლოდ "ლოკომოტივი", თბილისის "დინამო" და ქუთაისის "ტორპედოც" დაამარცხეს.

ამჯერად რკინიგზელებმა სრულფასოვანი რევანში აიღეს. სალუქვაძემ, ეშუანმა, სირაძემ და შეცვლაზე შემოსულმა სოსელიამ 4 უპასუხო გოლი გაიტანეს სტუმართა კარში და სატურნირო ცხრილის ზედა ექვსეულში შეაღწიეს.

4:0, მართლაც, დამაჯერებელი ანგარიშია, მაგრამ, ამის მიუხედავად, "ლოკომოტივი" ტურში ყველაზე მეტი გოლის გამტანი გუნდი მაინც ვერ აღმოჩნდა. თბილისურ დერბიში "თბილისმა" "სპარტაკს" გოლების ნამდვილი ფოიერვერკი მოუწყო და, შედეგიანობის თვალსაზრისით, მე-15 ეროვნული ჩემპიონატის რეკორდიც დაამყარა. "თბილისის" ფეხბურთელებმა დებიუტანტს 8 (!) უპასუხო გოლი გაუტანეს.

მე-13 ტური

22 ოქტომბერი	
ვიტ ჯორჯია – დილა	3:1
კოლხეთი – ბათუმი	0:3
23 ოქტომბერი	
ტორპედო – დინამო	1:1
თბილისი – სპარტაკი	8:0
მერცხალი – სიონი	0:1
ლოკომოტივი – მცხეთა	4:0

13 ტურის შემდეგ პირველ პოზიციაზეა "ვიტ ჯორჯია" 28 ქულით. შემდეგ ადგილებს იკავებენ: "დინამო" – 27, "სიონი" – 26, "დილა" – 23, "ბათუმი" – 19, "ლოკომოტივი" – 18, "თბილისი" – 17, "მცხეთა" – 16, "ტორპედო" – 15, "კოლხეთი" – 12, "სპარტაკი" – 9, "მერცხალი" – 8.

მურთაზ ხურცილავა - საქართველოს ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელი

2004 წელს უეფა აღნიშნავს თავისი არსებობის 50 წლისთავს. ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად უეფა მრავალი ღონისძიებას გამართვას აპირებს. ამასთან დაკავშირებით, უეფამ მის წევრ ყველა ფედერაციას დაავალა, გამოავლინოს ქვეყნის ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

სფფ-მ საქართველოს 1954-2004 წლებში საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ჩაატარა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 865-მა ფეხბურთის მოყვარულმა და სპეციალისტმა. სულ დასახელდა 44 ფეხბურთელი. თითოეულ კონკურსანტს უნდა დაესახელებინა სამი საუკეთესო ფეხბურთელი. პირველ ნომრად დასახელებულს ერიცხებოდა 3 ქულა, მეორეს - 2, მესამეს - 1.

კონკურსის შედეგად პირველ ათეულში მოხვდნენ:

1. მურთაზ ხურცილავა	1302 ქ.
2. ავთანდილ ღოღობერიძე	1159
3. მიხეილ მესხი	776
4. დავით ყიფიანი	510
5. სლავა მეტრეველი	386
6. ალექსანდრე ჩივაძე	152
7. ვიტალი დარასელია	135
8. ვლადიმერ ბარქაია	98
9. შოთა იამანიძე	95
10. გივი ჩოხელი	65

კონკურსის დებულების თანახმად, პირველი სამეული წარედგინა სფფ-ს აღმასკომს, რომელმაც, უმრავლესობის გადაწყვეტილებით, საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა მურთაზ ხურცილავა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

TV სპორტი

პარასკევი. 24 ოქტომბერი

NTV + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუკეკენდო მატჩების ანონსი
13:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "აიაქსი" – "სელტა"
15:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "ჩელსი" - "ლაციო"
17:10 თავისუფალი დარტყმა
17:25 "ფეხბურთი ა-დან ნ-მდე"
17:55 ჩემპიონთა ლიგის დღიური
19:55 "FUTBOL MUNDIAL"
20:25 "ევროფანკლუბი". "ინტერი"
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 თავისუფალი დარტყმა
21:15 "გაიტანე!"
21:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:55 თავისუფალი დარტყმა
23:10 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:10 "ევროფანკლუბი". "ინტერი"
00:40 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

NTV + СПОРТ
08:00 08:00-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 19:30 პრესცენტრი
11:15, 19:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE AMERICA". შესვენებისას (14:00) პრესცენტრი
14:45 "მოტოვებული კვირა"
15:30 ტაილანდური კრივი
16:30 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "St.Petersburg Open". მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
18:30 "სპორტის აკვატორია"
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "St.Petersburg Open". მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 "ფარი და ბურთი". გადაცემა ეძღვნება კალათბურთს
23:00 პროფესიული კრივის ამბები
23:30 "ყინულის ხანა". პროგრამა ეძღვნება ჰოკეის
00:30 ამერიკული ფეხბურთის ფან-კლუბი
01:00 ახალი ამბები
01:15 "სპორტული გლობუსი"
01:55 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE AMERICA"

EUROSPORT
11:30 გოლფი. ჩელენჯ ტური
12:00 ფეხბურთი. უეფა
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
14:00 ფეხბურთი. უეფა
15:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი სანკტ-პეტერბურგში
16:30 ფეხბურთი. უეფა
17:30 ფეხბურთი. უეფა
18:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრიაში
20:00 ფეხბურთი. უეფა
21:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში
22:30 ფეხბურთი. უეფა
23:30 ფეხბურთი. უეფა
00:30 ფეხბურთი. უეფა
01:30 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში"
02:30 მოტოსპორტი
02:45 ახალი ამბები
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
03:30 ექსტრემალური სპორტი
04:00 ექსტრემალური სპორტი
04:30 ახალი ამბები

ფეხბურთი

ფლავიო კონსეისაო: "რეალში ყველაფერი ვარდისფერი არ არის"

ბრაზილიელი ფლავიო კონსეისაო "დეპორტივოში" და მადრიდის "რეალში" თამაშობდა. მიმდინარე სეზონის დაწყების წინ კი სამეფო კლუბმა ის დორტმუნდის "ბორუსიაში" გაანათხოვრა. კონსეისაო ახლა ტრავმირებულია და მოედანზე დაბრუნებას ელის. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც ის თავის ახალ კლუბსა და მადრიდის "რეალზე" საუბრობს.

დორტმუნდში კონსეისაო თავს ბედნიერად გრძნობს

- ბუნდესლიგაში შთამბეჭდავი დებიუტი გქონდათ. "შალკეს" წინააღმდეგ მატჩში შეცვლაზე შეხვედით და ხუთ წუთში გოლი გაიტანეთ.

- ცხადია, პირველი მატჩი, მართლაც, კარგი დასაწყისი გამოდგა. როდესაც შეცვლაზე შედიხარ და მაშინვე გოლი გაგაქვს, ეს თავდაჯერებულობას გმატებს. სამწუხაროდ, დავშავდი. ახლა მინდა, მალე გამოვჯანმრთელდე, რათა მალე შევძლო თამაში.

- თქვენ აქ მადრიდის "რეალიდან" გადმოხვედით. ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მუდამ გამარჯვებისთვის იბრძვის. "დორტმუნდმა" კი საკვალიფიკაციო წრე ვერ გადალახა და უეფა-ს თასზე უწევს თამაში. ალბათ, ეს იმედგაცრუებაა თქვენთვის.

- რასაკვირველია, იმედგაცრუება, მართლაც, დიდია თითოეული ფეხბურთელისთვის. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდებოდით. მაგრამ ახლა ვეღარაფერს შევცვლით. ამჟამად ბუნდესლიგაში, გერმანიისა და უეფა-ს თასებზე ვიღებთ მონაწილეობას. სამივე ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია და, იმედია, აქ მეტ წარმატებას მივაღწევთ.

- რისი მიღწევა გინდათ ამ სეზონში "დორტმუნდთან" ერთად?

- მიზანი ყოველთვის ერთი უნდა იყოს – გამარჯვება ნებისმიერ ტურნირში! ჩვენი ამოცანა, სულ მცირე, ერთი ტიტულის მოპოვებაა.

- ევროპაში თქვენი პირველი ტიტული "დეპორტივოსთან" ერთად მოიპოვეთ, როდესაც 2000 წელს ესპანეთის ჩემპიონი გახდით. როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

- "დეპორტივოს" ყოველთვის ფავორიტად მოიხსენიებენ. მან ამას მიაღწია. არაჩვეულებრივად თბილად მახსენდება ის ჩემპიონატი და ჩემი ყოფილი კლუბი. იქ ბედნიერებისგან ატირებული იმდენი ადამიანი ვნახე... ეს ლოგიკურიცაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ "დეპორტივო" მანამდე არ ყოფილა ჩემპიონი. ჩვენი ჩემპიონობა ლა კორუნიაში უფრო გაუხარდათ, ვიდრე, მაგალითად, მადრიდში უხარიათ "რეალის" ჩემპიონობა, რადგან მადრიდში შეჩვეული არიან გამარჯვებებს.

- მას შემდეგ, რაც "რეალში" გადახვედით, დიდხანს პრობლემები გქონდათ. რა იყო ამის მიზეზი?

- პირველი ორი წელი საშინელება იყო. "რეალში" გადასვლისთანავე ტრავმა მივიღე. ოპერაციის გაკეთება მომიხდა, რის გამოც სეზონის უმეტესი ნაწილი გამიცდა. მომდევნო სეზონში ისევ სერიოზული ტრავმა მივიღე და მხოლოდ ერთ მატჩში ვითამაშე. იჯარის წესით სხვა კლუბში გადასვლაზეც კი ვფიქრობდი, თუმცა, მაინც "რეალში" დავრჩი. მესამე სეზონი კარგი იყო. ხშირად მიწევდა თამაში, იმ სეზონში ჩემპიონთა ლიგაც მოვიგეთ. იმ დროს, როდესაც საუკეთესო ფორმაში ჩავდექი, "დორტმუნდში" გამანათხოვრეს. აქ ძალიან ბედნიერი ვარ. მომწონს აქაურობა, ეს კლუბი და მისი გულშემატკივრები. ბუნდესლიგაზე ძალიან მაღალი წარმოდგენა მაქვს. ბედნიერი ვარ, რომ ერთ-ერთ ყველაზე უძლიერეს ლიგაში მიწევს თამაში.

- უკანასკნელი ოთხი ზაფხულის განმავლობაში "რეალს" თითო სუპერვარსკვლავი ემატებოდა. როგორ აღიქვამდით ამას, როდესაც სამეფო კლუბში თამაშობდით?

- ცხადია, მადრიდის "რეალი" მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს ყიდულობს. ყოველ წელიწადს, როდესაც გუნდს ახალი ვარსკვლავი ემატება, ზეწოლა იზრდება. ფეხბურთელებს კიდევ უფრო მეტად სთხოვენ ტიტულების მოგებას. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა იყო, რომელიც ჩვენ წარმატებით ავიღეთ ჩვენს თავზე. მსოფლიოს საუკეთესო გუნდში თამაშით უდიდესი გამოცდილება მივიღე.

- ზიდანს ისევე ექცევიან, როგორც მასზე ნაკლებად ცნობილ ფეხბურთელებს?

- აქ ყველაფერი მარტივად იყო. ზიდანი არაჩვეულებრივი პიროვნებაა, ყოველთვის იღიმება და თავის პოზიტიურ ენერგიას სხვებსაც გადასცემს. მოედანზე ყველამ ვიცოდით: როდესაც ზიდანი პასს აკეთებს, რაღაც ლამაზი მოხდება.

- რას ფიქრობთ იმ ფორმაზე, რომლითაც "რეალი" თავის მოთამაშეებს ემშვიდობება: თქვენ, მორიენტესი, სავიო, იერო, თვით მწვრთნელი დელ ბოსკე...

- ეს არ მომეწონა. ახლა მე მორიენტესზე, იეროზე და დელ ბოსკეზე ვსაუბრობ. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც უამრავი რამ გააკეთეს კლუბის წარმატებისთვის. მათთან გამომშვიდობებამ ცუდ გუნებაზე დამაყენა, თუმცა, იძულებული ვიყავი, ეს მიმეღო. ამ კლუბში ყველაფერი ვარდისფერი არ არის. დელ ბოსკესა და იეროს ამბავმა განსაკუთრებით დამწყვიტა გული.

- გესმით ამ გადაწყვეტილების?

- გულწრფელად რომ გითხრათ, ასეთი გადაწყვეტილება ვერავინ გაიგო. კლუბს წარმატებული სეზონი ჰქონდა, ესპანეთის ჩემპიონი გახდა, რაც ყოველ წელიწადს უფრო და უფრო ძნელი ხდება. ამ დროს მათ ეუბნებიან: "თქვენ აღარ გვჭირდებით". ეუბნებიან იმას, ვინც მრავალი წლის მანძილზე ემსახურებოდა ამ კლუბს, მათ, ვინც ამ კლუბის ისტორია დაწერა.

- "რეალიდან" თქვენს პოზიციაზე მოთამაშე მაკელელეც წავიდა, ელგერა კი ტრავმირებულია. ხომ არ ნანობთ, რომ მადრიდი მიატოვეთ?

- არა, საერთოდ არა. ახლა მხოლოდ ტრავმის მოშუშება და მოედანზე დაბრუნება მინდა. აქ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. მსურს, რომ "დორტმუნდთან" ერთად ბევრი გამარჯვება მოვიპოვო.

რაგბი

როდემდე ვეყოფით აფრიკას?

სიდნეიდან ორი ინფორმაცია გვაქვს. ერთი კარგი და ერთიც ცუდი. კარგი ის არის, რომ სამხრეთ აფრიკა მეორე შემადგენლობით გვეთამაშება. ცუდი კი ის, რომ ჩვენც სათადარიგოებს შევაგებებთ. აფრიკელები სამოასთან გადამწყვეტი შეხვედრისთვის ემზადებიან. საქართველოს კი, რაც არ უნდა პერსპექტიული გუნდი ჰყავდეს, მეორე შემადგენლობითაც დაამარცხებენ, - მიაჩნიათ აფრიკელებს.

კლოდ სორელმა გადაწყვიტა, ძირითადი ბირთვი სამშაბათისთვის, ურუგვაისთან მატჩისთვის შემოინახოს. სამხრეთაფრიკელ "ქურციკებს" კი მეორე შემადგენლობა დაახვედროს და, რაკიღა აფრიკელებთან ჩვენს შებმას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ნიშანწყალი არ ეტყობა, როგორღაც იოლად გავიდეს ფონს. ეს ყველაფერი კარგი, თუ, რა თქმა უნდა, ურუგვაის მოვუგებთ, მაგრამ რომ წავაგოთ და აფრიკელთაგან განადგურებაც ავანსად შეგვრჩეს? ჩვენი სარაგბო თემის აღიარებით, ნამდვილი კატასტროფა იქნება.

თუ ურუგვაის მოვუგებთ, ჩვენი შეცდომები და დიდი ანგარიშით წაგებები აღარავის ემახსოვრება. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ მსოფლიო რაგბის მარაქაში გარეულ, გამოუცდელ გუნდს მეტი არ მოეთხოვება და მართალიც იქნება. ჩვენ ხომ იმთავითვე ურუგვაის დამარცხებას ვგეგმავდით და თუ დავამარცხებთ, ესე იგი, მიზანი მიღწეული იქნება.

მეორე მხრივ, რამდენად შესაძლებელია არეული და დეზორგანიზებული გუნდით ურუგვაის დამარცხება, რომელმაც, ჩვენგან განსხვავებით, რამდენიმე ლელოს დადება მოახერხა და არც შეტევაზე ამბობს უარს? ამ კითხვაზე კლოდ სორელი ორაზროვან პასუხს იძლევა. "ჩვენ ჩვენი უნდა ვცადოთ", - ამბობს ბორჯღალოსანთა თავკაცი. კი ბატონო, ვცადოთ, მაგრამ ამ მცდელობის წინ "ქურციკთაგან" განადგურება ჩვენებისთვის ვერაფერი ნუგეში იქნება. აფრიკასთან კი საქართველოს ნაკრები, თანაც, მეორე შემადგენლობით, განადგურებისთვის არის განწირული.

დავიწყოთ თავიდან. ინგლისის ნაკრებთან შეხვედრაში ჩვენი გუნდის კოზირი, შერკინება, აშკარად დაიღალა და ლელოების უმრავლესობა ცენტრიდან გაუშვა, რამაც ინგლისელებიც გააოცა. "ვერაფრით ვხვდები, რატომ გვაძლევდნენ ქართველები ცენტრალურ ზონაში თავისუფლად გადაადგილების საშუალებას", - თქვა ინგლისელთა კაპიტანმა მარტინ ჯონსონმა. და ეს მაშინ, როცა ინგლისელთა მთავარი ღირსება შერკინება კი არა, სწრაფი და მოქნილი გარემარბების კომბინაციური თამაშია.

თუ ბორჯღალოსნების მთავარი ბირთვი ინგლისთან ასე დაიჩაგრა, რა იქნება სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრაში, რომელიც სწორედ ძალისმიერი თამაშით გამოირჩევა და ფიზიკურად ძალიან ძლიერი გუნდის რეპუტაციით სარგებლობს.

საინტერესოა, როდემდე ვეყოფით "ქურციკებს" და დამყარდება თუ არა ამ შეხვედრაში მსოფლიო თასის რეკორდი? თუ გავითვალისწინებთ აფრიკელთა სურვილს, გამოსცადონ სათადარიგო მოთამაშეები, ალბათ, გადავრჩებოდით და იქნებ თბილისური მატჩის შედეგიც გაგვემეორებინა (თბილისში სამხრეთ აფრიკის მეორე ნაკრებს ორი ლელო ვაგემეთ და 14 ქულის სხვაობით – 17:31 დავმარცხდით), მაგრამ საქართველო აპირებს, "ქურციკებს" მეორე შემადგენლობა დაუპირისპიროს და, შესაბამისად, საქმე გაირთულოს. ბორჯღალოსნების ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ მეორე შემადგენლობით თამაში მატჩამდე დამარცხებას არ გულისხმობსო, მაგრამ რატომ იქნება მეორე შემადგენლობა ძირითადზე უკეთესი, ყოველად გაუგებარია.

კლოდ სორელი

მატჩამდე კლოდ სორელმა სწორედ აფრიკელთა ფიზიკური სიძლიერის გამო გამოთქვა შიში, მაგრამ იქვე დასძინა, რომ სხვა არჩევანი არა აქვს - აფრიკელებს მეორე შემადგენლობა უნდა დაუპირისპიროს. "სამხრეთ აფრიკის შემდეგ ურუგვაისთან მატჩამდე ძალების აღსადგენად სამი დღე რჩება. ეს დრო სრულფასოვანი აღდგენისთვის საკმარისი არ არის, ამიტომ ჯობს, გუნდის ძირითადი ბირთვი ურუგვაისთან მნიშვნელოვანი მატჩისთვის მოემზადოს", - განაცხადა კლოდ სორელმა.

გია კუბლაშვილის თქმით, სორელის გადაწყვეტილება რამდენიმე მოთამაშის ტრავმამ განაპირობა. მცირე ტრავმა აქვთ ვანო ნადირაძეს, გოდერძი შველიძესა და ბადრი ხეხელაშვილს. გია ლაბაძე კი მხრის ტკივილს უჩივის და ურუგვაისთან შეიძლება ვერც ითამაშოს. "კლოდ სორელმა გადაწყვიტა, აღარ გარისკოს. რაკი ძირითადი შემადგენლობის ოთხი მორაგბე არ ეყოლება, მნიშვნელოვანი მატჩის წინ დანარჩენებიც დაასვენოს", - ამბობს კუბლაშვილი.

მწვრთნელის გადაწყვეტილება ნათელია, მაგრამ გაუგებარი ის არის, როგორ აპირებს კლოდ სორელი ღირსების დაცვას და, ბოლოს, ურუგვაის დამარცხებასაც?

სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება - **ავთანდილ კოპალიანი, დავით დადუნაშვილი, ალექსანდრე მარგველაშვილი, სერგო გუჯარაიძე, ვიქტორ დიდებულიძე, დავით ბოლღაშვილი, გიორგი წიკლაური, გიორგი ჩხაიძე, ირაკლი მოდებაძე, პალიკო ჯიმშელაძე, არჩილ ქავთარაშვილი, ვასილ კაცაძე** (კაპიტანი), **ოთარ ელოშვილი, გოჩა ხონელიძე, ირაკლი მაჩხანელი.**

ინფორმაცია

ფეხბურთი. საინტერესო განცხადება გააკეთა უელსის ნაკრებისა და ინგლისური "ნიუკასლის" თავდამსხმელმა, კრეიგ ბელამიმ. უელსური გაზეთის, "South Wales Echo"-ს ცნობით, ბელამიმ თქვა, თუ ევროპის ჩემპიონატის პლეიოფის მატჩებში უელსის ნაკრები რუსეთს ვერ დაამარცხებს, ის ნაკრებიდან წავა. კრეიგ ბელამი ჯერ 24 წლისაა, უელსის ნაკრების შემადგენლობაში აქამდე 23 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა, მათ შორის გამარჯვების გოლი იტალიის ნაკრების კარში, გასული წლის ოქტომბერში.

■ ■ ■

ფეხბურთი. მილანის "ინტერის" მწვრთნელის ექტორ რაულ კუპერის პოსტიდან გადაყენება ერაყიდან სადამ ჰუსეინის გაძევებას ემსგავსება. იტალიური პრესა სულ უფრო ხშირად ავრცელებს ინფორმაციებს კუპერის უწინდელი "ბოროტმოქმედების" შესახებ. გაზეთი "Corriere della Serra" იუწყება, რომ თავის დროზე კუპერმა უარი თქვა პორტუგალიელ რუი კოშტას შეძენაზე, რომელსაც "მილანი" "ინტერს" ზეედორფის სანაცვლოდ სთავაზობდა. თურმე, კუპერმა რუი კოშტას ფრანჩესკო კოკო ამჯობინა. "ინტერის" წარუმატებელი თამაშის მიზეზად კი სწორედ რუი კოშტას მსგავსი შემტევი სტილის ნახევარმცველების ნაკლებობას ასახელებენ.

■ ■ ■

ფეხბურთი. ცნობილი დანიელი მეკარე პეტერ შმეიხელი, რომელიც ფეხბურთს შარშან გამოეთხოვა, შეესაძლოა, მწვანე მინდორს დაუბრუნდეს. მეკარეს, რომელიც მალე 40 წლის გახდება, ინგლისის პრემიერლიგის კლუბი, "ვულვერჰემპტონი" ეპატიჟება. შმეიხელს ჯერ თანხმობა არ განუცხადებია, თუმცა, კლუბის ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, რომ "მანჩესტერში" მისი ყოფილი თანაგუნდელი, ამჟამად "ვულვზის" ფეხბურთელი, პოლ ინსი, დანიელი მეკარის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას მოახდენს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ბრაზილიელი ვეტერანი რომარიო, რომელიც ამჟამად რიო დე ჟანეიროს "ფლუმინენსეს" ღირსებას იცავს, შესაძლოა, საჯარიმო სანქციების მსხვერპლი გახდეს. საქმე ის არის, რომ გუნდის ღია ვარჯიშის დროს რომარიო ერთ-ერთ მაყურებელს თავს დაესხა და სცემა. ეს მაყურებელი მოედანზე ცოცხალ წიწილებს ისროდა და რომარიოს დასცინოდა. ფეხბურთელმა მოთმინება დაკარგა და გულშემატკივარს გაუსწორდა. შედეგად ის პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. გერმანული "ჰამბურგის" მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს კურტ იარა. მის ნაცვლად დაინიშნა კლაუს ტოპმიოლერი, რომელიც ბოლოს ლევერკუზენის "ბაიერს" წვრთნიდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ფიფა-მ ევროპულ კლუბებს უფლება მისცა, აფრიკელი ფეხბურთელები არ გაუშვან თავიანთ ნაკრებ გუნდებში 2004 წლის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ მატჩებში სათამაშოდ. საქმე ის არის, რომ ეს მატჩები არ ემთხვევა ეგრეთ წოდებულ ფიფა-ს დღეებს. სწორედ ამიტომ მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია კლუბებს არ უკრძალავს, აფრიკელი ლეგიონერები თავისთან დაკავონ. პირველი, ვინც ფიფა-ს ამ საკითხის განხილვა სთხოვა, ფრანგული "ნანსი" იყო. მას სხვა ფრანგულმა კლუბებმაც მიბაძეს და თავიანთი აფრიკელი ფეხბურთელების სამშობლოში გაშვებაზე უარი განაცხადეს. ფრანგული გუნდების პროტესტი იმით არის გამოწვეული, რომ 2004 წლის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო მატჩები საფრანგეთის ჩემპიონატისა და თასის მნიშვნელოვან მატჩებს ემთხვევა.

■ ■ ■

ფეხბურთი. მილანის "ინტერის" თავდამსხმელს, მოჰამედ კალონს დოპინგის გამოყენებაში ედება ბრალი. პირველი შემოწმება მას 27 სექტემბერს, "უდინეზესთან" მატჩის შემდეგ ჩაუტარეს. ტესტის პასუხი პოზიტიური აღმოჩნდა. კალონს აკრძალული პრეპარატის, ნანდროლონის გამოყენებას აბრალებენ. ამ ინფორმაციას იტალიის ოლიმპიური კომიტეტი ავრცელებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ფრანგული "L'Equipe" იუწყება, რომ "პარი სენ ჟერმენს" იჯარის წესით სურს ინგლისური "ლიდსის" ავსტრალიელი თავდამსხმელის, მარკ ვიდუკას გადაყვანა. "სენ ჟერმენის" პრეზიდენტი და მწვრთნელი უკვე შეხვედრიან ფეხბურთელის აგენტს და მოლაპარაკებებიც წამოუწყიათ. თავად ვიდუკას "ლიდსის" მიტოვების სურვილი ჰქონია.

■ ■ ■

ფეხბურთი. ოქტომბრის დასაწყისში საფრანგეთის 1998 წლის ნაკრების შემადგენლობას და "მარსელს" შორის გამართულმა საქველმოქმედო მატჩმა 1,5 მილიონი ევროს სიდიდის მოგება მოუტანა ორგანიზატორებს. "მარსელის" ხელმძღვანელობა იუწყება, რომ ამ თანხის ერთი ნაწილი ალჟირში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახებს გადაეცემათ, ხოლო მეორე ნახევარი - იმ ფრანგი მეხანძრეების ოჯახებს, რომლებიც გასულ ზაფხულს, ტყეში მომხდარი ხანძრების ჩაქრობისას დაიღუპნენ.

ინფორმაცია

რაგბი. ავსტრალიაში მიმდინარე რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე ჯგუფური ტურნირის ერთი მატჩი გაიმართა. ერთმანეთს შეხვდნენ ფიჯისა და იაპონიის გუნდები. იაპონიის ნაკრებმა, რომელმაც ამას წინათ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია საფრანგეთის ნაკრებს, ამჯერად ვერაფერს გახდა - 13:41 დამარცხდა. საინტერესოა, რომ მეორე ნახევარში ფიჯიმ 25 ქულა მოიპოვა, იაპონიამ კი - ვერც ერთი. ახლა შოტლანდიისა და ფიჯის გუნდები ორ-ორი გამარჯვებით მეორე-მესამე ადგილზე არიან. ამ ჯგუფში მეორე ადგილის ბედი, ალბათ, პირველ ნოემბერს, ამ გუნდების ურთიერთშეხვედრაში გადაწყდება.

■ ■ ■

კალათბურთი. ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გაიმართა მორიგი მატჩები. ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები გახდნენ ახალგაზრდა ვაშინგტონელი არენასი და "ჰიუსტონის" ჩინელი ლეგიონერი იაო მინი, რომლებმაც 29-29 ქულა მოაგროვეს.

■ ■ ■

კალათბურთი. კობი ბრაიანტი მონაწილეობას მიიღებს "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" მატჩში თანაქალაქელი "კლიპერსის" წინააღმდეგ. თამაში ანაჰაიმში გაიმართება. ამის შესახებ კლუბის მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა განაცხადა. მწვრთნელის თქმით, ბრაიანტი, რომელსაც გაუპატიურების ბრალდებით სასამართლოში აქვს საქმე, თანდათან იშუშებს მუხლის ტრავმას და მომავალი შეხვედრის არ ეშინია. "ლიგაში ეს ჩემი მერვე სეზონია. ეს კი საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ მატჩისწინა ნერვიულობა დავთრგუნო", - ვარჯიშის შემდეგ განაცხადა ბრაიანტმა.

■ ■ ■

ჩოგბურთი. დევისის თასის მომავალი გათამაშებისთვის დიდი ბრიტანეთის ნაკრების კაპიტნის ფუნქციას ჯერემი ბეითსი შეასრულებს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციამ. ბეიტსი კაპიტნის პოსტზე შეცვლის როჯერ ტეილორს, რომელსაც ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციასთან კონტრაქტი წლის ბოლოს უმთავრდება. ახალი კაპიტნის მთავარი ამოცანა ბრიტანეთის ნაკრების ელიტაში დაბრუნება იქნება. ამისთვის ბრიტანელებმა აპრილში ლუქსემბურგისა და ფინეთის ნაკრები გუნდები უნდა დაამარცხონ.

■ ■ ■

სამთო-სათხილამურო სპორტი. ავსტრიელმა სამთო-მოთხილამურემ ჰერმან მაიერმა მიიღო პრიზი ნომინაციაში "წლის დაბრუნება". ამ აქციით ავსტრია შეეცადა, აღენიშნა, რომ მაიერმა შეძლო თითქმის შეუძლებელი - უაღრესად მძიმე ტრავმის შემდეგ დაბრუნდა სპორტში. რაც შეეხება დანარჩენ ნომინაციებს, აქ უნდა აღინიშნოს ავსტრიის საუკეთესო სპორტსმენები - მაგიდის ჩოგბურთელი ვერნერ შლაგერი და სამთო-მოთხილამურე მიხაელ დორფმაისტერი.

■ ■ ■

სამთო-სათხილამურო სპორტი. ინსბრუკის ჰოსპიტლიდან გამოუსვლელად ნორვეგიელმა სამთო-მოთხილამურემ კიეტილ ანდრე ომოდტმა მინი-პრესკონფერენცია გამართა. 32 წლის სპორტსმენს სავარჯიშო დაშვების შემდეგ ფეხი მოსტყდა და მუხლი დაუზიანდა. ამით დასრულდა კიდევ მისთვის ჯერ არდაწყებული სეზონი. ზოლდენიდან (სადაც ტრასაა) ომოდტი ვერტმფრენით ინსბრუკში გადაიყვანეს და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. გუშინ მოთხილამურე ჟურნალისტებს წარუდგა, კარგ გუნებაზე იყო, თუმცა, წლევანდელ ტურნირებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ომოდტმა ოლიმპიური მედლების სარეკორდო რაოდენობა მოიპოვა (19).

■ ■ ■

ოლიმპიზმი. ნიგერიის ნაკრების გამარჯვებამ სრულიად აფრიკულ თამაშებზე, რომელიც წინა კვირაში გაიმართა, ამ ქვეყნის სპორტის ხელმძღვანელობას ოპტიმიზმის საფუძველი გაუღვივა. ნიგერიის სპორტის სამინისტროს სპორტის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელმა პატრიკ ეკეჯიმ განაცხადა, რომ ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ნიგერიელები 10 მედლის მოპოვებას გეგმავენ.

■ ■ ■

ჰოკეი. "მინესოტას" ფორვარდი ჯერემი სტივენსონი, რომელიც კლუბმა დრაფტზე დააყენა, გადავიდა "ნეშვილის" შემადგენლობაში, სადაც 2000-2002 წლებში თამაშობდა. შარშან "მინესოტას" შემადგენლობაში გამართულ 32 მატჩში სტივენსონმა 5 შაიბა გაიტანა.

■ ■ ■

მძლეოსნობა. ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციამ გადაწყვიტა, დასაჯოს ის სპორტსმენები, რომლებიც დოპინგის მოხმარებაში არიან მხილებულნი. ამიერიდან ათლეტებს, რომლებსაც პირველივე დოპინგ-ტესტზე ამხილენ, დაეკისრებათ ჯარიმა 100 000 დოლარის ოდენობით ან სამუდამო დისკვალიფიკაცია. ასეთ მკაცრ გადაწყვეტილებამდე აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაცია ბოლო დროს გახშირებულმა დოპინგ-სკანდალებმა მიიყვანა. მაგალითად, ახალი სტეროიდის ტეტრაჰიდროგესტრინონის მოხმარებაში ამას წინათ ბრიტანელი სპრინტერი, 100 მეტრზე სირბილში ევროპის ჩემპიონი დუეინ ჩემბერსი ამხილეს. ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ ახალი სტეროიდი აღმოაჩინეს ოთხი ამერიკელი მძლეოსნის შარდში. სამმა მათგანმა მონაწილეობა მიიღო პარიზში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. ახალი ანტისადოპინგო კანონი 2004 წლის პირველი იანვრიდან შევა ძალაში.

ცხენოსნობა

"კავკასიური თასი" მხედრებს იკრებს

გიგა გურასაშვილი

საქართველოში, სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ცხენოსნობა ჩრდილშია. არადა, სპორტის ამ სახეობას დიდი ტრადიციები აქვს იმისთვის, რომ ყურადღება მისკენაც იყოს მიმართული. ეტყობა, საერთო გაჭირვება ქართულ საცხენოსნო სკოლას ორმაგად შეეხო. აქედან გამომდინარე, იშვიათად, რომ იპოდრომიდან ცხენის ჭიხვინი შემოგვესმას. თუმცა, არის იშვიათი გამონაკლისებიც.

ამ დღეებში თბილისის იპოდრომი ცხენოსნობის მოყვარულთ შემოიკრებს. გუშინ საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციამ პრესკონფერენცია მოაწყო. იწყება "კავკასიის თასის" რიგით მეოთხე გათამაშება, რომლის ორგანიზებაც თავად გვიწევს. "კავკასიის თასს" პირველად ერევანმა უმსაპინძლა, თუმცა, გათამაშება არ შედგა. საქმე ის არის, რომ აზერბაიჯანელმა მხედრებმა სომხეთში ჩასვლაზე უარი განაცხადეს. ასე რომ, პირველმა გათამაშებამ საქართველო-სომხეთის ამხანაგური გაჯიბრების სახე მიიღო. მას შემდეგ "კავკასიის თასს" საქართველო მასპინძლობს და, ალბათ, ასეც გაგრძელდება.

25-28 ოქტომბერს გასათამაშებელი თასი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მას საერთაშორისო შეჯიბრების სტატუსი აქვს. ამის დასტურია ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (FEI) მიერ მოვლენილი გერმანელი მსაჯები რაქშან რადპური (მთავარი მსაჯი) და ვერნერ დიგი (მარშრუტების შემდგენელი). სხვათა შორის, ისინი საქართველოში მეორედ არიან და, როგორც თვითონ ამბობენ, ადრინდელი ასპარეზობისგან განსხვავებით, შეჯიბრების ჩასატარებლად ახლა უკეთესი პირობებია. წლეულს ტურნირი განახლებულ საკონკურე მოედანზე ჩატარდება. ორგანიზატორები კი საქართველოსა და საერთაშორისო ცხენოსნობის ფედერაციები და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი არიან.

შეჯიბრება გაიმართება პირად და გუნდურ ჩათვლაში. პირადი ჩათვლის პირველ ორ კონკურსში მხედრები ახალგაზრდა ცხენებითაც გამოვლენ. ტურნირის საუკეთესო მხედარს (საერთო შედეგების მიხედვით) მსაჯთა კოლეგია დაასახელებს.

წარმატების ყველაზე რეალური პრეტენდენტები ქართველი მხედრები არიან.

ერთი სიტყვით, თბილისის იპოდრომი იწვევს ცხენოსნობის მოყვარულთ. ორგანიზატორთა თქმით, "კავკასიის თასზე" დასწრება უფასოა. ასე რომ, 25 ოქტომბრიდან იპოდრომის კარი ყველასთვის ღიაა.

გათამაშების ძირითადი პროგრამა:

25 ოქტომბერი

12:00 სთ. კონკური №1 (ახალგაზრდა ცხენებით. წინაღობათა სიმაღლე 110 სმ-მდე.)

16:00 სთ. შეჯიბრების გახსნა. კონკური №2 (ძირითადი ცხენებით. წინაღობათა სიმაღლე 130 სმ-მდე)

26 ოქტომბერი

12:00 სთ. კონკური №3 (ახალგაზრდა ცხენებით. წინაღობათა სიმაღლე 120 სმ-მდე.)

16:00 სთ. კონკური №4 (პირადი პირველობა. წინაღობათა სიმაღლე 130 სმ-მდე)

27 ოქტომბერი

12:00 სთ. კონკური №5 "დიდი პრიზი" (ახალგაზრდა ცხენებით. წინაღობათა სიმაღლე 120 სმ-მდე.)

16:00 სთ. კონკური №6 "დიდი პრიზი" (ახალგაზრდა ცხენებით. წინაღობათა სიმაღლე 140 სმ-მდე.)

28 ოქტომბერი

16:00 სთ. "კავკასიის თასი" (გუნდური პირველობა. წინაღობათა სიმაღლე 140 სმ-მდე.)

დაჯილდოების ცერემონიალი

ჩოგბურთი

უსენსაციო ბაზელი

სანდრო ნავერიანი

გუშინდელი მატჩის შემდეგ ევგენი კაფელნიკოვმა განაცხადა, რომ ამ ტურნირის მერე აქტიურ სპორტს ჩამოშორდება. შეგახსენებთ, რომ გუშინ რუსმა ჩოგბურთელმა გერმანელი კიფერი დაამარცხა, გავიდა მეორე წრეში, სადაც თავის თანამემამულეს, იუჟნის შეხვდება. პეტერბურგის წლევანდელი ტურნირი გაცილებით უინტერესოა შარშანდელთან შედარებით. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ფრანგი სებასტიან გროსჟანი ან გერმანელი რაინერ შუტლერი გაიმარჯვებს. სულ სხვა სიტუაციაა სტოკჰოლმში, სადაც პირველობის პრეტენზია უფრო მეტ კანდიდატს აქვს და ამის ძალაც შესწევს. ჰოლანდიელ სიენგ შალკენთან და მარიანო ზაბალეტასთან ერთად ტურნირს გამოემშვიდობნენ პირველ ნომრად განთესილი ტაილანდელი პარადორნ შრიჩაპხანი, რომელიც ამბობდა, რომ პირველობას არავის დაუთმობდა და ჩილელი ნიკოლას მასუ, რომელიც მესამე ნომრად იყო განთესილი. ჩილელმა სამ სეტში თავისი მატჩი დათმო ჰოლანდიელ რაიმონ სლაიტერთან. თუ მან ოდნავი წინააღმდეგობა მაინც გაუწია ჰოლანდიელს, შრიჩაპხანმა ორ სეტში წაგო ასევე ჰოლანდიელ იონ ვან ლოტუმთან. პირველ სეტში ანგარიში იყო 5:5, როდესაც ტაილანდელმა თავის მოწოდებაზე ზედიზედ სამი ბურთი წააგო, ეს უპირატესობა კი ჰოლანდიელმა გამოიყენა და მესამე ბრეიკპოინტზე გეიმი აიღო, თავისი მოწოდება კი უპრობლემოდ მოიგო და სეტიც თავის სასარგებლოდ ჩაამთავრა. მეორე სეტში ყველაფერი ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც პარადორნმა პირველივე გეიმი თავის მოწოდებაზე დათმო და ჰოლანდიელს ორგეიმიანი უპირატესობა მისცა. მეორე სეტში ტაილანდელმა მხოლოდ ერთი გეიმის მოგება შეძლო და ტურნირსაც გამოეთიშა. სტოკჰოლმის შარშანდელი ტურნირიც წლევანდელის მსგავსად მიმდინარეობდა, რამაც ბევრი ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშე გამოაჩინა. სპეციალისტები თავს იკავებენ ფავორიტის დასახელებისგან, მაგრამ მაინც თვლიან, რომ ყველაზე დიდი შანსი აქვს არგენტინელ ხუან იგნასიო ჩელას, რომელიც მეორე წრეში წლეულს ძალიან კარგად მოთამაშე შვედ რობინ სოდერლინგს დაუპირისპირდება.

კაფელნიკოვი პენსიაზე გადის

სენსაციების გარეშე მიმდინარეობს ბაზელის ტურნირი. ყველა ფავორიტი, ასე თუ ისე, ახერხებს მეტოქის დამარცხებას. პირველი წრის მატჩები არცთუ საინტერესო გამოდგა, გარდა ერთისა. გამორჩეულ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ესპანელი - ახალგაზრადა ფელისიანო ლოპესი და რაფაელ ნადალი. ესპანელები თვლიან, რომ, ფერეროსა და მოიასთან ერთად, სწორედ ეს ორი ჩოგბურთელია ესპანური ჩოგბურთის სახე. მატჩი ნადალმა დაიწყო და გეიმიც მოიგო. მერვე გეიმამდე ორივე თავის მოწოდებას იგებდა, ხოლო მერვეში ნადალმა შეძლო, ლოპესის გეიმი აეღო, რის შედეგადაც არც სეტის მოგება გასჭირვებია. პირველი სეტი ნადალმა 6:3 მოიგო. მეორე სეტი ზუსტად იგივე სცენარით წარიმართა, ოღონდ - ფელისიანოს სასარგებლოდ. იგრძნობოდა, რომ ლოპესმა ნადალის სუსტი წერტილი იპოვა და ბოლომდე გამოიყენა. ძლიერი მოწოდების შემდეგ ის ცდილობდა, ბადესთან გასულიყო და წინა ხაზიდან ეთამაშა, რაც კარგადაც გამოსდიოდა. მეტოქის მოწოდებას კი მშვენივრად ართმევდა თავს. სეტებში ანგარიში 1:1 იყო. დაიწყო მესამე სეტი. ორივე ფრთხილობდა, მეტოქის შეცდომას ელოდა, თვითონ არ უტევდა, რამაც ტაიბრეიკამდე მიიყვანა საქმე, სადაც ნადალს უფრო მეტი შეცდომა მოუვიდა და ტაიბრეიკი წააგო - 4:7. თავისი მატჩი მოიგო ენდი როდიკმა. მან ორ სეტში დაამარცხა შვეიცარიელი ჟან კლოდ შერერი. პირველი სეტი დიდი ძალისხმევის გარეშე მოიგო (6:3), მეორე კი ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც წარმატების მისაღწევად ძლიერი მოწოდებაა საჭირო, რაც როდიკმა პირნათლად შეასრულა და მატჩიც მოიგო. არგენტინელმა დევიდ ნალბანდიანმა ერთი ამოსუნთქვით ჩამოიშორა გზიდან ესპანელი რუბენ რამირეს იდალგო. არგენტინელმა ორ სეტში დაამარცხა ესპანელი (6:4, 6:0). თავისი შეხვედრები მოიგეს ესპანელმა ტომი რობრედომ, რომელიც მერვე ნომრად არის განთესილი ამ ტურნირზე და ბელგიელმა ოლივერ როხუსმა. მან სამ სეტში დაამარცხა ესპანელი ფელიქს მანტილა (6:7, 6:2, 7:6).

მეორე წრეში გაცილებით საინტერესო მატჩები გველის. ალბათ, სენსაციების დროც მოვიდა.

ავსტრიის ქალაქ ლინცში მიმდინარე ტურნირი იმდენად უინტერესოა, რომ მასზე, უბრალოდ, ვერაფერს იტყვი. ფავორიტებად რუსი ანასტასია მისკინა, ვერა ზვონარევა და იაპონელი აი სუგიამა ითვლებიან.

ბაზელი - პირველი წრე

ენდი როდიკი (აშშ 1) - ჟან კლოდ შერერი (შვეიცარია)	6:3, 7:6
გილიერმო კორია (არგენტინა 3) - ფაბრის სანტორო (საფრანგეთი)	5:7, 6:3, 6:0
დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა 4) - რუბენ რამირეს იდალგო (ესპანეთი)	6:4, 6:0
ტომი რობრედო (ესპანეთი 8) - მიშელ კრატოშვილი (შვეიცარია)	6:4, 6:4
ოლივერ როხუსი (ბელგია) - ფელიქს მანტილა (ესპანეთი)	6:7, 6:2, 7:6
ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) - ფილიპო ვოლანდრი (იტალია)	6:3, 3:6, 6:2
ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) - რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	3:6, 6:3, 7:6

სტოკჰოლმი - პირველი წრე

ჯონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) - პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი 1)	7:5, 6:1
ნიკოლას მასუ (ჩილე 3) - რამონ სლუიტერი (ჰოლანდია)	3:6, 6:3, 7:5
იან მაიკელ გემბილი (აშშ) - დავიდ სანგინეტი (იტალია) (სანგინეტიმ მატჩი შეწყვიტა)	
იონას ბიორკმანი (შვედეთი) - ანდრეას ვინჩიგერა (შვედეთი)	4:6, 6:2, 6:1

სტოკჰოლმი - მეორე წრე

იოაკიმ იოჰანსონი (შვედეთი) - ფერნანდო გონსალესი (ჩილე 4)	4:6, 6:4, 7:5
მარდი ფიში (აშშ 5) - ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი)	6:4, 6:4

სანკტ-პეტერბურგი - პირველი წრე

რაინერ შუტლერი (გერმანია 1) - ჟან რენე ლინარი (საფრანგეთი)	7:6 (7:5), 6:1
იგორ ანდრეევი (რუსეთი) - მაქსიმ მირნი (ბელორუსი 4)	6:4, 7:6 (7:1)
ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) - ნიკოლას კიფერი (გერმანია)	2:6, 6:3, 6:4

სანკტ-პეტერბურგი - მეორე წრე

ვინსენტ სპადეა (აშშ 6) - დომინიკ ჰრბატი (ხორვატია)	6:4, 4:6, 7:5
ალექს კორეჩა (ესპანეთი) - გასტონ გაუდიო (არგენტინა 7)	6:3, 6:1

კრივი

კლიჩკოს სადეკემბრო სამზადისი და ჰოლიფილდის პირობა

ერთობ გაურკვეველ მდგომარეობაშია ვლადიმირ კლიჩკო. 20 დეკემბერს გერმანიის ქალაქ კილში ამერიკელ ლამონ ბრიუსტერთან მატჩი ელის, მაგრამ ჯერაც არ იცის, თუ რა დატვირთვას შეიძენს მათი ჩხუბი – გაურკვეველია, ორთაბრძოლა სატიტულო იქნება თუ არა. საქმე ის არის, რომ კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) საჩემპიონო ქამრის მფლობელმა, სამხრეთაფრიკელმა კორი სანდერსმა ტიტულის დაცვაზე უარი განაცხადა. სუპერმძიმეწონოსანთა საჩემპიონო სარტყელი ვაკანტურად გამოცხადდა. ასე რომ, მოკრივეთა ბანაკებს შორის დღის წესრიგში სწორედ სანდერსის მიერ გამოთავისუფლებული საჩემპიონო ტახტზე ასვლაა. კლიჩკო, რომელიც ამავე ორგანიზაციის რეიტინგში მესამე, ხოლო ბრიუსტერი მეორეა, არ გამორიცხავს იმის აღბათობას, რომ სწორედ მათი შერკინება შეიძლება გახდეს სატიტულო, მიუხედავად იმისა, რომ ორივეზე მაღლა რეიტინგის პირველი ნომერი, ახალზელანდიელი დევიდ ტუაა.



ვლადიმირ კლიჩკო 20 დეკემბრის მოლოდინშია

"კორი სანდერსმა WBO-ს ჩემპიონის ტიტული გაათავისუფლა, - აცხადებს ძმები კლიჩკოების პრომოუტერი კლაუს-პეტერ კოლი. – ვლადიმირი რეიტინგის მესამე ნომერია, მაგრამ პირობას ვერ დავდებთ, რომ უკვე კილშივე შევძლებთ ვლადიმირისთვის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ორთაბრძოლის ორგანიზებას. ნებისმიერ შემთხვევაში ვლადიმირი დიდი კალიბრის მქონე მეტოქეს შეხვდება".

თავად ვლადიმირი კი ორი დღის წინ კილში მოწყობილ პრესკონფერენციაზე დამსწრეთ ლამაზ ორთაბრძოლას შეჰპირდა. 20 დეკემბრის ორთაბრძოლისთვის კი ლოს ანჯელესში, მაიკ ტაისონის ყოფილი მწვრთნელის, ფრედი როუჩის მეთვალყურეობის ქვეშ მოემზადება. დანიშნულების ადგილზე კი მას შემდეგ ჩავალ, როცა ჩემი ძმა, ვიტალი, 6 დეკემბერს ნიუ იორკში კირკ ჯონსონთან იჩხუბებსო.

თავდაპირველად ვლადიმირსაც იმავე დღეს უნდა ეჩხუბა, თუმცა, საბრძოლო არენად ლოს ანჯელესი იყო შერჩეული. ბოლოს ყველაფერი კილის სასარგებლოდ გადაწყდა. ახლა საბრძოლო არენა "ოსტსჰალეს" სალაროებში ბილეთები იყიდება. მათი ფასი 25,5-დან 532,5 ევრომდე მერყეობს. არენა 10,5 ათას მაყურებელს იტევს.

იმავე პრესკონფერენციაზე, რომელსაც ქალაქის მერი ფოლკე ვარტიც ესწრებოდა, კილის სკოლის მოსწავლეებს საჩუქარი მოუმზადეს. კერძოდ, ქალაქის მერმა და უკრაინელმა მოკრივემ განაცხადეს ერთგვარი კონკურსის შესახებ - ათი გამარჯვებული ბავშვი, მშობლებთან ერთად, კლიჩკოსა და ბრიუსტერის ორთაბრძოლაზე დასასწრებ ბილეთებს მიიღებენ.

ამასობაში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, 41 წლის ევანდერ ჰოლიფილდი რინგზე დარჩენას აპირებს. ნიგერიაში საქველმოქმედო ვიზიტად მყოფმა სახელოვანმა მოკრივემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ წასვლას არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ჩემპიონის ტიტულს არ დაიბრუნებს. "ერთ-ერთი ბოლოს წაგებული ორთაბრძოლის შემდეგ ჩემს შვილს შევპირდი, რომ კიდევ გავხდებოდი ჩემპიონი. ვერ მოვისვენებ, სანამ ერთ-ერთ ტიტულს მაინც არ დავიბრუნებ. კრივიდან წასვლა ჩემს გეგმებში არ შედის, რადგან თავს ისევ ღონივრად და მხნედ ვგრძნობ".

გეხსომებათ, 4 ოქტომბერს ჰოლიფილდი სუპერმძიმე წონაში მეტოქის, ჯეიმს ტონისთვის სადებიუტო მატჩში, მეცხრე რაუნდში, ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა. სწორედ მაშინ განაცხადა, კრივიდან მივდივარო, თუმცა, რამდენიმე საათში გადათქვა.

ახალ ფლაგმანს მარანელოდან "ფერარი 612 სალიეტი" ჰქვია

იყო დრო, როცა ექსკლუზიური ავტომობილების მწარმოებელი იტალიური კომპანია "ფერარი" წლიდან წლამდე ერთსა და იმავე მოდელს უშვებდა და მისი იშვიათი კლიენტი ამითაც კმაყოფილი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, ის დრო წარსულს ჩაბარდა. სხვანაირად არც შეიძლება იყოს დღევანდელ, კონკურენტებით გაჯერებულ ავტობაზარზე, სადაც თუ მწარმოებელი პროდუქციის მრავალფეროვნებით ვერ დაიკვეხნის, მას დიდი ხნის არსებობა არ უწერია.

არსებობის ამგვარ ყაიდაზე უკვე გადავიდა "ფერარიც", რომელიც ბოლო რამდენიმე წელიწადია, თითქმის არცერთ ავტოსალონს არ ტოვებს ისე, რომ თავისი წარმოების სუპერავტომობილებით არ გაახაროს ამ ლეგენდარული მარკის უამრავი თაყვანისმცემელი.

გამონაკლისი არც მომავალი წელი იქნება, რადგან წლის დასაწყისშივე, დეტროიტის ავტოსალონზე, შედგება მარანელოში ბაზირებული კომპანიის ახალი ფლაგმანის, ოთხადგილიან კუპე "612 სკალიეტის" მსოფლიო დებიუტი. უფრო სწორედ კი, 21 ოქტომბერს კომპანიამ პრესას ოფიციალურად კი წარუდგინა "პინინფარინასთან" ერთად შექმნილი ეს ულამაზესი ავტომობილი, მაგრამ ფართო მნახველის წინაშე ის პირველად სწორედ დეტროიტში წარსდგება.

ეს ავტომობილი, რომლის ძარაც მთლიანად ალუმინისგანაა დამზადებული, "ფერარის" სამოდელო გამაში დაიკავებს მოძველებულ მოდელ "456"-ის ადგილს. "612 სკალიეტი" ოთხ ადამიანს იტევს, თუმცა მისი სავარძლების ფორმულა 2+2 იმაზე მეტყველებს, რომ უკანა სავარძლები თავისი კომფორტულობით ვერ დაიკვეხნის.

ავტომობილს სახელი ეწოდა კომპანიის პირველი ავტომობილების ძარების ავტორ სერჯო სკალიეტის საპატივცემულოდ, ვინც "ფერარის" დაარსების დღიდან მუშაობდა აქ. სწორედ ამ ნიჭიერი დიზაინერის ქმნილებას წარმოადგენს "ფერარის" მიერ 50-60-იან წლებში გამოშვებული ისეთი შესანიშნავი ავტომობილები, როგორებიცაა "ფერარი 166 ინტერ სკალიეტი სპაიდერი", "ფერარი 250GTO სკალიეტი ბერლინეტა" და სხვები. ჰოდა, კომპანიის ახლანდელმა პრეზიდენტმა ლუკა დი მონტეძემოლომ სწორედ სერჯო სკალიეტის მიაგო პატივი, როცა "ფერარის" ახალ ფლაგმანს მისი სახელი უწოდა.

"612 სკალიეტის" დიზაინი ცნობილი იტალიური დიზაინსტუდია "პინინფარინას" შემოქმედების ნაყოფია. აღსანიშნავია, რომ სიახლე რაღაცით "მაზერატი კუატროპორტესაც" მოგვაგონებს, რომელიც ასევე "პინინფარინას" მიერაა შექმნილი და რომლის დებიუტიც წლეულს, ზაფხულში შედგა.

"612 სკალიეტი" ზომებით თავის წინამორბედზე დიდია, მაგრამ იმის ხარჯზე, რომ მის დასამზადებლად მეტწილად ალუმინი გამოიყენება, იგი "456"-ზე დაახლოებით 60 კილოგრამით მსუბუქია. ამასთან, მისი ძარის სიხისტე 60 პროცენტითაა გაზრდილი.

"612 სკალიეტიზე" გამოყენებულია 5.7-ლიტრიანი V12, რომელიც ავტომობილ "575 მარანელოდანაა" აღებული, მაგრამ მისგან განსხვავებით, 540 ცხენის ძალამდეა (რომელსაც 7250 ბუნ/წუთზე ავითარებს) ფორსირებული.

ეს საკმაოდ დიდი აგრეგატი წინა ხიდის უკანაა განთავსებული, ტრანსმისია კი ოდნავ უკანაა დაწეული. კონსტრუქტორებმა ეს სპეციალურად გააკეთეს, რათა რაც შეიძლება დაბლა დაეწიათ ავტომობილის სიმძიმის ცენტრი, რაზეც ბევრადაა დამოკიდებული მისი მანევრულობა. შედეგად, ავტომობილის წონის 46 პროცენტი წინა ხიდზე მოდის, დანარჩენი 54 კი – უკანაზე და ეს წონის თითქმის იდეალური განაწილებაა.

გადაცემათა კოლოფი 6-საფეხურიანი, მექანიკურია, რომელსაც, მყიდველის სურვილისამებრ, შეიძლება ჰქონდეს გადაცემათა შეცვლის ჩვეულებრივი ბერკეტი, ან ახალი, ელექტროჰიდრავლიკური გადამრთველით აღჭურვილი სისტემა, რომელიც ისევე მუშაობს, როგორც ფორმულა ერთში ფართოდ აპრობირებული, ეგრეთ წოდებული სეკვენტალური გადაცემათა კოლოფი და რომელსაც "ფერარის" პროდუქციის მომხმარებელი F1A- სახელით იცნობს. მისი შემწეობით მექანიკურ კოლოფში გადაცემების შეცვლა ისეთივე ადვილია, როგორც ავტომატურ კოლოფებში.

ლურჯი "კვიცი" (უჩვეულოა, მაგრამ "ფერარის" სიახლე ლურჯი ფერისაა) აღჭურვილია უზარმაზარი საბურავებით. წინა, 18-დუიმიან თვლებზე ჩაცმულია 245/45 ზომის საბურავები, უკანა, 19-დუიმიანზე კი – 285/40. ყოველივე იმის საშუალებას იძლევა, რომ ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარე "612 სკალიეტიმ" სულ 4.1 წამში აკრიფოს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 313 კმ/სთ-ს აღწევს.

რაც შეეხება სალონს, იმის მიუხედავად, რომ ავტომობილი ორკარიანია, თვლების ბაზის გაზრდის ხარჯზე გაადვილებულია უკანა სავარძლებზე დაჯდომა. მაჩვენებლების პანელი ერგონომიკულია, საჭის რგოლი კი ისეა განლაგებული, რომ ნებისმიერი სიმაღლის მძღოლი (გიგანტები არ იგულისხმება) თავს კომფორტულად იგრძნობს. სალონი გაწყობილია ალუმინითა და ძვირფასი ტყავით, მის აღჭურვილობაში კი შედის უმაღლესი კლასის აუდიო-აპარატურა და ორზონიანი კლიმატკონტროლის სისტემა.

როგორც უკვე ითქვა, "612 სკალიეტის" მსოფლიო დებიუტი იანვარში, დეტროიტის ავტოსალონზე შედგება, მისი გაყიდვების დაწყება კი მარტიდანაა დაგეგმილი. სამაგიეროდ, ჯერ ცნობილი არ არის, თუ რა ეღირება იგი.

ავტოინდუსტრიის მომავალს ტოკიოში ნახავთ



ტოიოტა PM პერსონალ მობილიტი

ლექსუს LF-S

ჰონდა HSC

ნისან ფუგა

ჰონდა KIWAMI

ტოკიოში 22 ოქტომბერს გაიხსნა და ორ კვირას გასტანს წლის უკანასკნელი მასშტაბური ავტოსალონი, რომელიც ტრადიციისამებრ, ორ წელიწადში ერთხელ იმართება ხოლმე. ტოკიოს წლევანდელი ავტოშოუ იმითაცაა გამორჩეული, რომ კომპანიებმა, რომელთა შორისაც, რაღა თქმა უნდა, იაპონელები სჭარბობენ, აქცენტი მომავლის ავტომობილებზე გააკეთეს, თუმცა არც დღევანდელი დღე დავიწყებიათ. მოკლედ, რაც მათ ფრანკფურტის ავტოსალონს დააკლეს (არადა, ამომავალი მზის ქვეყნიდან იქაც ბევრი სიახლე იყო), ტოკიოში უხვად აანაზღაურეს.

ისიც სათქმელია, რომ იაპონურმა კომპანიებმა სპეციალურად შემოინახეს თავიანთი კონცეპციები ტოკიოსთვის, რადგან საქვეყნოდ ცნობილია, რომ იაპონელი ავტომოყვარული დიდად აფასებს მათს ულტრანთანამედროვე ტექნოლოგიებს და ეს სიახლეებიც მეტწილად სწორედ იაპონელებისთვის არის გათვალისწინებული.

სხვა დიდ ავტოსალონებთან (დეტროიტი, ჟენევა, პარიზი და ფრანკფურტი) შედარებით, ტოკიოს ავტოსალონზე არცთუ ბევრი სიახლეა წარმოდგენილი და მათი უმრავლესობაც, 38 იაპონურ კომპანიების ეკუთვნის. რაც შეეხებათ უცხოურ კომპანიებს, მათგან ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს "დაიმლერ-კრაისლერის" ორი სიახლე.

კიდევ ერთი თავისებურება, რომლითაც ტოკიოს წლევანდელი ავტოსალონი გამოირჩევა, არის მასზე წარმოდგენილი ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების სიმრავლე. როგორც ცნობილია, მთელს მსოფლიოში და განსაკუთრებით კი იაპონიაში, სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება წყალბადის ელემენტებზე მომუშავე ეკოლოგიურად სუფთა ჰიბრიდული ავტომობილები, რომლებიც მუშაობისას მხოლოდ წყალს გამოყოფენ და პრაქტიკულად არ აბინძურებენ გარემოს. ჰოდა, ასეთი ავტომობილების წარმოებაში მსოფლიო ლიდერები სწორედ იაპონური კომპანიები, "ტოიოტა" და "ჰონდა" არიან, რომლებმაც ტოკიოში უხვად წარმოადგინეს მომავლის ავტომობილების მათებური ვერსიები.

ტოიოტას" პავილიონის მთავარი კონცეპტუალური მოდელია ელექტრომობილი "პერსონალ მობილიტი", რომელიც ერთი ადამიანის გადაადგილებისთვის განკუთვნილ კაფსულას წარმოადგენს. ეს უცნაური ავტომობილი რაღაცით შეიძლება ბაყაყსაც მოგვაგონებს, რომლის თათებიც საბურავებით ბოლოვდება. ადამიანი თავისუფლად თავსდება მის კაფსულაში, რომელსაც მოძრაობისას მდგომარეობის შეცვლაც შეუძლია – დიდ სიჩქარეზე იგი ჰორიზონტალურ პოზიციას იკავებს და გზის საფარს უახლოვდება, გაჩერებისას კი ვერტიკალურ პოზიციას უბრუნდება, რითაც მძღოლს გადმოსვლას უადვილებს. ამასთან, წინა თვლებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მობრნების უნარი შესწევთ. რაც ყველაზე საინტერესოა, ამ ავტომობილს თავის მსგავსებთან ინტერნეტით ურთიერთობის უნარიც შესწევს, რითაც ისინი გზებზე მოსალოდნელი საცობების შესახებ ატყობინებენ ერთმანეთს.

"ტოიოტას" მეორე კონცეპტკარის, "ტოიოტა ფაინ-N"-ს კი სხვა ავტომობილებისგან უნიკალური ჰიბრიდული ძრავები განასხვავებს. სწორედ ძრავები, რადგან ყოველ თვალს თავისი აგრეგატი ემსახურება, რომლებიც სწორედ ბორბლის სიახლოვესაა ავტომობილში განლაგებული. რამდენადაც ავტომობილის ცენტრში აღარაა განთავსებული არც ძრავი და არც გადაცემათა კოლოფი, კონსტრუქტორებს უფრო ფართო სალონის შექმნის საშუალება მიეცათ, რომელსაც აბსოლუტურად ბრტყელი იატაკი აქვს.

რაც ყველაზე უჩვეულოა, "ფაინ-N"-ს პატრონის სახეზე ცნობის უნარი აქვს, რის შემდეგაც მისთვის ხელსაყრელად განათავსებს სავარძელს. ავტომობილი მოძრაობისას ერთგვარ გუგუნს გამოსცემს, რითაც მძღოლს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ამცნობს. იგი ასევე თვითონ არეგულირებს კონდიციონერის მუშაობის რეჟიმს.

"ტოიოტას" დივიზიონმა "ლექსუსმა", რომელიც ჯერჯერობით არ ჰყიდის თავის ავტომობილებს იაპონიაში, სალონზე თავისი ორი სიახლე წარადგინა. ერთი მათგანია LF-X, რომელსაც რაღაც შუალედი უკავია ჩვეულებრივ სედანსა და უგზოობის ავტომობილს შორის. მეორეა წარმომადგენლობითი კლასის სედანი LF-S რვაცილინდრიანი ძრავითა და ოთხივე წამყვანი ბორბლით.

ერთობ თავისებურია "ჰონდას" სტენდი, რომელზეც სტოპერის როლს ასრულებენ არა ავტომობილები, ან ლამაზი გოგონები, არამედ ეგრეთ წოდებული ჰუმანოიდური რობოტი სახელად "ასიმო", რომელიც თავად მოგითხრობთ კომპანიის სიახლეების შესახებ და თუ საჭირო იქნება, მარტივ კითხვებსაც უპასუხებს.

"ჰონდასაც" კონცეპტუალური მოდელები აქვს წარმოდგენილი, მაგრამ კომპანიის განცხადებით, მათი დიდი ნაწილი ახლო მომავალში კონვეიერს მიაღწევს. მათ შორისაა მინივენი ASM (ედვანსედ სალუნ მინივენ – მოწინავე სალონის მქონე მინივენი), რომლის გაყიდვებიც მომავალ წელს დაიწყება. მისი საშუალებით "ჰონდა" გვიჩვენებს თავისი დიზაინერების ხედვას იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული მინივენების შიდა სივრცე - ფართო, ნათელი, ბრტყელი იატაკით. ASMრვა ადამიანზეა გათვლილი, მაგრამ იმავდროულად, სპორტული ნირითაც გამოირჩევა – იგი აღჭურვილია ბენზინზე მომუშავე ექვსცილინდრიანი ძრავით, რომელსაც "პარტნიორობას" ელექტრომოტორი უწევს.

გარდა ამისა, "ჰონდამ" წარმოადგინა ჰიბრიდული IMAS და KIWAMI. ერთადერთი არაჰიბრიდული ავტომობილი კომპანიის სტენდზე არის სპორტული HSC, რომელიც ახლო მომავალში შეცვლის მეტად პოპულარულ, მაგრამ ამასთან, საკმაოდ მოძველებულ კუპე NSX-ს. ორადგილიან სპორტულ ავტომობილს ბენზინზე მომუშავე 300 ცხენისძალიანი ძრავი ბაზაში ექნება განლაგებული.

ტოკიოში 7 ახალი ავტომობილითაა წარმოდგენილი კომპანია "ნისანი", რომელიც ბოლო წლებში საგრძნობ პროგრესს განიცდის. მათ შორისაა კონცეპტუალური "ფუგა", რომელშიც ერთმანეთში შერწყმულია სპორტული და წარმომადგენლობითი ავტომობილის თვისებები. იგი მოდელ FR-L-ის პლატფორმაზეა დამზადებული, რომელიც ასევე ახალი სპორტული "სკაილაინისთვის" გამოიყენება. ამასთან, მიუხედაად იმისა, რომ ავტომობილს აშკარად სპორტული გარეგნობა აქვს, შიგნიდან იგი ერთობ ფართოა და მისი უკანა მგზავრები თავს აშკარად ვერ იგრძნობენ ზედმეტად.

მოდელი "სერენიტი" სედანისა და მინივენის ჰიბრიდს წარმოადგენს და როგორც ჩანს, მისი დიზაინერები იაპონური კულტურის თემაზე ვარჯიშობდნენ. ყოველ შემთხვევაში, მისი გვერდითი შუშები რაღაცით გაშლილ მარაოს მოგვაგონებს, სახით კი - თითქოს ის კაბუკის თეატრის დადგმაში მონაწილეობისთვისაა შექმნილი.

პატარა "ეფისი" მის შემქმნელებს საქალაქო პატარა ავტომობილების მომავლად ესახებათ. იგი ფიჭურ ელემენტებზე მუშაობს. მაქსიმალურად მცირე წონა მიღწეულია ალუმინისა და პლასტმასისგან დამზადებული ბევრი დეტალის გამოყენებით. "ეფისს" სამი ადამიანის გადაყვანა შეუძლია, თუმცა მესამე, ვისაც უკანა სავარძელე მოუწევს ჯდომა, სივიწროვეს იგრძნობს.

მომავლის ავტომობილია "მაზდას" სტენდზე წარმოდგენილი ბენზინისძრავიანი მოდელი "იბუკი" (იაპონურად ეს ნიშნავს – შთაბერე ახალი ენერგია, მოუმატე ძალა). ეს ავტომობილი წარმოადგენს ვარიაციას თემაზე – მომავლის როდსტერი, რომელიც ალბათ ერთ მშვენიერ დღეს პოპულარულ "მაზდა MX5"-ს შეცვლის. მას ახალ ენერგიას "შთაბერავს" ორიგინალური დიზაინი ძრავის წინა (წინა ხიდის უკან) განლაგებით. ძრავის ასეთი განლაგებით უმჯობსდება არამხოლოდ წონის ხიდებს შორის განაწილება, არამედ მცირდება მობრუნებისას ავტომობილზე წარმოქმნილი ინერციის მომენტი.

კიდევ ერთი კომპანია, "მიცუბიში" ტოკიოში ოთხი კონცეპციით წარსდგა. პროტოტიპი, ლაკონური სახელით "i" იაპონელთა თვალით დანახული ახალგაზრდული ავტომობილია. მას აქვს ერთობ ნათელი, მოსახერხებელი, ნახევრად გამჭვირვალე პლასტიკატით გაწყობილი ინტერიერი, რომელშიც თავისუფლად თავსდება ოთხი ადამიანი. მსუბუქი ძარა მოთავსებულია ალუმინისგან დამზადებულ ჩარჩოზე, გადაცემათა კოლოფი-ვარიატორი და სამცილინდრიანი ძრავი კი ბაზაშია განთავსებული. ამ ავტომობილის გაყიდვები 2005 წლიდან დაიწყება.

მსგავსი კონსტრუქტორული გადაწყვეტებია გამოყენებული კონცეპტ Se.Ro-ში, მაგრამ ეს უფრო დიდი ავტომობლია და უფრო საქმიანი მყიდველისთვისაა გათვალისწინებული. ამ მანქანას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ოფისი ბორბლებზე. მასში ძრავი ინჟინრებმა სალონის იატაკის ქვეშ "ჩამალეს", რის ხარჯზეც ბაზა და სალონი კი უფრო ხისტი გამოვიდა.

კაბრიოლეტი CZ2 უფრო ქალებზეა გათვლილი. იგი გამოირჩევა ელეგანტურობით, მანევრულობითა და მცირე გაბარიტებით. კაბრიოლეტი მინიმალიზმის სტილშია შექმნილი. სალონის გაფორმებისას აქცენტი პრაქტიკულობაზეა გაკეთებული. კომპანიის მეოთხე კონცეპტკარია "ტარმაკ სპაიდერი" – აგრესიული გარეგნობის მქონე კომპაქტური ავტომობილი, რომელიც შესანიშნავი ტექნიკური მახასიათებლებით გამოირჩევა.

თითო ახალი კონცეპცია წარმოადგინს "დაიჰაცუმ", "სუძუკიმ" და კორეულმა "ჰიუნდაიმ". მათგან პირველის "D-ბონი" საპლაჟო ბაგია – ღია ავტომობილი ოთხივე წამყვანი ბორბლით და მოსახსნელი კარებებით. ავტომობილი მეტად პატარაა, თუმცა გასაკვირი ამაში არაფერია – "დაიჰაცუ" ხომ სწორედ ასეთი პატარა ავტომობილების წარმოებითაა ცნობილი. "სუძუკის" სიახლეს ეწოდება "მობაილ ტერასა". ეს არის ექვსადგილიანი ერთმოცულობიანი ავტომობილი, რომელიც ფიჭურ ელემენტებზე მუშაობს. რაც შეეხება კორეულ სიახლეს, მის სტენდზე წარმოდგენილია უგზოობის "ნეოს 2", რომელიც "ჰიუნდაის" იაპონური დიზაინერული სტუდიის ნამუშევარია.

ევროპული კომპანიების სიახდლეთაგან ყურადღებას იქცევს "მერსედესის" კონცეპტკარი F500, რომელიც პირველ რიგში თავისი კარებებით გამოირჩევა. ისინი ორივე მხარეს იხსნება და მგზავრებს ადვილად ჩასხდომის საშუალებას აძლევს. ავტომობილს აქვს გაზისა და მუხრუჭების ელექტრონული სატერფულები, ღამის ხედვის ინფრაწითელი სისტემა სახელწოდებით "ნაით ვიჟნ", რომელიც 150 მეტრზე მოქმედებს. F500 აღჭურვილია ჰიბრიდული აგრეგატით, რომელშიც ერთმანეთთან შერწყმულია დიზელისა და ელექტროძრავი, რომელთა საერთო სიმძლავრეც 313 ცხენის ძალას აღწევს.

ტოკიოშივე პირველად წარმოადგინა "ფერარიმ" თავისი ახალი ფლაგმანი "612 სკალიეტი", რომლის შესახებაც ჩვენი გაზეთი ამავე გვერდზე მოგითხრობთ. "ჯიპის" სტენდზე კი თავს იწონებს უცნაური გარეგნობის მქონე კონცეპტუალრი უგზოობის მოდელი "ტრეო". ეს ავტომობილი რაღაცით "ჯიპ ვრანგლერს" მოგვაგონებს, მაგრამ მაინც მისგან აბსოლუტურად განსხვავებულია. იგი აღჭურვილია ორი ელექტროძრავით და მართვის ბლოკით, რომელსაც შეუძლია, მძღოლის სურვილისამებრ, მარჯვნივ, მარცხნივ ან კიდევ შუაში განათავსოს საჭის რგოლი.

გვერდი მოამზადა
მერაბ ლორთქიფანიძემ

ტოიოტა ფაინ-N

მაზდა იბუკი

სუძუკი მობაილ ტერასი

ჯიპ ტრეო

მერსედეს-ბენც F500

ᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲝ

07.30 ალიოლი **09.45** ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘ „ᲛᲘᲜᲐ ᲛᲔᲚᲘᲙᲝᲕᲐ“ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲐᲜᲡᲐᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲗᲣᲠᲘ ᲛᲔᲚᲘᲙᲝᲕᲐ

TV პროგრამა
24 ოქტომბერი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პანანინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური“ **11.00** სერიალი „შავი ზეცა“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პანანინა ონავრები“ **18.00, 21.00, 02.30** კურიერი **18.25** სერიალი „მაშველები“ **19.10** დოკ. ფილმი „ჯაზი“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **00.30** მხ.ფილმი „შვიდი“. მთ. რ-ში: მორგან ფრიმენი, ბრედ პიტი. **02.40** მხ. ფილმი „დობერმანი“. მთ. რ-ში: ვენსან კასელი, მონიკა ბელუჩი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი „ჩემი პატარა, ძვირფასი პლანეტა“ **10.00** საპარლამენტო არჩევნები **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „კორდიევების ოჯახი“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** მხოლოდ კლასიკა **15.05** კალათბურთში საქ. ჩემპიონატის მატჩი: სტუ - თბილისის „დინამო“. შესვენებისას „მოამბე“ **16.40** დოკ. სერიალი „ბუშლენდის სკოლა“ **17.10** 50-50 **17.45** მულტსერიალი „კიტუ“ **18.00** თბილისის ცირკის საზეიმო გახსნა (პირდაპირი რეპორტაჟი) **21.00** მაგთიტრონი **21.10** „იმღერე რამე“ **21.50** შეხვედრები ფიქრის გორაზე **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „კონდორის სამი დღე“.

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „უარესი არ არსებობს“ მთ. რ-ში ალისია სილვერსტოუნი, ვუდი ჰარელსონი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** „ბრავო“ „სიმპრილე ჩარლიზე“ მთ. რ-ში მარკ უოლბერგი, ტენდი ნიუტონი. **01.40** „ღამური“ „კედლებს ლაპარაკი რომ შეეძლოთ“ მთ. რ-ში შერონ სტოუნი, ვანესა რედგრეივი. **03.45** პაუზის გარეშე .

მზე

09.00 „ღამის მზერა“ (გან) **10.00** სერიალი „მარია ემილია“ **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები“ **19.00** სერიალი „მარია ემილია“ **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **20.45** მხ. ფილმი „ნიანგი დენდი“ **22.45** საინფ. გამოშვება „ღამის მზერა“ **23.45** მხ. ფილმი „ანგელოზების ქალაქი“

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „ხელმეორედ ქორწინება“ **21.00** ენერგია **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** მხ. ფილმი „მე შენ გაკრგავ“ .

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „დამოუკიდებლობის დღე“ **14.30** მხ.ფილმი „ეეხუთე ელემენტი“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ჩვილის გასაირნება“ **22.30** მხ. ფილმი „მართალი ძალლებსა და კატებზე“.

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30, 14.50, 17.20, 17.50, 21.55, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი „საპაერო პოლიცია“ **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მიმუნები“ **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „მაცდურის დღიური“ **18.45, 19.45** მუსიკა **20.00** მიუზიკპოლი **22.15, 23.00** დიალოგი **23.00** მხ. ფილმი „თავგადასავლები“ **01.55** მუსიკა.

მესხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“ **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 18.50** მუსიკა **10.30** სერიალი „მოჯადოება“ **11.30** რუს. მხ. ფილმი „ჩერნოვი“ **13.15** „ცხელი ცხრიანი“ **14.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა“ **14.50** „ქართული ფეხბურთი“ **15.10** სერიალი „პატარა აინმტაინები“ **15.35** სერიალი „ღამის ექიმები“ **16.35** დოკ. სერიალი „უჩვეულო კოლექცია“ **17.00** სერიალი „სამოდელო სკოლა“ **17.50** „ტელემეტრი“ **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა“ **18.30** სერიალი „პატარა აინმტაინები“ **19.00** სერიალი „ღამის ექიმები“ **20.00** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები“ **21.15** სერიალი „მოჯადოება“ **22.15** „ღამის მაგარბელი“ (გან8.) **00.30** მხ. ფილმი „სასიკეთდილო დამშვიდობება“.

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.45 ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 16.40, 01.35** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ **10.30** სპ. პროგრამა „ასი“ **11.05** თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“ **12.10** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „გაიხსენო ყველაფერი“ **15.00** რაგბის მსოფლიო ჩემპიონატი: სამ. აფრიკა - საქართველო. შესვენებისას „ქრონიკა“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.20** ქრონიკა **17.30** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ **19.20** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი“ **20.15** ლარის მახე **20.40** თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ“ **23.15** არტ-ფილმი „ტირანი“ **01.00** რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **09.10, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოოსფერი“ **09.20** სათავგადასავლო ფილმი „თავგადასავლების მაძიებელნი“ **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** თრილერი „ჯაშუშური თამაში“ **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** თრილერი „ჯაშუშური თამაში“ (გაგრძ.) **14.30** კომედია „არგენტინელი ქალი ნიუიორკიდან“ **16.20** მულტფილმი „აბა დამაცადე!“ **17.00** ისტორიული ფილმი „ბენ-ჰური“ 1 ს. **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება „ნოოსფერი“ **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.20** მხატვრული ფილმი „ისტორია ჩვენზე“ **21.50** „გალერეა“ **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **00.55** მუსიკა **01.00** თრილერი „პრეზიდენტის თვითმფრინავი“ **03.40** მელოდრამა „ქალბატონის პორტრეტი“.

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** „აჩიკუდა“ **09.35** კომპიუტერული ტექნიკა **10.10** მელოდია . **10.30** მობილურები **11.15** დისნეი და მისი მეგობრები **11.50** საყოფაცხოვრები ტექნიკა **12.20** „მელოდია“ **12.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა 19.00“აჩიკუდა“ **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** მობილურები **21.15** „ტალავერი“ **22.15** აუდიო-ვიდეო-ტელე **23.00** „კინოკლუბი „ -“ნათლიდედა „. მმაფრსიუეტანი. რეჟ: კრის მენგერი. მთ. როლში: ნასტასია კინსკი. **00.30** მელოდია **00.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

ОРТ

07.00 „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10** **Сериал „Земля любви, земля надежды“ 10.20 Худ.фильм „Убойная сила: Принцип вины“ 11.30 Боевик „Великий Мерлин“, 4 с. 12.40 Сериал „Твинисы“** **13.20** „Город женщин“ **14.00 Худ.фильм „Мы странно встретились...“** **15.30** Док.фильм „Валентина Леонтьева. От всей души“ **16.20** „Фабрика звезд 3“ **16.40** „Ералаш“ **17.00 Сериал „Берег мечты“** **18.00** „Последний герой“ **19.30** Док. детектив „Расстрел „Робинзона“. Дело 2003г **20.00** Ток-шоу „Основной инстинкт“ **20.50** „Поле чудес“ **22.00** „Время“ **22.30** „Фабрика звезд 3“ **23.50** „Что? Где? Когда?“ Финал осенних игр.

РТР

06.00 „Доброе утро, Россия!“ **09.45 Сериал „Каменская 3“ 10.45** „Аншлаг“ **11.45, 14.50, 17.25** „Вести. Дежурная часть“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести“ **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва“ **12.50** „Мусульмане“ **13.00** „Вся Россия“ **13.15** „Москва - Минск“ **13.30** Колоссальное хозяйство **13.50 Сериал „Баязет“ 15.30** „Комната смеха“ **16.30** „Покушение на покойника“ **18.10** „В поисках приключений“ **19.10 Мелодрама „Ундина“ 20.05** Супер-шоу „Вторая половина“ **21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **21.55** „Народный артист“ **22.50** Юбилейный вечер А.Арканова **01.10** Результаты голосования: „Народный артист - Ваш выбор!“ **01.25 Худ.фильм „Волк“ 03.55** „Дорожный патруль“ **04.15 Сериал „Ангелы Чарли“ 05.10 Сериал „Восемь рассказов“.**

НТВ

07.00 „Утро на НТВ“ **09.50** „Преступление в стиле „модерн“: московский монстр“ **10.30** „Профессия - репортер“. „Театр военных действий“ **11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Фактор страха“ **12.15** Ток-шоу „Страна советов“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00** „Сегодня“ **13.30 Худ.фильм „Призрак театра“ 15.40** „По праву“ **16.35** Ток-шоу „Принцип домино“. „Хорошего человека должно быть много“ **18.30 Детектив „Она написала убийство“ 19.30** „Национальная безопасность. Великая ядерная: последний рубеж“. Расследование НТВ **20.35** „Свобода слова“ **21.55 Боевик „Стиратель“ 00.25** Супербокс: Ф. Мейвезер против Х. Кастильо **01.25** „Ночные музы“ **01.55** „Стиль от...“ Р. Литвиновой **02.10** „Такая жизнь?“ **02.40** „Ночная афиша“ **02.55 Сериал „За гранью возможного“.**

აირჩიე და მოიგებ!

RENAULT
SYMBOL

“რენო-სიმბოლი“ 100 ცხენის ძალით, მოიხმარს 5-7 ლიტრ საწვავს, ლურჯი ფერის ალუმინის დისკებით, დამცავი ბალიშები, კონდიციონერი, სრული ელექტროპაკეტით, განგაჟებული.

არჩევნების ზხარდამჭერი პროგრამა 2003-2005
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

2 ნოემბრის არჩევნებზე

2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუცილებელია ქვეყნისათვის. თქვენი მონაწილეობითა და აქტიურობით საქართველო მოიგებს, მოიგებს მისი თითოეული მოქალაქე. ამიტომ „დამოუკიდებელი პრესის განვითარების ჯგუფი“ ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ დაფინანსებითა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თანადგომით მართავს სატელეფონო ვიქტორინას.

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველი კვირის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდება 6 კითხვა საარჩევნო თემებზე ოთხი სავარაუდო პასუხით. თითოეულ კითხვასა და პასუხს მინიჭებული ექნება თავისი ნომერი (1,2,3,4). ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა გამოქვეყნებულ შეკითხვებზე უნდა გასცეს სწორი პასუხები. ვიქტორინის მონაწილემ ექვსივე შეკითხვაზე გაცემული პასუხების ნომრებით უნდა შეადგინოს საკუთარი ექვსციფრიანი ვარიანტი. ეს ვარიანტი სატელეფონო კომპანიის კოდთან (8-05-32) ერთად წარმოადგენს სატელეფონო ნომერს, რომელზეც უნდა დარეკოს ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა.

ვიქტორინაში მონაწილეობას ადასტურებს ავტომპასუხი.
1 სატელეფონო ზარის ღირებულებაა 30 თეთრი.

მაგალითი

დასმული შეკითხვების ნომრები	1	2	3	4	5	6
8	0	5	3	2	-	-	-	-	-	-

⇧ სატელეფონო კოდიანის კოდი

⇧ თქვენს მიერ მერჩეული პასუხების ნომრები შესაბამის კითხვებზე

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველ კვირა საღამოს „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში მოხდება ვიქტორინაში გამარჯვებულთა გამოვლენა ლოტოტრონის საშუალებით. ლოტოტრონში მოთავსდება ყველა იმ ვიქტორინაში მონაწილის სატელეფონო ნომერი, რომლებმაც დარეკეს სწორ ვარიანტზე. ვიქტორინის ყოველ ეტაპზე გამარჯვებულებს გადაეცემათ შემდეგი პრიზები:

1. ტელევიზორი
2. მუსიკალური ცენტრი
3. სარეცხი მანქანა
4. მტვერსასრუტი
5. მაცივარი
6. ვიდეომაგნიტოფონი
7. პირის საპარსი აპარატი
8. მიქსერი
9. ნვენსაწური აპარატი
10. ყავადანი

ხოლო არჩევნების დღეს — 2 ნოემბერს იგივე წესებით ჩამოთვლილ პრიზებთან ერთად გათამაშდება სუპერ-პრიზი — ავტომობილი „რენო-სიმბოლი“.

ასე რომ, 41 ამომრჩეველი, განსაკუთრებით კი ერთ-ერთი, საგანგებოდ მოგებული დარჩება. გახსოვდეთ, პრიზები გაიცემა მხოლოდ მათზე, ვინც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას — საარჩევნო დამლის წარმოდგენის პირობით.

კითხვები ვიქტორინისათვის მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამართლიანი არჩევნები“.

ვიქტორინის მეორე ეტაპის გათამაშება შედგება 26 ოქტომბერს „რუსთავი 2“-ის საღამოს პირდაპირ ეთერში. სატელეფონო ზარები მიიღება 26 ოქტომბრის 18.00 საათამდე.

სატელეფონო ზარები მიიღება ქალაქ თბილისის ადგილობრივი სატელეფონო ნომრებიდან და „მაგთის“, „ჯეოსელისა“ და „ლაი-ლაის“ აბონენტებისაგან.

სწორი პასუხები ყველა კითხვაზე შეგიძლიათ მიიღოთ არასამთავრობო ორგანიზაციის — „სამართლიანი არჩევნების“ ტელეფონზე: 95-45-59 (ზარი უფასოა).

ვიქტორინის მეორე ეტაპის შეკითხვები:

1. ვინ შესცთ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში?
   1) ამომრჩეველი, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ კაბინისკენ შინოგაში მისვლა.
   2) ამომრჩეველი, რომელიც იმყოფება ნინასწარ პატიმრობაში
   3) ამომრჩეველი, რომელიც იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას.
   4) ყველა მათგანი
2. ვის შიძლა მივმართოთ იმისათვის, რომ ჩაგვნერონ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში?
   1) ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
   2) საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
   3) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
   4) ნებისმიერ მათგანს.
3. რომლამდე შეიძლება განცხადების შეტანა გადასატან საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანად?
   1) 27 ოქტომბრის ჩათვლით.
   2) 1 ნოემბრის ჩათვლით.
4. რომელი ასაკიდან იძლევა მოქალაქის აქტიური საარჩევნო უფლება?
   1) 16 წლიდან
   2) 18 წლიდან
   3) 17 წლიდან
   4) 21 წლიდან
5. რომელი საბუთებით შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა?
   1) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით ან პასპორტით (მათ შორის სსრ კავშირის სიმბოლიკიანი პასპორტით)
   2) საბჭოდრო ბილეთით.
   3) დევნილის მოწმობით პირადობის მოწმობასთან ერთად.
   4) ნებისმიერი მათგანით.
6. რომელი საბუთებით არ შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა?
   1) პენსიონერის მოწმობით.
   2) მართვის მოწმობით.
   3) შრომის წიგნაკით.
   4) არც ერთი მათგანით.

რასაც აირჩევ იმას მოიმკი

ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გამარჯვება ტოტალიზატორ "საოჯახო ტოტის" გათამაშება.

ელიტარული
დალმატინის
ლეკვები
8-99-93-21-16

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

"60 წუთის" საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სკოლა აცხადებს ჟურნალისტთა მიღებას 2003-2004 წლისათვის. დარეკეთ: 25-31-81



ინტიმური ტელეფონი

მობილური 700 822 009 108
რაიონი 700 822 009 008
თბილისი 500 822 009 088
18 წლიდან

ESM თბილისის საბაზო სკოლა-ლიცეუმი "ლიდერი"

აცხადებს მსმენელთა მიღებას შემდეგ კურსებზე:

1. ინგლისური ენა დონეების მიხედვით (Starter-დან Upper Intermidiate-ს დონის ჩათვლით). დონის დადგენა უფასოა;
2. ინგლისური ენის სწრაფშემსწავლელი კურსები (სასაუბრო ინგლისური);
3. ბიზნეს-რეფერენტი (ქართული და ინგლისური სექტორი);
4. კომპიუტერის შემსწავლელი კურსები:

- საოფისე პროგრამები (Word, Excel),
- Windows,
- გელტიმედია,
- ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა.

მეცადინეობა დაიწყება 3 ნოემბერს.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 32 97 83.
მისამართი: ნუცუბიძის 223.